MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი

მოგილოცავთ საქართველოში

2023

IMS

USAID
ამერიკელი ხალხისგან

unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი

მობილიზება საქართველოში

2023

IMS
USAID
ამერიკელი ხალხისგან
unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია

ავტორები:
ლელა ხომერიკი, თამარ კინწურაშვილი

მონიტორები:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო ჩხაიძე, მაია ჩალაღანიძე, მარიამ ქავთარაძე, სოფო გოგაძე, ლიკა მაჭარაძე, ლეილა ჩხეტიანი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

გარეკანის ფოტო:
SHUTTERSTOCK

ანგარიში მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება“ ფარგლებში, International Media Support-ის (IMS) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს International Media Support-ის პოზიციად.

ანგარიში ეყრდნობა მედია მონიტორინგის მონაცემებს, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში ახორციელებს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

შესავალი

2023 წლის პირველი ნახევარი საქართველოში ანტიდასავლური, ანტილიბერალური, სექსისტური და ჰომოფობიური დისკურსის კიდევ უფრო გაძლიერებით აღინიშნა. წლების მანძილზე, სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის ძირითად წყაროებს, ანტილიბერალური და ულტრამემარჯვენე აქტორები წარმოადგენდნენ, რასაც ბოლო პერიოდში ხელისუფლების მიერ კონსერვატიული რიტორიკის აქტიურად გამოყენება დაემატა.

გენდერის ტერმინის პოლიტიზირება და გენდერთან დაკავშირებული თემების პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოყენება, ზოგადად, ბოლო წლების გავრცელებული ტენდენციაა. საქართველოს შემთხვევაში, სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსი ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გაღვივებისა და კრემლისტური გავლენის გაძლიერებისათვის, ასევე ოპონენტების დისკრედიტირებისთვის გამოიყენებოდა.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ანტიგენდერული და ანტილიბერალური დისკურსის ანალიზი, იმ ძირითადი აქტორების შესწავლა, ვინც გენდერული და ლგბტქი იდენტობის თემებს მანიპულაციურ ან ყალბ კონტექსტში წარმოაჩენს, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული, იმ ძირითადი გზავნილების გამოვლენა, რომელთაც ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიული ძალები საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის იყენებენ.

ანგარიშის I ნაწილი სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების რაოდენობრივ მონაცემებს და ტერმინოლოგიას მიმოიხილავს. II ნაწილში მოცემულია თვისებრივი ანალიზი, რომელიც სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების ინდიკატორების მიხედვითაა განხორციელებული, III ნაწილი კი იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დაცვის მოტივით, საზოგადოების მობილიზების მიზნით გავრცელებულ მთავარ გზავნილებს მიმოიხილავს.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, ანტიგენდერული და ანტილიბერალური დისკურსის ანალიზი, სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის ძირითადი წყაროებისა და თავდასხმების სამიზნეების შესწავლა, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული იმ ძირითადი გზავნილების გამოვლენა, რომელთაც ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიული ძალები საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის იყენებენ.

კვლევის მონაცემების შესაკრებად, მედიის განვითერების ფონდის მონიტორთა ჯგუფის მიერ ხორციელდება მედია მონიტორინგი. საკვლევი ველი მოიცავს ანტიდასავლურ, ანტილიბერალურ, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიულ მედია პლატფორმებს, რომლებიც სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ; ასევე სახელისუფლებო და ოპოზიციურ მედიუმებს. მედია მონიტორინგისათვის შეირჩა, როგორც ტრადიციული მედია საშუალებები (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია), ისე სოციალური მედიის სუბიექტები. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოიყენებოდა ფეისბუქის ანალიტიკური ინსტრუმენტი Crowdtangle.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდს. მედიის მონიტორინგის შედეგად შეკრებილი მონაცემების ანალიზი შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა, კერძოდ, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

დაკვირვების საგანს წარმოადგენდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპიზაციის შემცველი გზავნილების თემატიკა, წყაროები, ადრესატები, გამოყენებული ტერმინოლოგია, დარღვევის ტიპები.

თემატიკა, მოიცავს, როგორც ფართო სფეროებს, როგორიცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, განათლება, გენდერი და სხვა, ასევე, იმ სპეციფიკურ მგრძნობიარე საკითხებს, რაც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვრა, როგორც ის ძირითადი თემები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის გამოიყენებოდა.

ეს სპეციფიკური თემებია:

- ღირებულებების დაცვა
- იდენტობის დაცვა
- ოჯახების ინსტიტუტის დაცვა
- ბავშვების დაცვა

სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი დარღვევების ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბა-რომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, საექსპერტო ფოკუს ჯგუფების საფუძველზე შეიმუშავა ორგანიზაციამ „საფარი"[i]. წინამდებარე კვლევაში, მედია მონიტორინგის მიერ გამოვ-ლენილი დარღვევების ტიპოლოგიური კლასიფიცირება განხორციელდა იმ ექვსი ინდიკატორით, რომლებიც წინა კვლევების[ii] თანახმად, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა. ესენია:

1. ანტიფემინიზმი / მიზოგინია[iii] – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები;
2. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე;
3. მონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება;
4. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა;
5. ეიჯიზმი – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით.
6. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

მედია მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა. მედია მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა, როგორც ტრადიცი-ული (12 მედია საშუალება: 7 ტელევიზია, 3 ბეჭდური და 3 ონლაინ გამოცემა), ისე სოციალური მედია, კერძოდ, ფეისბუქის ანგარიშები (151).

ტელევიზიები: სატელევიზიო რეიტინგებში მოწინავე ტელეარხების თოქ-შოუები – ტვ იმედის „იმედი ლაივი" და მთავარი არხის „ღამის მთავარი", რომლებსაც განსხვავებული სარედაქციო პოლიტი-კა აქვთ და პოლიტიკური პოლარიზაციის სხვადასხვა პოლუსებს (სახელისუფლებო, ოპოზიცური) წარმოადგენენ, ასევე სახელისუფლებო პოსტვ (გადაცემა „სამნი და კო"), რომელსაც ამავდრო-ულად ნაწილობრივ ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკა აქვს.

ანტილიბერალური და კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის ტელევიზიების თოქ-შოუები, რო-მელთა შერჩევა ამ გამოცემების ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკის გამო მოხდა. ეს პლატფორმებია:

- კრემლისტურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან" დაკავშირებული „ობიექტივი" (გადაცემა „სტუდია N8")

- კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „ალტ-ინფო“ (გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“),
- სეზონი ტვ (გადაცემა „დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად“), რომლის მფლობელი სტალინისტი და მოძრაობა „ერთად ძლიერი საქართველოსთვის“ წევრი, ყოფილი მოკრივე გიორგი კანდელაკია.
- ერი მედია (გადაცემა „გონიერი)

მაზეთები: ანტილიბერალური და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამოცემები „ასავალ-დასავალი“ და „ალია“. ონლაინ გამოცემები: კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის „საქართველო და მსოფლიო“ (www.geworld.ge) და მასთან დაკავშირებული Split News (www.spnews.io/ge).

გარდა ტრადიციული მედიისა, სოციალურ ქსელებში მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი აქტორების ფეისბუქ ანგარიშები შეირჩა:

1. **ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური, ანტილიბერალური/კრემლისტური ჯგუფები:** ა) ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან; ბ) პატრიოტთა ალიანსთან; გ) ქართულ მარშთან; დ) ქართულ იდეასთან ე) პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრთან, ვ) მსოფლიო საოჯახო კონგრესის საქართველოს წარმომადგენელ ლევან ვასაძესთან და სხვა აქტორებთან დაკავშირებული ანგარიშები.
2. **რელიგიური ჯგუფები:** ცალკეული სასულიერო პირების ფეისბუქ გვერდები და ინდივიდუალური ანგარიშები, რელიგიური ფეისბუქ გვერდები.
3. სხვადასხვა ანტილიბერალური/კონსერვატიული პლატფორმები.
4. ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები.
5. ოპოზიციასთან დაკავშირებული ანგარიშები.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია გენდერბარომეტრის ვებ-გვერდზე: https://genderbarometer.ge/methodology/

I გიორგი ურჩუხიშვილი, სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები, სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში, საფარი თბილისი, 2020

II თ. კინწურაშვილი, თ. გოგოლაძე, კვლევის ანგარიში „ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში“, მედიის განვითარების ფონდი, 2023, https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2023/02/GenderReport-GEO-web-1.pdf

III წინამდებარე კვლევის ფარგლებში ამ ინდიკატორის დასახელება განისაზღვრა, როგორც ანტიფემინიზმი/მიზოგინია (წინა კვლევაში იგივე ინდიკატორი გვხვდება სახელწოდებით: სექსიზმი/მიზოგინია)

სარჩევი

მთავარი მიგნებები **9**

I. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია **13**

1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები 13

1.2. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია 16

1.3. ჰომოფობია 20

1.4. ტერმინოლოგია 22

II. სექსისტური სიძულვილის ენის / გენდერული სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი **33**

2.1. ანტიფემინიზმი / მიზოგინია 33

2.2. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა 37

2.3. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა 45

2.4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა 50

2.5. გარეგნული მახასიათებლებით შეუარცხყოფა / დაცინვა 54

2.6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (ეიჯიზმი) 60

III. მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დასაცავად **62**

3.1. იდენტობის დაცვა 63

3.2. ბავშვების დაცვა 72

3.3. ღირებულებების დაცვა 77

3.4. ოჯახის ინსტიტუტის დაცვა 79

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების/პოსტების რაოდენობა თვეების მიხედვით (იანვარი-მაისი 2023)	13
დიაგრამა 2.	სექსისტური და ჰომოფობოიური სიძულვილის ენის გამოყენების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი თვეების მიხედვით (იანვარი-მაისი 2023)	14
დიაგრამა 3.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების თანაფარდობა	14
დიაგრამა 4.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა ტრადიციული და სოციალური მედიების მიხედვით	15
დიაგრამა 5.	ჰომოფობიური და სექსისტური კომენტარების / პოსტების განაწილება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში	15
დიაგრამა 6.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ მედიებში	16
დიაგრამა 7.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიებში	17
დიაგრამა 8.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები	18
დიაგრამა 9.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია წყაროების მიხედვით	19
დიაგრამა 10.	ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიაში	20
დიაგრამა 11.	ჰომოფიბიური სიძულვილის ენის წყაროები	21
დიაგრამა 12.	ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით	22
დიაგრამა 13.	სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით	26
დიაგრამა 14.	სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)	27
დიაგრამა 15.	გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი	62
დიაგრამა 16.	იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	64
დიაგრამა 17.	ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	72
დიაგრამა 18.	ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	77
დიაგრამა 19.	ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	80
ცხრილი 1.	შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით	23
ცხრილი 2.	ჰომოფობიური ტერმინები	29
ცხრილი 3.	საგანმანათლებლო/საკომუნიკაციო არხები, რომლებიც ბავშვებისთვის საფრთხედ წარმოჩინდება	73

მთავარი მიგნებები

- კვლევის პერიოდში (1 იანვარი – 31 მაისი, 2023) მედია მონიტორინგმა სექსისტური და ჰომოფობიური ხასიათის შემცველი 2527 დისკრიმინაციული შინაარსი გამოავლინა, საიდანაც ყველაზე დიდი რაოდენობა (1569) ტრადიციულ მედიაში გავრცელდა.
- როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში, სექსისტური/გენდერულად სტერეოტიპული შინაარსის კომენტარების/პოსტების წილი (54%) მეტი იყო, ვიდრე ჰომოფობიური (37%) შინაარსის, ხოლო განცხადებების 9% ერთდროულად როგორც სექსისტურ, ისე ჰომოფობიურ შინაარსს შეიცავდა.
- თვეების მიხედვით მონაცემების დინამიკა აჩვენებს, რომ სექსისტური და ჰომოფობიური სიძლვილის ენის გამოყენება პროდასავლური სამოქალაქო პროტესტისა და ოპოზიციური პოლიტიკური აქტივობის ზრდასთან ერთად მკვეთრად მატულობდა, რაც ადასტურებს, რომ სექსისტური და ჰომოფობიური თავდასხმები ოპონენტების საწინააღმდეგოდ მიმართულ პოლიტიკურ იარაღად გამოიყენება.
- სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენება ნახტომისებურად გაიზარდა 2023 წლის მარტში, რაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონის წინააღმდეგ მიმართულ ფართომასშტაბიან სამოქალაქო პროტესტს უკავშირდება.

სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია

- სექსისტური შინაარსის შემცველი განცხადებების ყველაზე დიდი ნაწილი, როგორც ტრადიციულ მედიაში, ისე სოციალურ მედიაში პოლიტიკას შეეხებოდა და თავდასხმის ძირითად სამიზნეებს, პოლიტიკოსი და სამოქალაქო აქტივისტი ქალები წარმოადგენდნენ.
- სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის მიხედვით განხორციელებული ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი დარღვევა მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მხრივ გამოვლინდა, ტრადიციულ მედიაში კი ასევე მაღალი იყო ანტიფემინისტური და მიზოგინიური შინაარსის განცხადებები.
- მკვიდრდებოდა გენდერული სტერეოტიპები, რომ ისტერიულობის გამო პოლიტიკოსი ქალების ქცევა გაუწონასწორებელია; რომ პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალები

სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან და პირადი ცხოვრება აქვთ მოსაწესრიგებელი; რომ მათ სჭირდებათ „პატრონი“, ვინც მათ ქცევას გააკონტროლებს და წარმართავს.

- გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფის შემცველი გზავნილები მოიცავდა დაცინვას გარეგნობის, ჩაცმის სტილის, ხმის ტემბრის, წონის, ქალებში ნაკლებად ფემინური, ხოლო მამაკაცებში „ზედმეტად ფემინური“ გარეგნული ნიშნების გამო.
- საკმაოდ გავრცელებული ტენდენცია იყო, ახალგაზრდა პოლიტიკოსი და სამოქალაქო აქტივისტი ქალების მოხსენიება გოგონებად, მათი მნიშნელოვნების, გავლენისა და კომპეტენციის დაკნინების მიზნით.
- ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული აქტორები ოპოზიციონერ ქალ პოლიტიკოსებს და ქალთა უფლებების დამცველებს დასავლური კონსპირაციის აგენტებად განიხილავდნენ.
- პოლიტიკურად და საზოგადობრივად აქტიური ქალების დისკრედიტაციისათვის ხდებოდა ფაშისტური ფემინიზმის იარლიყის გამოყენება. ქალთა უფლებების დამცველებს, ხშირად ფაშისტებად ან ფემინისტ-ფაშისტებად მოიხსენიებენ.
- ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა ქვეყნისთვის საფრთხედ განიხილებოდა. გამოითქმებოდა მოსაზრებები, რომ ქალთა უფლებების დაცვისაკენ მიმართული კანონებით საქართველოში მკვიდრდება ქალთა დღის წესრიგი, რაც სახიფათო იყო, რადგან ასუსტებდა კაცებს, მათი დასუსტებით კი, ქვეყანას არსებული გამოწვევების წინაშე მოწყვლადს ხდიდა.
- სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპები ყველაზე ხშირად კრემლისტური სეზონი ტვ-სა და სახელისუფლებო Postv-ის ეთერში გვხვდებოდა. ბეჭდური მედიიდან, კი ეს ტენდენცია ქსენოფობიით და ანტიდასავლური განწყობებით გამორჩეულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოვლინდა.
- პოლიტიკური პარტიებიდან, მედიაში სექსისტური შინაარსის შემცველი ყველაზე მეტი განცხადება, კრემლისტურმა ალტ-ინფო/კონსერვატიულმა მოძრაობამ გაავრცელა, რომლის ლიდერებიც ამავდროულად ტელევიზია „ალტ-ინფოს“ წამყვანებიც არიან.
- სასულიერო პირებიდან კი ყველაზე მეტ სექსისტურ კომენტარს „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი აკეთებდა.

ჰომოფობია

- მედია მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი 1163 ჰომოფობიური შინაარსიდან ტრადიციულ მედიაზე 839, ხოლო სოციალურ მედიაზე 324 კომენტარი/პოსტი მოდის.
- ჰომოფობიური განცხადებების მთავარ წყაროს პოლიტიკოსები (34%) წარმოადგენდნენ, რასაც ტრადიციული მედია (24%) და სოციალური მედია (13%), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (10%), საზოგადოების წარმომადგენლები (10%) და სასულიერო პირები (9%) მოსდევდნენ.
- პარტიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობას ეკუთვნის, რომელთან შედარებითაც ქართული ოცნების და პატრიოტთა ალიანსის მონაცემები მცირეა.

- მედიებიდან ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების მხრივ სეზონი ტვ და „საქართველო და მსოფლიო“ ლიდერობენ, სასულიერო პირებიდან – დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან კი – „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“.
- ჰომოფობიურ გზავნილებში ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ მიიჩნევა ლგბტქი თემის წარმომადგენლების საჯარო სივრცეებში ხილულობა, ამიტომაც თვითგამოხატვის ნებისმიერი ფორმა – მსვლელობა, ფილმი, ტელეგადაცემებში მონაწილეობა – აგრესიულ პროპაგანდად მიიჩნევა. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ჰომოფობიური ტერმინების ყველაზე მეტი რაოდენობა, სწორედ გეი პროპაგანდას შეეხებოდა.

მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დასაცავად

- გამოიკვეთა 4 თემა, რომლის ირგვლივაც ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას ცდილობდნენ. გაანალიზებული 850 კომენტარიდან, ნახევარზე ოდნავ მეტი იდენტობის დაცვასთან დაკავშირებულ გზავნილებზე მოდის, ნახევარი კი მცირედი სხვაობებით ბავშვების, ღირებულებებისა და ოჯახის ინსტიტუტის დაცვაზე ნაწილდება.
- იდენტობასთან დაკავშირებული კომენტარებიდან ყველაზე დიდი წილი დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ შორის “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ ხელისუფლების მიერ პირველი მოსმენით მიღებულ რუსული ტიპის კანონის კონტექსტში.
- დომინირებდა გზავნილი, რომ თავსმოხვეული ჰომოსექსუალობითა და გარყვნილებით, დასავლეთი, ტრადიციულ იდენტობას გვაკარგვინებს, მაშინ, როცა რუსეთი იდენტობის დაცვას ჰომოსექსუალობის შეზღუდვით და ტრადიციების დაცვით ცდილობს, ხოლო უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები „დასავლეთის ექსპერიმენტია“, რაც ღმერთთან ბრძოლას და ჰომოსექსუალობის თავსმოხვევას ისახავს მიზნად.
- „აგენტების შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ფონზე, იმატა გზავნილებმა, რომ დასავლური დაფინანსება მეტწილად იდენტობასთან ბრძოლას და ლგბტქი პროპაგანდას ხმარდება, ხოლო ისინი, ვინც პროდასავლური და ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევიან, დასავლეთის აგენტებს და „მეხუთე კოლონას“ წარმოადგენენ.
- ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში ყველაზე მეტი გზავნილი არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის და გენდერული თვითგამორკვევის თემებს შეეხებოდა.
- ბავშვებში გარყვნილების პროპაგანდა სასკოლო და სკოლამდელ განათლებას, მედიას, ფილმებსა და წიგნებს უკავშირდებოდა.
- საგანმანათლებლო სივრცეში გენდერნეიტრალური სწავლება, სამოქალაქო განათლება და სექსუალური განათლება, ასევე პედოფილია დასავლეთის მავნე გავლენასთან და ტრადიციულ იდენტობასთან ბრძოლის მიზანმიმართულ პროცესთან იყო დაკავშირებული.
- გზავნილის კულტივირებას, რომ დასავლური ღირებულებები, ლიბერალიზმი შეუთავსებელია ზნეობრივ/ქრისტიანულ საზოგადოებასთან, მეტწილად ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა და მათთან დაკავშირებული მედია და სასულიერო პირები ახდენდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ტრადიციულ ღირებულებებთან ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფის, მისი მართვის და რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოყენების მიზნით ხდებოდა.

- ცალკეულ შემთხვევებში ულტრამემარჯვენე აქტორები ასევე აკეთებდნენ შეფასებებს, რომლის თანახმად, ბოლო დროს ხელისუფლების მცდელობები კონსერვატიული ნიშა მოერგო, იმით იყო განპირობებული, რომ დასავლურ ღირებულებებს საქართველოში მხარდაჭერა არ აქვს.
- ოჯახის, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის შესახებ გზავნილები მეტწილად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის უნგრეთში ამერიკელი ულტრაკონსერვატორების კონფერენციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა, რა დროსაც მან „ოჯახის დაცვის" რიტორიკა ჰომოფობიურ თემებზე მანიპულირებას დააფუძნა.
- ოჯახის დაცვის თემატიკაში აბორტის საკითხი დომინირებდა, რომელიც ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არასდროს განიხილებოდა და რომელიც მხოლოდ ქალის და არა მამაკაცის პასუხისმგებლობად იყო წარმოჩენილი.
- ოჯახის მიზანმიმართულ ნგრევაში, ტრადიციული ოჯახის იერარქიულობის დასუსტებაში ფემინიზმის დადანაშაულება ხდებოდა.
- ვრცელდება რევიზიონისტული განცხადებებიც, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით და მკვიდრდებოდა აზრი, რომ კაცების მოძალადეებად წარმოჩენა უსაფუძვლოდ და მიზანმიმართულად ხდებოდა.

I. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია

1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

კვლევის პერიოდში (1 იანვარი – 31 მაისი, 2023), მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სექსისტური და ჰომოფობიური ხასიათის შემცველი 2527 დისკრიმინაციული შინაარსი, აქედან 1569 – ტრადიციულ მედიაში, ხოლო 958 – სოციალურ მედიაში.

სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენება ნახტომისებურად გაიზარდა 2023 წლის მარტში, რაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამოქალაქო პროტესტს უკავშირდება[1]. თუ თებერვალში მედია მონიტორინგმა 384 სექსისტური და ჰომოფობიური განცხადება გამოავლინა, მარტში ამგვარი განცხადებების რიცხვი თითქმის გაორმაგდა და 701 შეადგინა.

დიაგრამა 1. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა თვეების მიხედვით (იანვარი-მაისი 2023)



1 სამოქალაქო პროტესტის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული კანონი უკან გაიწვია. რადიო თავისუფლება, 10 მარტო, 2023. „პარლამენტმა „აგენტების" კანონპროექტი ჩააგდო"
https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html

სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების ინტენსივობის საჩვენებლად, გამოვთვალეთ მონიტორინგის მიერ გამოვლენილი კომენტარების/პოსტების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი, როგორც მედია მონიტორინგის ყოველი თვისათვის, ისე მონიტორინგის საანგარიშო პერიოდისათვის (1 იანვარი – 31 მაისი, 2023).

გამოვლენილი შინაარსის დღიური საშუალო სტატისტიკური რაოდენობა ყველაზე მაღალი მარტის თვეში იყო და დღეში საშუალოდ 22.6 ჩანაწერს შეადგენდა. ყველაზე დაბალი თვის მაჩვენებელი იანვარში იყო, კერძოდ, დღეში საშუალოდ 5.5 კომენტარი/პოსტი. ზოგადად კი, მთელი საანგარიშო პერიოდისათვის სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის გამოვლენის დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი 16.8 კომენტარს/პოსტს შეადგენს.

დიაგრამა 2. სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი თვეების მიხედვით



მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი 2527 კომენტარიდან/პოსტიდან, 1364 (54%) სექსისტური სიძლვილის ენისა და გენდერული სტერეოტიპების შემცველია, 943 (37%) – ჰომოფობიური ხასიათისაა, ხოლო 220 (9%) ერთდროულად როგორც სექსისტურ, ისე ჰომოფობიურ შინაარსს შეიცავს.

დიაგრამა 3. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების თანაფარდობა



მონიტორინგის ფარგლებში, ტრადიციულ მედიაში სექსისტური სიძულვილის ენისა და ჰომოფობიური შინაარსის შემცველი მეტი განცხადება გამოვლინდა, ვიდრე სოციალურ მედიაში.

დიაგრამა 4. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა ტრადიციული და სოციალური მედიების მიხედვით



მონიტორინგის პერიოდში, როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში, სექსისტური/გენდერულად სტერეოტიპული კომენტარების/პოსტების რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე ჰომოფობიური შინაარსის შემცველი.

დიაგრამა 5. ჰომოფობიური და სექსისტური კომენტარების / პოსტების განაწილება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში



1.2. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია

მედია მონიტორინგის 5 თვიან პერიოდში გამოვლენილი 1584 სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი განცხადებიდან, ტრადიციულ მედიაზე – 915, ხოლო სოციალურზე 669 განცხადება მოდის.

დარღვევების ტიპოლოგია. მონიტორინგით გამოვლენილი სექსისტური შინაარსის ტიპოლოგიზაცია მეთოდოლოგიის ნაწილში აღწერილი სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის მიხედვით განხორციელდა. ზოგიერთ კომენტარს/პოსტს ერთდროულად დარღვევის რამდენიმე ტიპი მიესადაგა. იმ განცხადებების რიცხვმა, რომელთაც დარღვევის ერთზე მეტი ტიპი მიესადაგა, სექსისტური შინაარსის მქონე კომენტარების/პოსტების 7% შეადგინა.

სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის მიხედვით, როგორც სოციალურ (506), ასევე ტრადიციულ მედიაში (445) ყველაზე მეტი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველი კომენტარი/პოსტი გამოვლინდა. ტრადიციულ მედიაში მაღალი იყო ასევე, ანტიფემინისტური და მიზოგინიური შინაარსის (245) განცხადებების რიცხვი, რასაც მოსდევდა გენდერული სტერეოტიპიზაციის (120), გარეგნული მახასიათებლებით (102) და გონებრივი შესაძლებლობებით (83) შეურაცხყოფა/დაცინვის შემცველი მაგალითები. სოციალურ მედიაში ანტიფემინისტური/მიზოგინიური (41), გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვისა (45) და გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფის (46) შემცველი განცხადებები თითქმის თანაბარი რაოდენობით იყო წარმოდგენილი და ტრადიციულ მედიასთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო.

დიაგრამა 6. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ მედიებში



თემატიკა. სექსისტური შინაარსის შემცველი კომენტარების/პოსტების ყველაზე დიდი ნაწილი, როგორც ტრადიციულ მედიაში (567), ისე სოციალურში (490) პოლიტიკას შეეხებოდა. პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებების უმეტესი ნაწილი პოლიტიკოსი და სამოქალაქო აქტივისტი ქალების წინააღმდეგ იყო მიმართული. უშუალოდ გენდერულ თემატიკას კი ტრადიციულ მედიაში 360, ხოლო სოციალურში – 315 შემთხვევა უკავშირდებოდა. კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ტრადიციულ მედიაში 94, ხოლო სოციალურში – 19 კომენტარი/პოსტი ეხებოდა.

დიაგრამა 7. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიებში



წყაროები. ტრადიციული და სოციალური მედიის დაჯამებული მონაცემების მიხედვით, სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების ყველაზე დიდი წილი სამონიტორინგო მედიაზე მოდის. ამ მხრივ, პირველ პოზიციაზეა მედია მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ გვერდები (458), შემდეგ კი მოდის სამონიტორინგო ტრადიციული მედია საშულებები (421).

სამონიტორინგო პერიოდში პოლიტიკოსებმა 268 სექსისტური შინაარსის განცხადება გააკეთეს, საზოგადოების წარმომადგენლებმა – 269, სასულიერო პირებისა (80) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმოადგენლების (84) კომენტარები კი დაახლოებით თანაბარი რაოდენობის იყო.

დიაგრამა 8. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები სფეროების მიხედვით



მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპები ყველაზე ხშირად კრემლისტური სეზონი ტვ და სახელისუფლებო Postv-ის ეთერში გვხვდებოდა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში საინფორმაციო საბაბი მეტწილად Postv-ის დირექტორის შალვა რამიშვილის სექსუალურ შევიწროვებაში დადანაშაულება[2] იყო. ბეჭდური მედიიდან, კი ყველაზე მეტი სექსისტური შინაარსი ქსენოფობიით და ანტიდასავლური განწყობებით გამორჩეულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოვლინდა.

პოლიტიკური პარტიებიდან, მედიაში სექსისტური შინაარსის შემცველი ყველაზე მეტი განცხადება, კრემლისტურმა ალტ-ინფო/კონსერვატიულმა მოძრაობამ გაავრცელა, რომლის ლიდერებიც ამავდროულად ტელევიზია „ალტ-ინფოს“ წამყვანებიც არიან და აღნიშნული განცხადებების გასაკეთებლად დიდწილად სწორედ ამ პლატფორმას იყენებდნენ. შედარებით მცირედ შემთხვევას მეორე კრემლისტური პარტიის, პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში ვხვდებით. მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ და მასთან დაკავშირებული „ხალხის ძალის“ სექსიტური შინაარსის განცხადებებიც კონსერვატიულ მოძრაობასთან შედარებით მცირედი იყო.

სასულიერო პირებიდან კი ყველაზე მეტ სექსისტურ კომენტარს დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი აკეთებდა, რომელიც „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი მღვდელია და „ალტ-ინფოს“ ეთერშიც ხშირად ჩნდება. მას უკავშირდება ასევე რამდენიმე პირადი ფეისბუქ ანგარიში („მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი“ და „დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი“).

მონიტორინგის პერიოდში, სოციალურ მედიაში ყველაზე მეტი სექსისტური პოსტი განათავსეს ფეისბუქის გვერდებმა „Gen-Z თაობა“, „ტერენტი გლდანელი“, „რეალობა“, „კონსერვატიული

2 რადიო თავისუფლება, 21 მარტი, 2023. „ქალები შალვა რამიშვილის წინააღმდეგ – POSTV-ის დირექტორს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ“ https://bit.ly/3OC18lv

ფლანგი“. აღსანიშნავია, რომ ფეისბუქ გვერდი „Gen-Z თაობა“ უშუალოდ მარტის საპროტესტო აქციების შემდეგ, 2023 წლის 3 აპრილს იმ ახალგაზრდების დისკრედიტაციის მიზნით შეიქმნა, ვინც ე.წ. რუსული ტიპის „აგენტების კანონის“ გაწვევის მოთხოვნით პროტესტში გადამწყვეტი როლი შეასრულა. „ტერენტი გლადენლი“ კი ხელისუფლების მხარდამჭერი და ოპონენტების მა-დისკრედიტირებელი გვერდია.

თუ ტრადიციული მედიისა და პარტიების შემთხვევაში, სექსისტური ენისა და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიიდან ყველა ტიპის დარღვევას ვხვდებით, ფეისბუქ ანგარიშებისა და სასულიერო პირების შემთხვევაში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველი კომენტა-რები მეტად გვხდება.

დიაგრამა 9. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია წყაროების მიხედვით



1.3. ჰომოფობია

მედია მონიტორინგის 5 თვიან პერიოდში გამოვლენილი 1163 ჰომოფობიური შინაარსიდან ტრადიციულ მედიაზე – 839, ხოლო სოციალურზე 324 განცხადება მოდის.

თემატიკა. ჰომოფობიური შინაარსის ყველაზე დიდი რაოდენობა ტრადიციულ მედიაში პოლიტიკას შეეხებოდა (574). უშუალოდ გენდერის თემას კი 221 კომენტარი/პოსტი უკავშირდებოდა, რასაც კანონმდებლობასთან დაკავშირებული შინაარსი (139) მოსდევდა.

სოციალურ მედიაში, პოლიტიკასთან და გენდერთან დაკავშირებული განცხადებები, შედარებით თანაბრად იყო გადანაწილებული, კერძოდ, პოლიტიკას შეეხებოდა 195 განცხადება, გენდერს კი – 133.

კანონმდებლობის თემატიკას ტრადიციულ მედიაში 139, ხოლო სოციალურში 43 ჰომოფობიური კომენტარი/პოსტი უკავშირდებოდა. ეს კომენტარები/პოსტები ერთი მხრივ, მოიცავდა ანტიდისკრიმინაციული კანონის, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის, გენდერული კვოტირების, ბავშვთა კოდექსისა და იუვენალური მართლმსაჯულების კრიტიკას, მეორე მხრივ, პოზიტიურად წარმოაჩენდა „უცხოელი გავლენის აგენტის შესახებ“ კანონპროექტს და „გეი-პროპაგანდის“ აკრძალვისაკენ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივას.

დიაგრამა 10. ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიაში



წყაროები. ჰომოფობიური კომენტარების/პოსტების მთავარ წყაროს პოლიტიკოსები (34.8%) წარმოადგენდნენ, რასაც მოსდევდა ტრადიციული მედია (24.5%), სოციალური მედია (12.9%), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (9.3%), საზოგადოების წარმომადგენლები (10%) და სასულიერო პირები (8.5%).

დიაგრამა 11. ჰომოფობიური სიძულვილის ენის წყაროები



პარტიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობას ეკუთვნის (311), რომელთან შედარებითაც ქართული ოცნების (23) და პატრიოტთა ალიანსის (21) მონაცემები მცირეა.

მედიებიდან ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების მხრივ სეზონი ტვ (182) და საქართველო და მსოფლიო (63) ლიდერობენ, სასულიერო პირებიდან კი – დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი (47), ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ (68) შემთხვევაში გვხვდება.

დიაგრამა 12. ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით



1.4. ტერმინოლოგია

მედიის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი 2527 სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილიდან, შეურაცხმყოფელ ტერმინებს 1703 მასალაში/პოსტში (67.7%) ვხვდებით.

შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენების მაჩვენებელი ტრადიციულ მედიაში, სოციალურ მედიასთან შედარებით, უფრო მაღალია. კერძოდ, შეურაცხმყოფელი ტერმინები ტრადიციულ მედიაში გამოვლენილი სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილების 81%-ში გვხვდება. სოციალურ

მედიაში კი, სადაც ვიზუალსა და ფოტომანიპულაციაზეა მეტი აქცენტი, შეურაცხმყოფელი ტერმინები ჰომოფობიური და სექსისტური გზავნილების 45%-შია წარმოდგენილი.

სიძულვილის ენის/შეურაცხმყოფელი ლექსიკის ძირითადი ადრესატები პოლიტიკური ოპონენტები არიან, შესაბამისად, სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენა გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ტექნოლოგია პოლიტიკური ოპონირების პროცესში. სიძულვილის ენის ინტენსივობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება მატულობს „ცხელ“ პერიოდებში, როდესაც პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმი ძლიერდება.

მონიტორინგის მიერ გამოვლენილი სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილები ხშირად გაჯერებული იყო უხამსი ლექსიკით.

ანტიგენდერული. სექსისტური და გენდერულად სტერეოტიპული ტერმინები კატეგორიზებულია იმავე ჩარჩოს მიხედვით, როლითაც მოვახდინეთ სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი დარღვევების ტიპოლოგიის განსაზღვრა. შესაბამისად, ტერმინები დალაგდა 6 კატეგორიის მიხედვით, ხოლო ყველაზე ფართო კატეგორიაში „მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა“ თავის მხრივ, გამოიყო 5 ქვეკატეგორია. ეს კატეგორიებია:

1. მრუშობასთან დაკავშირებული ტერმინები („სლატშეიმინგი“);
2. მიუღებელი მორალური ქცევა, რომელიც ნაწილობრივ „სლატშეიმინგის“ კატეგორიასაც მოიცავს;
3. ანტიეროვნული/რელიგიური;
4. ანტისახელმწიფოებრივი/მერკანტილური;
5. ანტილიბერალური, როდესაც ტერმინ ლიბერალის ნეგატიურ კონტექსტში გამოყენება მეტწილად სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ხდებოდა.

ცხრილი 1. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით

მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა	
მრუშობით შერცხვენა (სლატშეიმინგი)	სამ გროშიანი კიკუების მდედრიონი/გახრწნილი დედაკაცი/ მსუბუქი ყოფაქცევის გოგონა/უბინძურესი ქცევების არსება/ გათახსირებული /გარყვნილი/აღვირახსნილი/აღგზნებული/ატეხილი ქალი/ სულიერად და ხოციელად მეძავი/სექს ძუკნა/ სააკაშვილის 5-ლარიანი ძუკნა/სააკაშვილის ლოგინში გავლილები /სააკაშვილის ჯიბის პუტანკები /სააკაშვილის ხარჯები /გადაგვარებული კახპა / წაკლა /ნაშა/მამაშა/ჰარამხანის წევრები/ფულზე დახამებული / ქუჩაში მდგარი/ცირკთან მდგარი ბოზი /ბოზანდარა /მემრუშეთა შთამომავალი /საროსკიპოდან გამოქცეული/როენას ბორდელის პუტანკა/დაუკმაყოფილებელი დედაკაცი/ბორგნეული ცხენების მსგავსი/სიძვის სულით შეპყრობილი/თითქმის გაშიშვლებული/ გამომწვევად ჩაცმული/ეროტიკულად მიმზიდველ ტანსაცმელში გამოწყობილი/შვილის ნათლიაზე გათხოვილი /ტელე-სექს-დივა / ტელე-სექსტვ-ის წარმომადგენელი/10-ჯერ განათხოვარი/ გადამხტარ-გადმომხტარი/პრასტიტუტკა ქალი/დეგრადირებული „შლუხა“/ხუშტურია/ხათქუნა/სახმარაძე/ევრობოზი/ეროვნული ბოზები

მიუღებელი მორალური ქცევის მხილება	უზნეო დედაკაცი / უზნეო ქმნილება / აგრესიული / თავაშვებული / სახედაკარგული / ღირსებააყრილი / ურცხვი / ნაძირალა / გარეწარი / მატყუარა / უსირცხვილო / უტიფარი / უზრდელი / უხეში / უსაქციელო / სამარცხვინო / უსინდისო ქალი /დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის გოგონა / ბინძური არსება / მონსტრი / გამპრავებელი / თაღლითების ადვოკატი / მართული / ძალით არჩეული / ყურმოჭრილი მონა /მასობრივი სიძულვილის რეკორდსმენი / პოლიტიკური კახპა / დავალების ცივსისხლიანად შემსრულებელი / ჩვეულებრივი ფაშისტი / ზონდერ-პროვოკატორი / კაგებეს ნასეტკა / გესტაპოს ქალი / რუხი კარდინალი / ჭანჭიკი / უტიფარი ღორი / დაქოქილი მაიმუნი / გველის წიწილი / პოლიტიკური აფერისტკა / სულით და ხორცით მოღალატე/ ნაც-ზონდერ ჟჟჟუუუურრრნალისტი /
ანტიეროვნულობა / ანტირელიგიურობის ბრალდებები	უსამშობლო ლაქია / დამნაშავე ერის და ბერის წინაშე / საქართველოს სირცხვილი / ქართული გვარის მქონე არაქართველი / საქართველოს მტერი / ყოველგვარი ქართული თვისებებისგან დაცლილი / უსამშობლო ფაშისტი / უთვისტომო ქალი / ყიზილბაში / საქართველოს განადგურებამოწყურებული / ქართული იდენტობის მტერი / ომის მხარდამჭერი / ჯოჯოხეთის მოციქული / ჯოჯოხეთის მაშხალა / სუსტ გოგონას სხეულში ჩასახლებული ეშმაკი / მკრეხელი / სიწმინდეთა შემბღალავი / უწმინდური ადამიანი / ეშმაკის ინტერესების დამცველი / დედალი ეშმაკი / სატანისტი / სატანის მოციქული / მიწიერი ეშმაკი / ეკლესიის მაგინებელი ჯაშუში / ანტიქრისტიანული ძალები
ანტისახელმწიფოებრივი / მერკანტილური	ანტისახელმწიფოებრივი პერსონა / მოღალატე ქალი / შემოგზავნილი / რეზიდენტი / პ-რეზიდენტი / რენეგატი / გამყიდველი / ნომერ პირველი აგენტი / შთამომავლობით აგენტი / ქართული პოლიტიკის ქოლერა და სახადი / შტურმების და სისხლისღვრების მთავარი ორგანიზატორი / გუგულის კვერცხი / ჩვენი ქვეყნის მტერი / მოღალატეთა ქვედანაყოფი / კოლონიური აზროვნების გადმონაშთი / უსამშობლო მანქურთი / შიზოფრენიჩკა მოღალატე უცხოეთის მიერ დაფინანსებული და გაქეზებული ენჯეო-აგენტი / ქართველი მშიერმუცელა, მონა ენჯეოშნიკი / გრანტიჭამია / დოლარზე გულანთებული / ფულის გამო ყველაფრის მკადრებლი / ფულზე დამწარებული / სოროსის ჭინკა / სულგაყიდული / მოსყიდული ნაძირალა დედაკაცი / ქვეყნის გამყიდველი ქალბატონი / ამორალური ვაჭრუკანა / ფულის გიჟი / რუბლებში ჰონორარის ოფიციალურად ამღები / რუბლოვნა / რუბლიაკა
ანტილიბერალური ბრალდებები	ლიბერალური ფაშიზმის მიმდევრები / კოლექტიური ფერადი ხალხი / ლიბერალების ყველაზე ცუდი ნაწილი / ლიბერალური სექტა / ლიბერალ-ფაშისტური ლგბტ ძალები / ლიბერასტების მოთრეული / სოროსის ლეკვი

ანტიფემინიზმი / მიზოგინია	მეძავი ფემინისტები, ლიბერასტი-ფემინისტები / ფაშისტი ფემინისტები / ფემინისტურ-ფაშისტურ ნაცსექტანტები / ზონდერ-ფაშისტური ფემინისტური სექტა / ლიბერალური და გენდერული ფაშიზმი, გესტაპოს ქალები / ჩვეულებრივი ფაშისტები / პატარა ფაშისტკები / კვაზი ამორძალები / სამხარაძისნაირი ბაბუცა-ლომჯარიები
გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა / შეურაცხყოფა	გოიმური ხმის ტემბრის მქონე / ქვაზე დახატული ეშმაკი / წყალში ჩაგდებული კატა / წუილა კოღოს ეფექტის მქონე / ბანძუშკი / ძონძი / დაჯღანული ქალი / დროას ცხენი / ჯაგლაგი სახედრები / ძროხა / დაჯღვარკული / ცელულიტიანი ქალები / სუნიანი ქალი / მრგვალი ბაღის ტურფა / დედალი გუბაზა / გიული შუბიანი / ქურქდამოკიდებული / ქურქებში ბადით გარშემორტყმული ლორივით გაკვეხებული თვითაღიარებული გაუგებრობა/ ლამაზისეული / ვერგალამაზებული/ მოდელა გიული
გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე შეურაცხყოფა	ჭინკები / ქალებსაც რომ ვერ უწოდებ / ქალისთვის შეუფერებელი / ცოცხებზე მსხდარი კუდიანი ალქაჯები / ქალბატონების ძალიან მძიმე სურათი / სახედაკარგული „ისტერიჩკები“ / აგრესიული / მდუღარე / ცოფიანი ძაღლი / ნაგიჟარი / მყვირალა / წიკვინა ქალები / აშვებული / აწყვეტილი / დასაბმელი ქალები / დასაოკებელი და ქვასროლია ქალები / საღორიის ტყის ბინადარი ქალბატონი / არასერიოზული ქალბატონი / ქარაფშუტა ქალი / ფინტიკოზა ქალბატონი / კეკელა / მატრაკვეცა / ქალის პროვოკაცია / ქალის გლახა / დედადუ / გოგოშკა / საკუთარ საცვალ გაურეცხავი / გენდერულად პირობითი მდედრები / ქალისმაგვარი / არაქალი / არასწორი ქალი / ქალაბიჭა / კაცს მიმსგავსებული ქალი / არტურა / ოთარა / გოგიას ბიჭი / კვერცხებიანი ელენე / ბულდოზერი / ტრაქტორი ქალის ფეხებთან საცვალ თავზედაფარებული კაცი / მენტალურად კასტრირებული კაცი / მქსოველი ბიჭი / ფემინური კაცები / ქალაჩუნა /ქალოია
გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა	უტვინო გოგოები / ეკრანის დებილები / შტერი ქალები / ჩერჩეტი ქალები / სულელი ქალები / ბატი-ტასიკო / ბრძენი კინალოკო / უკითხავი / უჭკუო დედაკაცი / ჭკუიდან გადასული / ჭკუათხელი / ტვინგადაბრუნებული / გაუწონასწორებელი / შეშლილი / ნაგიჟარი / ტუტუცი / იდიოტი / შტერი / გამოშტერებული / ბრჭყალებში ვუნდერკინდი / უნიჭო / გაუნათლებელი / დეგენერატი / უწიგნური / უცოდინარი / ოროსანი / ჩლუნგი / ფუღურო / დებილი ქალი / ქერქეტი დედაკაცი / ერთუჯრედიანი ამებიოზი / რეპტილოიდი / თუთიყუში
ეიჯიზმი	ბაბო / 80 წელს მიკაკუნებული ქალი / ვიღაც 90 წლის ქალი / ფრანგი პენსიონერი / ასაკოვანი ქალბატონი / ბებრუხანა / ჭაღარაშერეული მდაბიო მხცოვანი კახპა / ასაკობრივ კრიზისს გადაყოლილი უგვანო მდედრი / „მერვე კლასელი“ / 18 წლის გოგოს ლუქებით გამორჩეული / საპენსიო ასაკის ქალბატონი / კლიმაქსიანი ქალები/ ცანცარა სამარცხვინო ბებერი ძუკნა / ბებერი პარიზელი ინდაური ჯენზი საქონელი / დებილი თაობა / ლიბერასტული სეგმენტი ახალი თაობის / გონებადაბნელებული, სქესარეული, თავგზადაკარგული ახალგაზრდები / ფემინური მოფარჩაკო ახალგაზრდები / ვიღაც გოგონა / ცხვირმოუხოცავი გოგონა / პატარა ფსლიკიანი გოგო

ადრესატები. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატებს შორის, ყველაზე დიდ ჯგუფს პოლიტიკოსები შეადგენდნენ, აქედან ოპოზიციონერ პოლიტიკოს ქალებზე მოდიოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის შემცველი გზავნილების 23.5%, საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს შეეხებოდა 16.6%, უცხოელ დიპლომატ და პოლიტიკოს ქალებს 13.6%, მმართველი პარტიის პოლიტიკური თანამდებობის მქონე ქალებს 0.6%, რაც ჯამში საერთო რაოდენობის 54.3%-ს შეადგენს. სექსისტური სიძლვლილის ენის შემცველი გზავნილების 17.4% არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი, 9.6% კი მედიის წარმომადგენლებისადმი იყო მიმართული, 10.3% ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრებს (ძირითადად გიული ალასანიას) შეეხებოდა, ხოლო 4.7% პოსტვ-ის წამყვანის სექსუალურ შევიწროვებაში მხილების ქეისთან დაკავშირებულ ქალებს უკავშირდებოდა, 3.7%-ის ადრესატები კი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ.

დიაგრამა 13. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით



მედია მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი ადრესატები პოლიტიკოსი და სამოქალაქო აქტივისტი ქალები იყვნენ. ქალებს შორის თავდასხმების ყველაზე ხშირ სამიზნეს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენდა. მის მიმართ შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენების 182 შემთხვევა გამოვლინდა.

უცხოელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსების მიმართ ყველაზე ხშირად, შეურაცხმყოფელი ლექსიკა გამოიყენებოდა საქართველოში აშშ-ს ელჩის, კელი დეგნანის წინააღმდეგ (98 შემთხვევა). ხშირი იყო თავდასხმები ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის წინააღმდეგ (25).

ხშირი სამიზნე იყო პრეზიდენტ სააკაშვილის დედა გიული ალასანიაც (89 შემთხვევა). ექს-პრეზიდენტთან დაკავშირებული პირების დისკრედიტაცია სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული ფართო კამპანიის ნაწილს შეადგენს. გიული ალასანიას წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებში გვხდება, როგორც მორალური კრიტერიუმებითა და გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე შერცხვენა, ისე გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა და ეიჯისტური თავდასხმები.

ქალი პარლამენტარებიდან, სექსისტური სიძულვილის ენის ყველაზე ხშირი სამიზნეები იყვნენ ელენე ხოშტარია (56), ხათუნა სამნიძე (46), ანა ნაცვლიშვილი (30), ანი წითლიძე (27), თამარ კორძაია (26) და სალომე სამადაშვილი (18). ქალ პოლიტიკოსებზე თავდასხმების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო 2023 წლის მარტის თვეში, როდესაც ქალმა პარლამენტარებმა დიდი როლი შეასრულეს უცხოური გავლენის აგენტის კანონპროექტის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტში. მცირე რაოდენობით გვხვდება შემთხვევები, როდესაც სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატებს მმართველი პარტიის პოლიტიკური თანამდებობის მქონე ქალები წარმოადგენდნენ: ნინო წილოსანი (3 შემთხვევა), თეა წულუკიანი (2), ქეთევან დუმბაძე (1).

მონიტორინგის პერიოდში სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების ხშირი სამიზნეები გახდნენ ყოფილი ომბუდსმენი ნინო ლომჯარია (55), ასევე ქალები, რომლებაც POSTV-ის წამყვანი სექსუალურ შევიწროვებაში ამხილეს (თათია სამხარაძე (23), ანანია გაჩეჩილაძე (22)). პირველი არხის ეთერის „ლგბტ პროპაგანდისათვის“ გამოყენების ბრალდებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის წინააღმდეგ წარიმართა დისკრედიტაციული კამპანია, რომელიც როგორც სექსისტურ, ისე ჰომოფობიურ გზავნილებსაც შეიცავდა.

დიაგრამა 14. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)



ჰომოფობიური ტერმინოლოგია. მედია მონიტრინგის პერიოდში (2023 წლის 1 იანვარი – 31 მაისი) გამოვლენილი ჰომოფობიური ტერმინების კატეგორიზება მედიის განვითარების ფონდის 2022 წელს განხორციელებული კვლევის „ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში“[3] ანგარიშისათვის შემუშავებული ჩარჩოს მიხედვით მოვახდინეთ.

აღნიშნული ჩარჩოს მიხედვით ჰომოფობიური ტერმინები იყოფა 4 კატეგორიად, რომლებიც თავის მხრივ, ქვეკატეგორიებსაც მოიცავს.

1. **ქცევასთან დაკავშირებული ტერმინები**
   1.1 ჰომოსექსუალობის ცოდვასთან გაიგივება
   1.2 ჰომოსექსუალური ურთიერთობების გარყვნილებად/ამორალურობად შეფასება
   1.3 ლგბტქი იდენტობის ავადმყოფობად/ნორმიდან გადახრად შეფასება
   1.4 ლგბტქი თემის წევრთა გამოხატვის თავისუფლების პროპაგანდად შეფასება
   1.5 ერთი სქესის პირთა ქორწინებასთან დაკავშირებული ტერმინები
   1.6 ჰომოსექსუალობის პედოფილიასთან/ინცესტთან გაიგივება
2. **იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები**
   2.1 გაურკვეველ გენდერზე/იდენტობაზე აპელირება
   2.2 იდენტობის ნიშნით დაკნინება
   2.3 დეჰუმანიზაცია
3. **ტერმინები, რომელიც აერთიანებს ანტიდასავლურ და ჰომოფობიურ შინაარსებს**
   3.1 ანტილიბერალური ხასიათის ჰომოფობიური ტერმინები
   3.2 ევროპისა და ზოგადად, დასავლეთის გარყვნილების სათავედ წარმოჩენა

ჰომოფობიურ გზავნილებში ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ მიიჩნევა ლგბტქ თემის წარმომადგენლების საჯარო სივრცეებში ხილულობა, ამიტომაც თვითგამოხატვის ნებისმიერი ფორმა – მსვლელობა, ფილმი, ტელეგადაცემებში მონაწილეობა – მიიჩნევა აგრესიულ პროპაგანდად. შესაბამისად, ყველაზე მეტი ტერმინი (363) შევიდა იმ ქვეკატეგორიაში, რომლიც პროპაგანდას უკავშირდება.

საკმაოდ ხშირია ლგბტქ იდენტობისა და პედოფილიის გაიგივება (44). ვრცელდება მოსაზრება, რომ საზოგადოების ტოლერანტობის ზრდა განსხვავებული იდენტობების მიმართ, თითქოსდა პედოფილიის ნორმალიზება-დამკვიდრებასაც გულისხმობს.

ანტიდასავლური შინაარსის მქონე ჰომოფობიური ტერმინოლოგიიდან ნაწილი გაერთიანდა ქვეკატეგორიაში: ანტილიბერალური ხასიათის ტერმინები (176), ნაწილი კი (56) იმ ქვეკატეგორიაში, რომელმაც ის ტერმინები მოიცვა, რომელიც დასავლეთს, გარყვნილების სათავედ წარმოაჩენს.

3 თ. კინწურაშვილი, თ. გოგოლაძე, კვლევის ანგარიში „ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში“, მედიის განვითარების ფონდი, 2023, http://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2023/02/GenderReport-GEO-web-1.pdf

ცხრილი 2. ჰომოფობიური ტერმინები

ტიპოლოგია		ტერმინები	გამოყენების სიხშირე
ლგბტქი+ იდენტობის ადამიანების მოხსენიება სხვადასხვა ტერმინის ვარიაციით	ლგბტქ	ლგბტ აქტივისტები / ლგბტ პროპაგანდისტები / პრო ლგბტეები / ლგბტ ჯაშუშები / ლგბტ ტერორისტი / ლჯბტ ზონდერი / ლგბტ ჭინკა / ლგბტ გარყვნილება / ლგბტ სიბილწე / ლგბტ სისაძაგლე / ლგბტ ცოდვა / ლგბტ პროპაგანდა / ლგბტ აგიტაცია / ლგბტ გარყვნილების აგრესიული პროპაგანდა / ლგბტ იდეოლოგია / ლგბტ დიქტატურა / ლგბტ კანონები / ელჭეპეტე დღის წესრიგი / ლგბტ დღის წესრიგთან მოფლირტავეები / ლგბტ ფაშისტური ძალები / ფაშისტური ლგბტ პროპაგანდა / ლგბტ კულტურა/ ლგბტ თემა / ლგბტ პროპაგანდისტული ფილმი / ლგბტეების ბილწი ფესტივალი/ ლგბტ ბორდელი / ლგბტ ტრიაპკა / ლგბტ ტანსაცმელი / ლგბტ გამოსახულება / ლგბტ სიბილწის კვირეული	283
	გეი	გეი აქტივისტები / ათასი ჯურის გეი აქტივისტები / გეი პროპაგანდისტები / გეი პოლიტიკოსები / მოხუცი გეები გეი ბიჭუნა / გეი კონჩიტა / ლატენტური გეები / გეი ფაშისტები / გეი რევოლუციონერები / გეი აგენტურა / გეი პროპაგანდა / გეი და სექს პროპაგანდა / / გეიმარში / / გეი ორგანიზაცია / გეი კულტურა / გეი სიუჟეტი / გეი მულტფილმი / გეი ტანსაცმელი / გეი ორგია / გეი დღის წესრიგი / გეი მედიები/ გეი ძალადობა / გეი რევოლუცია / გეი მაფია / გეი სახელმწიფო / გეი მინისტრი / გეი დროშა	251
	„პიდარასტი“	პიდარასტები / ოფიციალური პიდარასტი / კოლგოტებიანი პიდარასტი / მთლად პიდარასტები / აქაური ღარიბი პიდარასტები / მსოფლმხედველობრივად პიდარასტები / საყურეებიანი პიდარასტი / წვერებიანი პიდარასტი / ვიღაც გაღიმებული პიდარასტი/ მოხალისე პიდარასტები / მოპიდარასტო ელემენტები / პიდარასტობის აქტივისტები / პროპიდარასტობა / პროპიდარასტი ბიჭი / პროპიდარასტების თაობა / კოლექტიური საპიდარასტეთი / გაპიდარასტება / პიდარასტობა / აზროვნებით გაპიდარასტებული / პიდარასტების პარადი / პიდარასტების აღლუმი / ვიღაცა მებრძოლი პიდარასტი/ მოლოტოვის კოქტეილის მსროლელი პიდარასტი / ლაზარე პიდარასტიდისი / ცისფერი-პიდარ-ბოლშევიკები / პიდარ-არასამთავრობოები / პიდარ-მასმედია / პიდარასტების ორიენტაცია / პიდარასტების კანონი / პიდარასტული გზა / პიდარასტული ორგანიზაცია / პიდარასტი აგენტი / გარყვნილ-პიდარასტული ორგია / პიდარასტული გარეგნობა	236
	ტრანსგენდერი	პროტრანსგენდერობა, ვიღაც ტრანსგენდერი / ტრანსგენდერებისნაირი / ტრანსგენდერი ახალგაზრდები / ტრანსგენდერი ადმირალი / ზანგი ტრანსგენდერი / თეთრი ტრანსგენდერი / მინი იუბკაში გამოჭიმული ტრანსექსუალი / შორიდან ქალი, ახლოდან მამაკაცი / ქალად გადაკეთებული კაცი / ტრანსგენდერიზმის პროპაგანდა / პიდარასტულ-ტრანსგენდერული მრავალფეროვნება / ტრანსგენდერების რაღაც მილიონი ვარიაცია / ტრანსგენდერული იდენტობა / ტრანსგენდერული ტრანსფორმაცია / ტრანს სიმბოლოები / ტრანს-თემატური პროდუქტები / ტრანსსექსუალური მასკარდი	130
	ლესბოსელი	ლესბოსელი ქალბატონი / ლესბოსელი ხელმძღვანელი / ლესბოსელური არხები / ლესბოსური ფილმები / ლესბოსური სერიალი / გალესბოსელება / ლეზბიანკა /ლეზბიანკობენ /	63

ტიპოლოგია		ტერმინები	მამოწმებლების სიხშირე
	მამათმავალი	მამათმავალი/ მამათმავლობა / მამათმავლური / მამათმავლობის სიბილწე / მამათმავლობის პროპაგანდა / მამათმავლების ლობისტები / მამათმავლობის ტრიაპკა	43
	ჰომოსექსუალი	სტატუსიანი ჰომოსექსუალები / ჰომოსექსუალთა ბატალიონი / სოდომია-ჰომოსექსუალიზმი / ჰომოსექსუალთა მანიფესტი	28
	დედათმავალი	დედათმავალი / დედათმავლობა / დედათმავლური	8
ქცევასთან დაკავშირებული	ცოდვა	ცოდვის შვილები / ცოდვილები / სოდომიის მომხრე / სოდომისტი / სოდომიტი / სოდომისტური ვნებით შეპყრობილი / უბილწესი სოდომისტები /ლგბტ ცოდვა / უბილწესი ცოდვა / სულისწარმწყმედელი ცოდვა / უსაშინლესი ცოდვა / სოდომიის ცოდვა / სოდომ-გომორის ცოდვა / სოდომ-გომორის გზა / სოდომ-გომორის ბრძოლის მედროშე / სოდომ-გომორის უფსკრული / სოდომ-გომორის ჭაობი / სოდომიზაცია / სოდომიის სიბილწე / სოდომური ურთიერთობები / სოდომია-ჰომოსექსუალიზმი / სოდომიის ბუნაგი / სოდომიის გააფთრებული პროპაგანდა/ სოდომური ცოდვის პროპაგანდა / სოდომიის პროპაგანდისტები / სოდომური ტელევიზიები / სოდომური პარტიები / სოდომიტების აღლუმები / სოდომიის გაკვეთილები/ სოდომური დღე / სოდომიტური კანონები/ სოდომისტური დიქტატურა / სოდომიის დამაკანონებელი მთავრობა / სოდომური ხელისუფლება / სოდომისტური სიმახინჯის კულტივირება / სოდომიის დროშა / სატანისტი / სოდომის დამძალებელი სატანური ძალები / მიზანმიმართული სატანური ქმედებები / სატანის მოციქული	168
	გარყვნილება / ამორალურობა	გარყვნილება / სექსუალური გარყვნილება / სექსუალური გარყვნილების კულტი, / აღვირახსნილობა / უზნეობა / გახრწნილება / ამორალობა / უღირსობა / გაუგონარი საზიზღრობა / თავაშვებული ინტიმური ურთიერთობები / გარყვნა-გათახსირება / სიბილწე / სიბილწის ბაქტერია / გარყვნილების მიკრობი / მამათმავლობის სიბილწე / უბილწესი საძაგლობა / სიბილწის პროპაგანდა / სიბილწის პროპაგანდისტები / ბილწი / უწესო ჭაბუკი / გარყვნილი ადამიანები / გარყვნილების იდეოლოგია / აღვირახნილი სისტემა / ბინძური აღლუმი / ბავშვთა გარყვნა / ლგბტ გარყვნილების აპოთეოზი	185
	ავადმყოფობა / ნორმიდან გადახრა	გადახრა / ავადმყოფობა / პათოლოგია / ანომალია / სიგიჟე / არანორმალურობა / ლგბტ გადახრა / დეგრადაცია / გადაგვარება / მენტალური პათოლოგიის ყველაზე ცუდი ფორმა / ფსიქიკური აშლილობა / ტრანსგენდერული შიზოფრენია / სიშტერე / ბუნების შეცდომა / ფსიქოლოგიური დარღვევა / არატრადიციული სექსუალური მიმართულება / არაბუნებრივი ურთიერთობები / გაუკუღმართებული აზროვნება / გაუკუღმართებული იდეოლოგია / გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობები / არანორმალური სექსუალური კავშირები / არასწორი ხალხი / პერვერტი / უკუღმართი წესით მცხოვრები ადამიანი / დეფექტური ადამიანი / ავადმყოფი / შიდსიანი	155

ტიპოლოგია		ტერმინები	მამოყენების სიხშირე
	ლგბტ პროპაგანდა / თვითდამკვიდრება	გარყვნილების პროპაგანდა / გახრწნილების რეკლამირება / უზნეობის საშინელი პროპაგანდა / სოდომური ცოდვის პროპაგანდა / მამათმავლობის პროპაგანდა / ბილწი სოდომიის პოპულიზატორები / ბორდელვიზიები / ტელე-ბორდელი / გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა / არაჯანსაღ პროპაგანდა / აღვირახსნილი აგრესიული პროპაგანდა / პიდარ-პროპაგანდა / პიდარ-პარადი / კაი ჯიგრული გეი პარადი / ლგბტ თემის აღლუმი / ლგბტ მარში / გეი პროპაგანდა / გეი მედია / გენდერის პროპაგანდა / ლგბტ ფილმები / ლესბოსელობის პროპაგანდისტული ფილმი / ლიბერასტული პროპაგანდა, ელჭპეტე დღის წესრიგი / ლგბტ აგიტაცია / ლგბტ დიქტატურა / მამათმავლობის პროპგანდის ნაკერავზე გახეული / სოდომისტური დიქტატურა / ცისფერი ოკუპაცია / ცისფერი ტერორი	363
	ქორწინება	გათხოვილი კაცი / ბიჭის გათხოვება / გათხოვილი ადამიანები / ძმა გათხოვილი ადამიანი / სოდომიტების „ქორწინება“ / იმავე სქესის პირთა ქორწინების პროპაგანდის წუმპე / ლგბტ ქორწილი / ერთსქესიანთა ქორწინება / სოდომიტების „ქორწინება“	20
	თემის პედოფილიასთან დაკავშირება	პედოფილები / გარყვნილი პედოფილები / პედოფილი პერვერტები / გეი პედოფილი / პედერასტები, ბავშვებს რომ ხრწნიან / ბრიტანელი პედოფილების ჯგუფი / პედოფილი დეპუტატი / პედოფილიის პროპაგანდა / პედოფილიური კულტურული ნორმები / პედოფილიური შოუ / პედოფილიის ნორმალიზაცია	44
	ავადმყოფობა / ნორმიდან გადახრა	გადახრა / ავადმყოფობა / პათოლოგია / ანომალია / სიგიჟე / არანორმალურობა / ლგბტ გადახრა / დეგრადაცია / გადაგვარება / მენტალური პათოლოგიის ყველაზე ცუდი ფორმა / ფსიქიკური აშლილობა / ტრანსგენდერული შიზოფრენია / სიშტერე / ბუნების შეცდომა / ფსიქოლოგიური დარღვევა / არატრადიციული სექსუალური მიმართულება / არაბუნებრივი ურთიერთობები / გაუკუღმართებული აზროვნება / გაუკუღმართებული იდეოლოგია / გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობები / არანორმალური სექსუალური კავშირები / არასწორი ხალხი / პერვერტი / უკუღმართი წესით მცხოვრები ადამიანი / დეფექტური ადამიანი / ავადმყოფი / შიდსიანი	155
იდენტობასთან დაკავშირებული	გაურკვეველ გენდერზე / იდენტობაზე აპელირება	გაურკვეველი გენდერი / რაღაც გენდერი / სხვა გენდერები / გაურკვეველი სქესის წარმომადგენელი / სხვა რაღაც ორიენტაციების წარმომადგენლობა / გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელი / გენდერული გაუგებრობა / გენდერული იდენტობის მქონე პერსონაჟი / გენდერული სისულელე / ახალი ლგბტ ჯიშის გენდერი / გენდერიზაცია / არატრადიციული ორიენტაცია / ორიენტაცია არეული / ბინძური გენდერის (ლგბტ) თეორია / გენდერული იდეოლოგია / მოდელირებული კაცი / ქალაბიჭა / „ვაჟკაცები“ / იდენტობის აღრევა / იდენტობის დაკარგვა / სქესობრივი იდენტობის მოშლა / 70 გენდერი / ამოუწურავი რაოდენობა გენდერები	53

ტიპოლოგია		ტერმინები	გამოყენების სიხშირე
	იდენტობის ნიშნით დაკნინება	ვიღაც ფერადი/კოლექტიური ფერადი ხალხი/ ფერადი პაპუასი/ ფერადი კლოუნი/ვიღაც საყურეებიანი / საყურეებიანი ფერადი სტუდენტები / კიკინებიანი, საყურეებიანი ევროპული ახალგაზრდობა / საყურეებიანი საზიზღრობა ხალხი / მანიკურიანი ტიპები გალაკული, მანიკურწასმული კაცი / კონჩიტები /ჯენზი კონჩიტები / კონჩიტების კუმირი / კონჩიტების პრეზიდენტი / კონჩიტების იმპერატორი / კონჩიტების მოწამლული პატარა ბიჭები / კოლექტიური ფერადი ხალხი / კოლექტიური ლაზარეები / ასეთი ადამიანები / პეძიკების კუმირი	50
	დეჰუმანიზაცია	ცხენგენდერი ცხოველები / საქონელი / საქონლობა / ტრანსგენდერი საქონლები / ჯენზი საქონლები / ლგბტ მაიმუნი / ვიღაც მაიმუნები / „ქათამი“ / ქათმების კოლონა / მძღნერობო / ფალოსიჭამია / უკანალგარღვეული / მესაჯდომე / ტრაკის თავისუფლება / რაღაცა არსება / იდენტობა მოშლილი რაღაც ბიომასა	60
ანტიდასავლური	ანტილიბერალური	ლიბერასტი / ტრენდული ლიბერასტი / შიდა და გარე ნეოლიბერალები / სოდომისტური ევროპალიბერალი / ფარჩაკი ლიბერასტი / ვიღაც ლიბერასტი / სალიბერასტეთი / გამოლიბერალება / გალიბერასტება / გამოტოლერანტობა / საკმარისად გამოტოლერანტებული / ორიენტაცია არეულობამდე ლიბერალი / სოდომურ-ლიბერასტული ძალები / ლიბერალური სოდომიზაცია / ლიბერალური დიქტატი / ლიბერასტული კულტურული აქტივობები / ლიბერასტული შემოტევა / ლიბერალური ფლანგი / პროდასავლური ლიბერალური ძალები / ლიბერასტული მედია / ლიბერასტული იდეოლოგია / ლიბერალური ფაშიზმი / ლიბერალური ფაშიზმის მეტროპოლია / ლიბერასტული რევოლუცია / ლიბერასტული სექტა / ლიბერასტული ძალები / კოლექტიური ქართველი ლიბერასტი	179
	გეი ევროპა / გარყვნილი დასავლეთი	გეი ევროპა / ევროპის ლგბტ კავშირი / გეი ევროპელები / გეი ევროპის წარმომადგენლები / შიგევროპელები / ლიბერასტი ევროპელი აქტივისტები / ანგლოსაქსი მამათმავლები / ანგლოსაქსი ლგბტ პირები / აშშ-ის ლგბტ პირები / კოლექტიური დასავლეთის ლიბერასტები / პროდასავლელი გეი ფერადი აქტივისტები / დასავლეთის მიერ წაქეზებული ლგბტ თემის წარმომადგენლები / პროდასავლური სოდომიზაცია / სოდომ-გომორ-ევრო-ამერიკის პერვერტ პოლიტ-ელიტა / სოდომიტური ევროპა / აშშ-ს სექტანტურ-სოდომიტური იმპერია / ბაიდენის ლგბტ ადმინისტრაცია / სოდომისტური დასავლური ორგანიზაციები / ლიბერალურ-გლობალისტური დასავლეთი / ლგბტ თემატიკის საერთაშორისო ექსპორტი / ევროკავშირის ხუშტურებზე სიარული / გეი ევროკავშირის დროშა / ვესტერნიზაცია / მსოფლიოს ტოტალური ლგბტიზაცია	56

II. სექსისტური სიძულვილის ენის / გენდერული სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი

2.1. ანტიფემინიზმი / მიზოგინია

მედია მონიტორინგის პერიოდში ანტიფემინისტური და მიზოგინიური განწყობების შემცველი 286 გზავნილი გამოვლინდა. აქედან, ტრადიციულ მედიაში 245, ხოლო სოციალურში – 41. ამ გზავნილებში იკვეთება მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის იდეის, ფემინიზმის, ქალთა მოძრაობის, ქალთა ორგანიზაციებისა და ქალების უფლებების დამცველებისადმი.

ანტიფემინისტურ/მიზოგენურ კომენტარებს მეტწილად სასულიერო პირები, რადიკალური რელიგიური ორგანიზაცია – მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი (მმკ)[4] და ულტრამემარჯვენე ჯგუფები ახდენდნენ:

სასულიერო პირები	
დავით ისაკაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი	ფემინიზმი – „სენია“, ფემინისტები - „სულიერად დეგრადირებული ადამიანები.“[5] „ემანსიპაციის მიმდევრები მოუწოდებენ ქალებს, საბოლოოდ განთავისუფლდნენ მამაკაცის დიქტატისაგან, ამ მოდელის ფარგლებში კი შეუძლებელია ნორმალური ოჯახის ფუნქციონირება“.[6]
სტეფანე კალაიჯიშვილი, მიტროპოლიტი	„ნამდვილი ქალი, ვინც ღირსეული ადამიანია, ის ფემინიზმის ბაცილით არ მოიწამლება“.[7]
დავით ქვლივიძე, დეკანოზი	„სამწუხაროდ, ისეთი სიტუაციები შეიქმნა, რომ პირდაპირ დაიწყეს ქალთა უფლებების დაცვა... ზოგ შემთხვევაში ქალები უპირატესიც არიან ოჯახში და ყველა პირობა შეიქმნა, რომ კაცებმა არ იმუშაონ, ქალებმა იმუშაონ და ფული ქალების ხელში იყოს, მათ მართონ ოჯახები“.[8]

4 მითების დეტექტორი, მმკ, პროფილი https://bit.ly/3QJlpgU
5 qadageba.ge, 24 იანვარი, https://bit.ly/44hx2zE
6 qadageba.ge, 24 იანვარი, https://bit.ly/44hx2zE
7 ჭყონდიდის ეპარქია/Diocese of Chkondidi, 22 იანვარი, https://bit.ly/44dIYUj
8 ქართული იდეა – qartuliidea.ge, 19 თებერვალი, https://bit.ly/44hxbDc

რელიგიური გვერდები	
ZNEOBA.GE	„უღმერთო კლარა ცეტკინის და როზა ლუქსემბურგის დროიდან მოყოლებული, ფემინიზმის არსი და მიზნები არ შეცვლილა, თუმცა კი ევოლუცია განიცადა მოქმედების ფორმებმა და გამოხატვის საშუალებებმა – ისინი უფრო დაიხვეწა, უფრო ვერაგი, სასტიკი და დაუნდობელი გახდა“.[9]
აკაურთას სიონის სამრევლო	„8 მარტი – მეძავთა საერთაშორისო დღეა... არ შევურაცხვყოთ ერთმანეთი.. ნუ მივულოცავთ 8 მარტს მანდილოსნებს.“[10]
ულტრამემარჯვენე, ქრემლისტური ჯგუფები	
Alternative World • ალტერნატიული სამყარო	„ფემინისტები ადრე – ქალებს უნდა ჰქონდეთ სწავლისა და მუშაობის უფლება. ფემინისტები ახლა – იღლიებს არ გავიპარსავთ და თმებს არ გავიზრდით, იმიტომ რომ ეს კაცებს უნდათ“.[11]

ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული აქტორები ოპოზიციონერ ქალ პოლიტიკოსებს და ქალთა უფლებების დამცველებს დასავლური კონსპირაციის აგენტებად განიხილავენ.

ნიკოლოზ მჟავანაძე, ზამყვანი: **„გრანტები, რაც მოდის ძირითადად, ევროკავშირის და ამერიკული გრანტები, მოდის ამ ფემინისტებზე და ამ ზონდერ-ფაშისტებზე. და მერე ატარებენ ტრენინგებს, რომ, აი, ქალთა უფლებები, ფემიციდი.“**[12]

9 ZNEOBA.GE, 8 მარტი, https://bit.ly/3OIPD23
10 აკაურთას სიონის სამრევლო, 8 მარტი, https://bit.ly/45uGbGg
11 Alternative World • ალტერნატიული სამყარო“, 19 აპრილი, 2023, https://bit.ly/3qtvTHH
12 ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, სეზონი tv, 22 მარტი, https://bit.ly/47FBg7s

მაია ნიკოლეიშვილი, სამედიცინო ექსპერტი: „მილიონიანი გრანტებით ფორმალურად ფინანსდება ორგანიზაციები, მაგრამ, თუ ეს გამჭვირვალე გახდება, გამოჩნდება, რომ ... ფინანსდება დესტრუქცია, არეულობა, ხმაური, გენდერთან დაკავშირებული პროვოკაციული აქტივობები, ყვირილი, სტვენა, ღრენა, კბენა და ქვეყნის დისკრედიტაციის მცდელობები, ხელისუფლების შეცვლის მცდელობები!!!"[13]

ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა განიხილება როგორც საფრთხე ქვეყნისათვის. გამოითქმება მოსაზრებები, რომ ქალთა უფლებების დაცვისაკენ მიმართული კანონებით საქართველოში მკვიდრდება ქალთა დღის წესრიგი, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან ეს ასუსტებს მამაკაცებს, მათი დასუსტებით კი, ქვეყანას, და მას ხდის მოწყვლადად არსებული გამოწვევების წინაშე.

შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „მნიშველოვანია, რომ ზოგადად ვაცნობიერებდეთ, რა ფორმის კულტურულ დღის წესრიგს გულისხმობს ეს რადიკალური ფემინიზმი... ფაქტიურად მკვიდრდება დღის წესრიგი, სადაც ვიღაც ქალებს ეძლევათ უბრალოდ საშუალება... უბრალოდ რაღაც ილაპარაკონ ტელევიზიით და ამის საფუძველზე მოწინააღმდეგე მხარეს რა ვიცი, რეპუტაცია დაუნგრიონ".[14]

ლევან ვასაძე, ერთობა, რაობა, იმედი: „ამ მატრიარქალურ სისაძაგლეში, რომელშიც ქართველ კაცს აეკრძალა სიტყვის თქმა, სიმართლის თქმა, მე არ მინდა ცხოვრება."[15]

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „რასაც გვთავაზობენ ლიბერალები, ეს არის კაცის დაჩაგვრა და შესაბამისად, სახელმწიფოს გაქრობა. იმიტომ, რო ფემინისტი ქალები ვეღარ შეაკავებენ მერე ჩვენს სამეზობლოს! იქ არავინ არ აპირებს ფემინიზმს და ანანია გაჩეჩილაძეობას!"[16].

მონიტორინგის პერიოდში, როგორც პოლიტიკოს ქალებზე, ისე სამოქალაქო აქტივისტ ქალებზე, მუდმივად ხორციელდებოდა შეურაცხმყოფელი თავდასხმები ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის დისკრედიტაციის მიზნით. ქალ პოლიტიკოსებს მოიხსენიებდნენ, როგორც „კვაზი ამორძალებს"[17], ცოცხებზე მსხდარ კუდიან ქაჯებს, ქართული პოლიტიკის ქოლერას[18], მდედრიონს[19].

13 Split-news, 6 მარტი, https://bit.ly/45AhbNK
14 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 27 მარტი, https://bit.ly/47BwZSa
15 ამიერ-იმიერი, 24 თებერვალი, https://bit.ly/3OHx26h
16 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 2023 წლის 27 მარტი, https://bit.ly/45AThBF
17 ლალი მოროშკინა, „ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფო": Split News, 31 მარტი, https://bit.ly/47zDwwP
18 თამარ ჩიბურდანიძე, ხალხის ძალა, Split-news, 5 მარტი, https://bit.ly/44e1JWC
19 პოლიტიკური აბსურდი, 4 აპრილი, https://bit.ly/45fc4mj

აღსანიშმავია, რომ ფეისბუქ ქარდს, სახელწოდებით „მდედრიონი“, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციონერ ქალებთან ერთად იყო ასახული, ანონიმური სახელისუფლებო გვერდები – „პოლიტიკური აბსურდი“ და „ტერენტი გლდანელი“ ავრცელებდნენ, რომლებიც ხელისუფლების ოპონენტების დისკრედიტაციის კამპანიებში ადრეც იყვნენ ჩართულნი. უფრო მეტიც, გვერდს „პოლიტიკური აბსურდი“ აღნიშნული პოსტი დასპონსორებულიც ჰქონდა.



მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მავნე აქტორები პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებს ხშირად ფაშისტებად ან ფემინისტ-ფაშისტებად მოიხსენიებენ.

ლიბერალური ფაშიზმის ტერმინის გამოყენება პროდასავლური აქტორების დისკრედიტაციის მიზნით, საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციაა, რასაც ბოლო პერიოდში დაემატა ფაშისტური ფემინიზმის იარლიყის გამოყენება ოპონენტი ქალების მიერ განხორციელებული აქტივობების დისკრედიტაციისათვის.

პროსახელისუფლებო და კონსერვატორული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებში პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალები მოიხსენიებიან ფაშისტ ფემინისტებად,

ზონდერ-ფაშისტურ ფემინისტურ სექტად[20], ფემინისტურ-ფაშისტურ ნაცსექტანტებად[21], გესტაპოს ქალებად,[22] ჩვეულებრივ ფაშისტებად[23], პატარა ფაშისტკებად.[24] ჟურნალისტი ქალების მიერ, სექსუალურ შევიწროვებაში შალვა რამიშვილის მხილებას, ფაშისტური კამპანია ეწოდა[25], ხოლო ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი, სულაც რაიხსმარშალ ჰერმან გერინგის „გენეტიკურ და სულიერი შთამომავალად" იქნა გამოცხადებული".[26]

2.2. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

მონიტორინგის პერიოდში, ტრადიციულ მედიაში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველი 506 გზავნილი გამოვლინდა, ხოლო სოციალურ მედიაში – 445.

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა ძირითადად, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებზე ხორციელდებოდა, მათი რეპუტაციის შელახვისა და დისკრედიტაციის მიზნით.

სლატშეიმინგი. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმებისას აქტიურად გამოიყენებოდა სექსისტური სიძულვილის ენის ფორმა „სლატშეიმინგი" („მრუშობით შერცხვენა").

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალები მოიხსენიებოდნენ, როგორც „ატეხილი ქალები"[27], „5-ლარიანი ძუკნები"[28], საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, როგორც „კახპა"[29], „სულიერად და ხოციელად მეძავი"[30], „გახრწნილი დედაკაცი"[31], „ძუკნა",[32] „ჩათლახი ქალი"[33]. ევროპარლამენტარი ქალები, როგორც „ევრობოზები"[34], ერთ-ერთი ქალი, რომელმაც პოსტ ტვ-ის წამყვანი სექსუალურ შევიწროვებაში ამხილა, როგორც „ბოზი" და „ვიღაცა მსუბუქი ყოფაქცევის, უბინძურესი ქცევების არსება"[35].

ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: „როენას ბარდელში უფრო წესიერი ქალბატონები იქნება, ვიდრე ეს ჰარამხანის წევრები, ეს სამადაშვილები, ჩუგოშვილები, სამნიძეები, კორძაიები".[36]

20 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 22 მარტი, https://bit.ly/3E2yTOi
21 ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, სეზონი TV, 22 მარტი, https://bit.ly/3QFN7MF
22 რეალობა, 19 მარტი, თამარ ჩიბურდანიძე, https://bit.ly/44uQPMt
23 დიტო სამხარაძე, ქართული ოცნება, Split-news, 10 მარტი, https://split.spnews.io/ka/archives/164238
24 პოსტვ, სამნი და კო, 12 აპრილი, ლაშა ბასლანძე, პოს ტვ-ის პროდუსერი, კონცეპტArt-ის ხელმძღვანელის თეონა ჯორბენაძის შესახებ, https://bit.ly/45sHo0A
25 მამუკა მდინარაძე, ქართული ოცნება, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 22 მარტი, https://bit.ly/3OHsAo3
26 მითების დეტექტორი, 13 აპრილი. დეზინფორმაცია, თითქოს ვიოლა ფონ კრამონი ჰერმან გერინგის შთამომავალია https://bit.ly/3P1fMu8
27 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, ასვალ-დასავალი, 20-26 მარტი
28 ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 მარტი, https://bit.ly/3OKcwIy
29 ერმილე ნემსაძე, 20 მაისი, https://bit.ly/47xJazH
30 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 17 მარტი, https://bit.ly/47Hazis
31 დავით ოქიტაშვილი, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი, Split News, 31 მარტი, https://bit.ly/3smSOVK
32 ხათუნა ხოფერია, ყოფილი დეპუტატი, Split News, 31 მარტი, ttps://split.spnews.io/ka/archives/166383
33 გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 2 მარტი, https://bit.ly/3smSFSc
34 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი ასავალ-დასავალი, 20-26 მარტი
35 შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 27 მარტი, https://bit.ly/3YlRacN
36 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 2 მაისი, https://bit.ly/44itMEq

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ სლატშეიმინგს ვიზუალური ფაბრიკაციაც ახლდა თან, როდესაც პორნოსაიტებზე გავრცელებულ ფოტოში მისი სახე იყო ჩაფოტოშოპებული. ფოტოფაბრიკაცია კი მის მიერ ოპოზიციური მთავარი არხის ერთ-ერთი დამფუძნებლის შეწყალებას უკავშირდებოდა[37].

რეალური ფოტო (მარცხნივ), დამუშავებული (მარჯვნივ)

მრუშობით შერცხვენის ხშირ სამიზნეს წარმოადგენდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია. მედია მონიტორიგის პერიოდში კვლავ ვრცელდებოდა დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პატიმრობაში მყოფი ექს-პრეზიდენტის დედა გათხოვდა და ცოლად ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ჩალაძეს გაჰყვა. ეს ტენდენცია მედიის განვითარების ფონდის წინა კვლევამაც გამოავლინა[38].

ანონიმურმა სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდმა „ტერენტი გლდანელი“ გიული ალასანიას ევროპარლამენტში ვიზიტის ფოტო შემდეგი აღწერებით გამოაქვეყნა: „მიშას კეთილები და კარგები ევროპარლამენტარებთან ჩავიდნენ“[39], „ქორწილი ევროპაში გადაიხადეს“.[40]

37 ვრცლად იხილეთ გენდერული დეზინფორმაცია 2023. მედიის განვითარების ფონდი https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/241

38 თ. კინწურაშვილი, თ. გოგოლაძე, კვლევის ანგარიში „ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში“, მედიის განვითარების ფონდი, 2023, https://bit.ly/3E1MLlr, გვ. 36.

39 ევროპარლამენტარებთან ჩავიდნენ, ტერენტი გლდანელი, 14 მარტი, 2023, https://bit.ly/44gjbK7

40 ქორწილი ევროპაში გადაიხადეს, ტერენტი გლდანელი, 14 მარტი, 2023, https://bit.ly/44jm3FU

იმავე სახელისუფლებო გვერდმა „ტერენტი გლდანელი“ გამოაქვეყნა ფოტომანიპულაცია[41] თათია სამხარაძის წინააღმდეგ, რომელმაც წარსულში PosTV-ის დირექტორი შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროვებაში ამხილა და სასამართლოში საქმეც მოუგო. სამხარაძე სახელისუფლებო მედიის სამიზნე მას შემდეგ გახდა, რაც რამიშვილის წინააღმდეგ სექსუალური შევიწროვების ბრალდებით საჯარო განცხადებები სხვა ქალებმაც გააკეთეს. PosTV-ის ჟურნალისტმა ნათია ბერიძემ მოამზადა სიუჟეტი, სადაც ამტკიცებდა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრს დიმიტრი ჩიქოვანს თათია სამხარაძე კარადაში ჰყავდა გამოკეტილი და მასზე ძალადობის გამო პატრულიც კი გამოიძახა[42]. სწორედ ეს ინციდენტი გახდა თათია სამხარაძის წინააღმდეგ შეტევის საფუძველი, რასაც ვიზუალურთან ერთად, ნარატიული შეფასებებიც ახლდა თან.

თათია გაბრიჭიძე, ალტ-ინფო: „კეზერაშვილის ცოლის ძმა, პატივცემული ჩიქოვანი ამტკიცებს, რომ მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე. თუმცა, ჯერ არ ვიცით პასუხი ძალადობის მსხვერპლად წარმოჩენილ თათია სამხარაძეს რა უნდოდა ჩიქოვანის სახლში, კერძოდ კარადაში?[43]“

თავის მხრივ, ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდის „Political მემეზ“-ის სამიზნე გახდა PosTV-ის ჟურნალისტი ნათია ბერიძე, რომელმაც თათია სამხარაძის წინააღმდეგ არაეთიკური სიუჟეტი მოამზადა და პოლიციის თანხლებით პრივატულ სივრცეში დაუსაბუთებელი საბაბით შეჭრა სცადა. გვერდმა სლატშეიმინგის შემცველი პოსტები გამოაქვეყნა[44], რომელშიც ბერიძის მიმართ უხამსი ლექსიკა იყო გამოყენებული და კეთდებოდა მინიშნება, პროფესიული წარმატების მიღწევისათვის ნაკლებად მორალური გზების გამოყენებაზე.

41 ტერენტი გლდანელი, 26 მარტი. https://www.facebook.com/terentigldaneli2/posts/pfbid04cLsujsLsGjTQ hcvthauJB9S uSYGNVHBScxDfQ7XxZTF3FUE3mnJWbqioV5sVxX2l

42 ნინო ბიძინაშვილი, ნეტგაზეთი, 27 მარტი, სახელმწიფო თათია სამხარაძის წინააღმდეგ https://netgazeti.ge/life/662211/

43 ალტ-ნიუსი, 25 მარტი https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=765863388385394

44 Political მემეზ, 20 მარტი, https://www.facebook.com/photo/?fbid=766070541757646&set=a.309823030715735
Political მემეზ, 22 მარტი,
https://www.facebook.com/Politicalmemez/posts/pfbid0JEimdchxVjRBJrJ9QAD6nworQtAkdxGZREZ1HnL5NEGq7AZKJEohr2Jr7ForpPRUl

ანტისახელმწიფოებრივი / ანტიეროვნული / ანგარებიანი ქმედება. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მრუშობით შერცხვენით. ქალ პოლიტიკოსებს, ქალთა უფლებების დამცველებს, ზოგადად სამოქალაქო აქტივისტ ქალებს, ბრალს დებდნენ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, უცხო ქვეყნების ინტერესების გატარებაში, ჯაშუშობაში, აგენტობაში, ეროვნული ინტერესების სანაცვლოდ თანხების მიღებაში.

ამ ტიპის გზავნილების ხშირ სამიზნეს წარმოადგენდა საქართველოს პრეზინდეტი, სალომე ზურაბიშვილი. მას უწოდებდნენ „ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველ მტერს“[45], აგენტს[46], „საქართველოს უცხო სხეულს“,[47] „ქართული გვარის მქონე არაქართველ პრეზიდენტს“[48], „საქართველოს მტერს“,[49] „მოწოდებით მოღალატეს“,[50] „გენეტიკურ მოღალატეს.“[51]

ოპოზიციონერ პოლიტიკოს ქალებსა და სამოქალაქო აქტივისტებს, ასევე ჟურნალისტებს მოიხსენებდნენ, როგორც „სახედაკარგული გრანტიჭამია“,[52] „უცხოეთის მიერ დაფინანსებული და გაქეზებული ენჯეო-აგენტები“,[53] „უცხოური გავლენის აგენტი“,[54] „ეკლესიის მაგინებელი ჯაშუშები“[55], „სოროსის ჭინკები“[56], „ლიბერრალ ფაშისტი ჟურნალისტი“.[57]

45 Split News, 31 მარტი, დავით ოქიტაშვილი, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი, https://split.spnews.io/ka/archives/166380

46 ხათუნა ხოფერია, ყოფილი დეპუტატი, Split News, 31 მარტი, https://bit.ly/3sbWucy

47 გია აბაშიძე, Split-news, 10 აპრილი, https://bit.ly/44gji8v

48 ზურაბ ცუცქირიძე, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, SPLIT-news, 29 მარტი https://bit.ly/45fLKbY

49 მაია ნიკოლეიშვილი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, Split News, 31 მარტი, https://bit.ly/47GsMwu

50 Publicist.ge, 27 მაისი, https://bit.ly/3YEhEfH

51 Ermile Nemsadze, 31 მარტი, https://bit.ly/47Ge74I

52 ტერენტი გლდანელი, 2 მარტი, https://bit.ly/3YX2baV

53 დიტო ჩუბინიძე, ასვალ-დასავალი, 20-26 მარტი

54 უცხოური გავლენის აგენტი, სირცხვილის კორიდორი, 10 მარტი, https://bit.ly/45eey4E

55 პატრიოტული გვერდი, 2 მარტი, https://bit.ly/44gJnnG

56 ჩარლის ანგელოზები, სოროსის ჭინკები, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, 3 მარტი, 2023, https://bit.ly/3P4TqYZ

57 პატრიოტული გვერდი, 18 მარტი, https://bit.ly/45ewmwx

ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ პროდასავლურად, ლიბერალურად განწყობილი, ფემინისტური შეხედულებების მქონე ადამიანები, აუცილებლად ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და ქვეყნის საზიანოდ მოქმედებენ[58]:

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „რატომ უმეტესი ლიბერასტი, პ...რასტი, ფემინისტი, ეკლესიის მტერი, ნარკო ლობისტი, წინაპრების მაგინებელი... მედასავლეთე?!“

ანტისახელმწიფოებრივი და ანგარებიანი ქმედებების ბრალდების შემცველი გზავნილების ხშირ სამიზნეს წარმოადგენდა პარლამენტის წევრი ელენე ხოშტარია. მას მოიხსენიებდნენ, როგორც „დროას ცხენი“[59] „ქალბატონი ლიაკა რიუბლოვა“,[60] „რუბლიაკა“[61], „რუბლოვნა“,[62] „ელენე „რუბლი“ ხოშტარია“.[63] ვრცელდებოდა რუსულ ბანკნოტზე დატანილი მისი გამოსახულება.[64] ხოშტარია დისკრედიტაციის კამპანიის სამიზნე, რომლის მიზანი მისი რუსეთის ინტერესების გამტარად წარმოჩენაა, წინა წელსაც იყო, რისთვისაც რუსეთში მიღებულ მის განათლების და მისი ოჯახის წევრის მიერ რუსეთიდან საავტორო ჰონორარის მიღების ფაქტებს იყენებენ[65].

58 გურამ ფალავანდი ᲚᲦ, 24 იანვარი, https://bit.ly/3Ol2Fgj
59 „ასავალ-დასავალი“, 2023 წლის 22 მაისის №24
60 დიტო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 26 მაისი, 2023, https://bit.ly/3slm2nS
61 არ აგარევინებთ, 16 მაისი, https://bit.ly/45xo42o
62 არ აგარევინებთ, 18 მაისი, https://bit.ly/3qBTBBs
63 POSTV – ანალიტიკა, 24 იანვარი, https://bit.ly/45fNB0o
64 სიმართლის დროა, 18 იანვარი, https://bit.ly/44hhA6E
65 თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში,https://bit.ly/45uUfA9

2023 წლის მარტის მოვლენებში ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალების აქტიური პოზიციის საპასუხოდ, სოციალურ მედიაში აქტიურად გავრცელდა პოსტები, სადაც მათ ანტიეროვნულობაში, კერძოდ კი მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში სდებდნენ ბრალს და „ეკლესიის მაგინებელ ჯაშუშებს უწოდებდნენ“.[66] ანონიმურ სახელისუფლებო გვერდს „პოლიტიკური სატირა“ კი იდენტური შინაარსის პოსტი დასპონსორებული ჰქონდა.[67]

66 პატრიოტული გვერდი, 2 მარტი, https://bit.ly/44gJnnG
სირცხვილის კორიდორი, 2 მარტი, https://bit.ly/44vRrS1
სიმართლის დროა, 2 მარტი, https://bit.ly/3Klwaxh
„ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ აფინანსებს ეკლესიის მაგინებელ ჯაშუშებს“, პოლიტიკური აბსურდი, 2 მარტი, https://bit.ly/3OHWTLv

67 პოლიტიკური სატირა, 2 მარტი, 2023, https://bit.ly/3KLt8Z7





ქართველი პოლიტიკოსების გარდა, სამიზნე დასავლელი პოლიტიკოსებიც იყვნენ, რომელთაც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში ადანაშაულებდნენ. ამ ტიპის ბრლადებები უმეტესწილად მიმართული იყო საქართველოში აშშ-ს ელჩის კელი დეგნანის წინააღმდეგ, ასევე ხშირი იყო ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონისადმი მიმართული თავდასხმები. კელი დეგნანი მოიხსენიებოდა, როგორც „ორღობის ჭორიკანა დედაკაცი“[68], „კელი-ასინეთა“[69], „ეშმაკის ინტერესების დამცველი გველი დეგნანი“[70]. ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონს კი მოიხსენიებდნენ, როგორც 2% იანი ფონ კრამონი,“[71] „ქართველი კვაზიფაშისტების ბებიაქალი“.[72] აღსანიშნავია, რომ როგორც ამერიკის ელჩის, ასვე ევროპარლამენტის წინააღმდეგ სახელისუფლებო ანონიმური გვერდების მიერ გამოქვეყნებული ორივე პოსტი დასპონსორებული იყო. ამასთანავე, კელი დეგნანის წინააღმდეგ ორგანიზებულ დისკრედიტაციის კამპანიას ანონიმური სახელისუფლებო გვერდები ადრეც ასპონსორებდნენ[73], ხოლო ვიოლა ფონ კრამონის წინააღმდეგ კამპანიას თან დეზინფორმაციის გავრცელების შემთხვევებიც ახლდა[74].

68 ლევან გაბაშვილი, ჟურნალისტი, საქართველო და მსოფლიო, 2 მაისი, https://bit.ly/3YlzMVN
69 იქვე
70 გველი დეგნანი, პოლიტიკური აბსურდი, 6 აპრილი, https://bit.ly/3qEEdV0
71 პოლიტიკური სატირა / Political Satire, 8 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3E3XZfK
72 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალიტი. ასავალ-დასავალი, 1-7 მაისი
73 ანი ქისტაური, მითების დეტექტორი, „სახელისუფლებო „მეხუთე კოლონა“ და სხვანი კელი დეგნანის წინააღმდეგ“, 1 აგვისტო 2022 https://bit.ly/3ODR1D7
74 იხ. გენდერული დეზინფორმაცია 2023.

2.3. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

მონიტორინგის პერიოდში, ტრადიციულ მედიაში გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემცველი 120 გზავნილი გამოვლინდა, ხოლო სოციალურ მედიაში 45.

გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემცველ განცხადებებში გამოთქმულია წუხილი, ქალის და კაცის ტრადიციულად განსაზღვრული როლების ცვლილების გამო. ქალთა უფლებების დაცვა და ქალების გაძლიერების ხელშეწყობა, მიჩნეულია არა ქალისა და კაცის თანასწორობის მიღწევისათვის საჭირო წინაპირობად, არამედ კაცის მიზანმიმართული დასუსტების პოლიტიკად.

პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტაციის მიზნით, გამოიყენება გენდერული სტერეოტიპები:

- ქალები ისტერიულები არიან, ამიტომ პოლიტიკოსი ქალების ქცევა გაუწონასწორებელია;
- პოლიტიკურად აქტიურ ქალებს მოუწყობელი პირადი ცხოვრება აქვთ და სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან;
- პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებს „პატრონი“ არ ჰყავთ, მათ ოჯახში არ არის ძლიერი მამაკაცი (მამა, ძმა, ქმარი, ვაჟი), რომელიც მის ქცევას გააკონტროლებდა და წარმართავდა.

სტერეოტიპები ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ, ქალისა და კაცის როლის სტერეოტიპული განსაზღვრა

როგორი უნდა იყოს ქალი, რა არის მისი ძირითადი ფუნქცია, ამ საკითხებზე განცხადებები, ძირითადად, სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ. დეკანოზი გიორგი რაზმაძე მიიჩნევს, რომ „ქალი თავის ადგილზე უნდა იყოს... ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს...“[75]. სპირიდონ ცქიფურიშვილის განცხადებით, „დედობა, რისთვისაც გააჩინა ღმერთმა დედაკაცი, ეს არის უმთავრესი მისია დედაკაცისა“[76].

ქეთევან საბა ოსტაპენკო: „მოციქული პავლე ამბობს, რომ ქალმა თავი უნდა შეიმკოს არა თმების წნულებით, არა სამოსით, არამედ სიმდაბლით, სიმშვიდით და მორცხვობით“[77].

პრობლემურად აღიქმება ქალის გაძლიერების თანამედროვე ტენდენცია.

შალვა კეკელია, სასულიერო პირი: „ქალის ბუნება არის ჩვილი, გულჩვილია ქალის ბუნება, წმინდაა. ქალი რომ გაქვავდება და კაცივით გადაიქცევა, ეგ საშინელება, რაც ბევრჯერ გვინახავს ტელევიზიებში, რომ ქალი იგინება, ქალი ყვირის, ქალი ჩხუბობს, რაღაც საშინელებებს აკეთებს, ერთად ეს ყველაფერი წარმოუდგენელია“.[78]

75 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 3 აპრილი, https://bit.ly/3OZ313j
76 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, 3 მარტი, https://bit.ly/3KMJYGR
77 თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 30 აპრილი, https://bit.ly/3P3uwJ2
78 თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 30 აპრილი, https://bit.ly/3P3uwJ2

ZNEOBA.GE: „დღეს სწორედ ამ ღირებულების დისკრედიტაცია ხდება, თავს გვეხვევა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, სადაც ქალის და მამაკაცის როლები იცვლება და ამით ირღვევა ტრადიციული საზოგადოების საფუძვლები."[79]

- ქალების გაძლიერების საფრთხედ დასახვასთან ერთად, გამოითქმის მამაკაცების ფემინიზიაციასა და „დასუსტებასთან" დაკავშირებული წუხილები.

ლალი მაროშკინა, „ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფო": „იმატა მომტირალი, მობუზული კაცების რაოდენობამ".[80]

შალვა კეკელია, სასულიერო პირი: „კაცებმაც დაკარგეს ეს თავიანთი კაცური თვისება. ზოგიერთი კაცი ისეთი ქალაჩუნასავით გახდა, ქალოიასავით გახდა, ვერც შეატყობ, რომ კაცია. ქალი ისეთი გახდა, ვერ მიხვდები, რომ ქალია. როგორ აიზილა ერთმანეთში ეს ყველაფერი".[81]

ერმილე ნემსაძე, ბლოგერი: „გასაგებია, რომ ფემინისტების და ლგბტ-ის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც წარმატებული მხოლოდ ქალი, ლგბტ და ისეთი მენტალურად კასტრირებული კაცია, რომელიც ქალის ფეხებთან საცვალ თავზე დაფარებული, ყოველგვარი მამაკაცური ღირსებიდან არის დაცლილი..."[82]

პოლიტიკოსი ქალების შერცხვენა გენდერული სტერეოტიპებით. რადგან ქალის სტერეოტიპული აღწერა მოიცავს ისეთ თვისებებს, როგორიცაა სიმშვიდე, სიმორცხვე, მოკრძალება, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა, აღქმულია, როგორც ქალისათვის ნაკლებად შესაფერისი.

ხშირად პოლიტიკურად აქტიურ ქალებს, არცხვენენ ნაკლებად ქალურობის ბრალდებით. მაგალითად, ულტრამემარჯვენე, კონსერვატული მედიის ხშირი სტუმარი, მაია ნიკოლეიშვილი ნაციონალური მოძრაობის მომხრე ქალებს „ფანატიკოს, გენდერულად პირობით მდედრებს"[83] უწოდებს[84], სამხედრო ექსპერტი, ტრისტან წითელაშვილი, ოპოზიციონერ დეპუტატ ქალებს მოიხსენიებს, როგორც „არსებებს, ქალებსაც რომ ვერ უწოდებ"[85], ხოლო ირაკლი ჯანყარაშვილი სალომე ზურაბიშვილს „ქალის გლახას"[86] უწოდებს.

- **პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური ქალები გარკვეულ შემთხვევებში თავდასხმის სამიზნეები ხდებიან, მასკულინური თვისებების ქონის ბრალდებით**

79 ZNEOBA.GE, 8 მარტი, https://bit.ly/3OIPD23
80 Split News, 31 მარტი, ლალი მოროშკინა, „ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფო", https://bit.ly/47zDwwP
81 თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 7 აპრილი, https://bit.ly/47BWt1X
82 Ermile Nemsadze, 12 მარტი, https://bit.ly/3OFfGHd
83 Split-news, 3 მაისი, https://bit.ly/3YJW1La
84 პოსTV, პოსტ ანალიტიკა, 27 მარტი, https://bit.ly/3YJVYis
85 ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 მარტი, https://bit.ly/3OKcwIy
86 ირაკლი ჯანყარაშვილი, ანტილიბერალური დოქტრინა, 31 მარტი, https://bit.ly/3P2CeTK

ამ სახის კრიტიკა მიმართული იყო პოლიტიკოსი ქალების ელენე ხოშტარიას და ანა წითლიძის წინააღმდეგ. ფეისბუქ ანგარიშმა „პოლიტიკოსები 1 ლარიდან“ ელენე ხოშტარიას ფოტო, კომენტარით „გოგიას ბიჭი“ გამოაქვეყნა[87], ხოლო გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა ის „კვერცხებიან ელენედ“[88] მოიხსენია.

დიტო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი: „პარტია „დროას“ ელენე – მოღალატე გოგია ხოშტარიას გოგო, ქალი არ არის! როგორც აღმოჩნდა, ელენე ხოშტარია სინამდვილეში ბულდოზერი ან ტრაქტორია!... აი, ასეთი არაკაცის გომბიოა კვერცხებიანი ლიაკა“.[89]

Split News-ზე გამოქვეყნდა, ასავალ-დასავალის ჟურნალისტის, დიტო ჩუბინიძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული, ფოტომანიპულაციის შემცველი გზავნილი ტექსტით: „ნაცმოძაობამ პარლამენტში ქალის ნაცვლად კაცი შემოგვაპარა. ანა წითლიძე სინამდვილეში კაცია და სახელად ოთარი ჰქვია“.[90]

■ პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტირება ისტერიულობისა და აგრესიულობის ბრალდებით

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ ხშირად პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტირება ისტერიულობისა და ფსიქიკური გაუწონასწორებლობის ბრალდებით ხდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობი იყო 2023 წლის მარტში უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გაშუქების დროს, როდესაც თავდასხმის განსაკუთრებულ სამიზნეებს წარმოადგენდნენ ოპოზიციონერი დეპუტატი ქალები, რომლებსაც

87 გოგიას ბიჭი, პოლიტიკოსები 1 ლარიდან, https://bit.ly/44k9qui

88 დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალის ჟურნალისტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან, 22 მაისი, https://www.myvideo.ge/v/4181376

89 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, ასავალ-დასავალი, 22-28 მაისი, 2023 წელი

90 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, Split News, 1 მარტი, https://bit.ly/3KMXz0U

მკვეთრი გამოსვლები ჰქონდათ საპარლამენტო განხილვებისას. მათ მიმართ გამოიყენებოდა ეპითეტები „გარეკილი“,[91] „გაუწონასწორებელი რესპუბლიკელი ქალბატონი“,[92] „სახედაკარგული ისტერიჩკა“,[93] „აბსოლუტურად ისტერიულები“,[94] „ყველაზე აგრესიულები, ყველაზე თავაშვებულები“,[95] „ალქაჯები“,[96] „ჭინკები“,[97] „კუდიანი ქაჯები, ცოცხებზე რომ სხედან დიდი კბილებით“[98].

სოსო შაბაერაშვილი, მემარცხენე ალიანსი: „ყველაზე აგრესიულები, ყველაზე თავაშვებულები, ილანძღებიან ის ქალბატონები, იფურთხებიან, ქალბატონისთვის კი არა, კაცისთვისაც შეუფერებელ საქციელს სჩადიან“.[99]

ირმა ცხორაგული, პატრიოტთა ალიანსი: „ზღვარია წაშლილი მანდილოსანსა და ბატონს შორის და მათ შორის ურთიერთობაში უკვე ბარიერი აღარ არსებობს“.[100]

SPLIT-NEWS: „სამადაშვილს კვლავ ნერვებმა უმტყუნა... და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ტრადიციული ისტერიკა მოაწყო“.[101]

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: „რა გასაკვირია, რომ ქალბატონი ეხლა რომელიც გამოიჭრა ქუჩაში, ეტყობა რომ მას აქვს გარკვეული ამოვარდნა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება, არ არის გამორიცხული, რომ რამე აერია ამ ქალბატონს, რამე ციკლი აქვს არეული ან წელთაღრიცხვის ან რაღაცის.“[102]

ვალერი კვარაცხელია, საქართველო და მსოფლიო: „საქართველოში პოლიტიკას მიტმასნილ ქალთა ფსიქოლოგიური პორტრეტი მეტისმეტად არასახარბიელოა. გამსახურდიას “კარვის ქალებით” დაწყებული და, სააკაშვილის „ჰარამხანით“ დამთავრებული, ეს დასაოკებელი და ქვასროლია ქალები, არამხოლოდ მათი, არამედ საერთო ეროვნული ფსიქიკის შემოწმების აუცილებლობის წინაშე აყენებენ ქართველ ხალხს.“[103]

სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის პოსტვ რესპუბლიკელი ქალების საპროტესტო გამოსვლებს პარლამენტში აგენტების კანონთან დაკავშირებით, შემდეგი აღწერებით ავრცელებ-

91 სპლიტ-ნიუსი, 2 მარტი, https://bit.ly/3QKZqHi
92 „გაუწონასწორებელი რესპუბლიკელი ქალბატონი“, POSTV – ანალიტიკა, 2 მარტი https://bit.ly/3qlAzJB
93 ასვალ-დასავალი, 20-26 მარტი
94 პოს TV, პოსტ ანალიტიკა, 27 მარტი, https://bit.ly/3YJVYis
95 ობიექტივი, სტუდია N8, 21 მარტი, https://bit.ly/45dwFrb
96 ობიექტივი, სტუდია N8, 22 მარტი, https://bit.ly/3E1bNHO
97 POSTV – ანალიტიკა, 7 მარტი, https://bit.ly/47DmePg
98 თამარ ჩიბურდანიძე, ხალხის ძალა, Split-news, 5 მარტი, https://bit.ly/44e1JWC
99 ობიექტივი, სტუდია N8, 21 მარტი, https://bit.ly/45dwFrb
100 ობიექტივი, სტუდია N8, 7 მარტი, https://bit.ly/45dunZh
101 Split-news, 24 მარტი, https://bit.ly/3OZ3HWp
102 სეზონიTV, დღის შეჯამება, 25 მაისი, https://bit.ly/3OKhcb4
103 საქართველო და მსოფლიო, 23 იანვარი, https://bit.ly/47Dmu0G

და: „გაუწონასწორებელი რესპუბლიკელი ქალბატონი“ (თამარ კორძაია); „მეორე გაუწონასწორებელი რესპუბლიკელი ქალბატონი“ (ხათუნა სამნიძე). ხოლო გაზეთი ასავალ-დასავალი იგივე გამოსვლას შემდეგი სახით ასათაურებდა: „ქართველ ქაჯთა ვნახე კრება“.[104]



- **ხდება კვლავწარმოება სტერეოტიპის, რომ თუ ქალი აქტიურია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე, ე.ი. მოუწყობელი პირადი ცხოვრება აქვს და დაუკმაყოფილებელია.**

ბრიშა ონიანი, საზოგადოება „სტალინი“: **„ვნებადაუოკებელი ქალების წიოკში ვართ და... ამ დაუოკებელ ენერგიას ამაში ახმარენ... კაცები არა ყავთ სახლში რომ დააოკონ, გააჩერონ ან შვილები არა ჰყავთ რო გაზარდონ, ან მეზობლები არა ყავთ რო დეელაპარაკონ? ესე როგორ შეიძლება?”**[105]

ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: „ისე ფროიდს ისიც აქვს ნათქვამი, რომ სექსუალური დაუკმაყოფილებლობა იწვევს აგრესიასო და ეს ნაცაქტივისტების აღვირახსნილი ქალები ამ კუთხითაც დაჩაგრულები არიან, როგორც ჩანან. იმიტომ... კოდექსში, ხომ არ შევიტანთ მუხლს, რომ ნაცმოძრაობის აღვირახსნილი ქალების დასჯის მეთოდი იყოს ასევე სექსუალური დაკმაყოფილება... ლამის არის გაშიშვლდნენ და იყვირონ.“[106]

ბექა ვარდოსანიძის ბლოგი: **„მარტია და ... მარტის ფონზე კატების კნავილის გარდა, მესმის ქართულ ბანძ მედიაში... სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ნატიფი ქალების კნავილი“.**[107]

ერმილე ნემსაძე, ბლოგერი: **„ვააჰ ბიჭო... უკაცობა ძალიან დიდ პრობლემად გვექცა ერში, ფაქტია ეს ტანჯული ქალები რა დღეში არიან “Pussy Riot”-ს ქართული ვარიანტი... PS: აგრძნობიეთ ძალა ამ ქალებს ვინმემ ადამიანები არ ხართ...“**[108]

104 „გაუწონასწორებელი რესპუბლიკელი ქალბატონი“, POSTV – ანალიტიკა, 2 მარტი https://bit.ly/3qIAzJB
105 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 12 მაისი, https://bit.ly/3P6mBuM
106 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 8 მაისი, https://bit.ly/3qCsXZi
107 ბექა ვარდოსანიძის ბლოგი • Beka Vardosanidze's blog, 27 მარტი, https://bit.ly/45EC76t
108 Ermile Nemsadze, 4 მარტი, https://bit.ly/45CH7bt

კაცმა უნდა აკონტროლოს და წარმართოს ოჯახის წევრი ქალების ქცევა, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებს „პატრონი“ არ ჰყავთ

ალტ-ინფოს წამყვანი გიორგი ქარდავა, ვიდეოს ჩვენების შემდეგ, სადაც ორი ქალი სპორტულ მოედანზე მოვარჯიშე რუსებს ქვეყნის დატოვებას სთხოვს, ამ ქალების საქციელს სამარცხვინოს უწოდებს და აღნიშნავს: „აი, ამათ ოჯახში შარვლიანი ვინმე არის კაცი საერთოდ?“[109] იკვეთება სტერეოტიპული მიდგომა, რომლის თანახმად, ოჯახის წევრი ქალების ქცევა კაცმა უნდა აკონტროლოს და წარმართოს. იგივე ტენდენცია ჩანს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის მხრიდანაც ოპოზიციური პარტია „დროას“ ლიდერთან მიმართებით.

დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „ეხლა ხვალ, ლიაკა ხოშტარია, სად დაწვები ერთი მაინტერესებს, ეს სამარცხვინო ქალი, პატრონი არა გყავს შენა კაცო? პატრონი არა გყავს.... და აშვებული ხარ.“[110]

დედობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებით თავდასხმა

მედია მონიტორინგის პერიოდში (1 იანვარი – 30 მაისი, 2023), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების ხშირი სამიზნე იყო. ეიჯისტური, გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის, მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველ განცხადებებთან ერთად, ის გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე შეურაცხყოფის ადრესატიც გახლდათ. ამ ტიპის განცხადებებში, მიიჩნევდნენ, რომ გიული ალასანიას არ ახასიათებს ქართველი დედისათვის დამახასიათებელი თვისებები, ხაზგასმული იყო, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს „ქალის ერთ-ერთი მოვალეობა“ მოუმზადოს შვილს საკვები, დეტალურად განიხილებოდა მის მიერ კლინიკაში მიტანილი საკვები ნაყიდი იყო თუ მის მიერ მომზადებული.

ასევე, კრიტიკის საგანს წარმოადგენდა და დედისათვის შეუფერებლად იყო მიჩნეული გიული ალასანიას მანერა შვილის ჯანმრთელობაზე საუბრისას. პოსტვ-ის წამყვანი გური სულთანიშვილი აღნიშნავს რომ გიული ალასანია შვილის ჯანმრთელობის პრობლემებზე რობოტივით საუბრობს და მიიჩნევს, რომ შვილზე „ასეთ ტონალობაში“ საუბარი „დრამატურგიულად არ არის სწორი“.[111]

შალვა რამიშვილი, POSTV-ის წამყვანი: „ქალმა არაფერი არ იცის, ოჯახს რაც შეეხება და ქალის მოვალეობას ერთ-ერთს რაც შეეხება, რომ შვილებს საკვები მოუმზადოს, ამ ქალმა არ იცის!.. ქალბატონი გიული და ტრადიციული ქართველი დედა ერთმანეთისგან ისე შორს არის, როგორც მე და ევერესტი!“[112]

109 გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 22 მაისი, https://bit.ly/44iGcMD
110 სეზონიTV, დღის შეჯამება, 18 მაისი, https://bit.ly/3qLEzJn
111 გური სულთანიშვილი, წამყვანი, პოსტვ, სამნი და კო, 26 აპრილი, https://bit.ly/3YGbeg0
112 პოსტვ, სამნი და კო, 22 თებერვალი, https://bit.ly/3QLw5wE

დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის ჟურნალისტი: **„საჭმლის კეთება არ იცით ამ ხნის ქალმა“**[113].

გური სულთანიშვილი, POSTV-ის წამყვანი: **„მელია, მაგალითად შაშვი, მაგალითად სვავი, სკუნსი, ლემური, გველი, ყველა თავის შვილს მიუტანს ბევრად უკეთეს საკვებს“.**[114]

ჯაბა ხუბუა, "ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი: **„კითხვაზე – როგორი არ უნდა იყოს დედამიწის ზურგზე არცერთი დედა, მით უფრო კი, ქართველი დედა? – პასუხია გიული ალასანია!“**[115]

ფეისბუქ ანგარიშმა „ფსიქიატრიული ოთახი 5.2.5“ გამოაქვეყნა პოსტი, წარწერით „მიშიკო დედი საჭმელი მოგიტანე“, რომელზედაც ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა ზღაპრის ბოროტ პერსონაჟად არის წარმოდგენილი, რომელიც შვილს შხამიან ვაშლს აწვდის.



2.4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა

მედიამონიტორინგის პერიოდში გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვის შემცველი 115 კომენტარი/პოსტი გამოვლინდა, აქედან 83 – ტრადიციულ მედიაში, 32 კი – სოციალურში.

ამ ტიპის განცხადებების ძირითადი სამიზნე პოლიტიკოსი ქალები იყვნენ (60%), ასევე სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები.

პოლიტიკოსი ქალებიდან, ამ სახის გზავნილების ყველაზე ხშირ ადრესატს, საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენდა. მას შეეხებოდა გონებრივი ნიშნით დაცინვის შემცველი 35 განცხადება.

113 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 19 მაისი, https://bit.ly/45Ti7gD
114 პოსტვ, სამნი და კო, 22 თებერვალი, https://bit.ly/3QHCcID
115 ასავალ-დასავალი, 27 თებერვალი – 5 მარტი

სალომე ზურაბიშვილს მოიხსენიებდნენ, როგორც „უჭკუო დედაკაცს“[116], „ჭკუათხელს“[117], „ფუღუროს“,[118] „დებილს“[119], „ქალბატონი ფინთიკოსას“[120], „ქარაფშუტა ქალს“.[121] ხშირად იყო კრიტიკის საგანი, სალომე ზურაბიშვილის მიერ ქართული ენის არასათანადოდ ფლობა და „Google translate-ით ნაბჟუტურები ქართული.“[122]

გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: „მშობლიური ენა რომ არ იცით, მადამ სალომე, აქედან იწყება ყველაფერი დანარჩენის უცოდინარობა“.[123]

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „ყველაზე დიდი სირცხვილია, რომ ეგ ქალი პრეზიდენტად იწოდება, ორ ბატს ვერ ანდობ“.[124]

დიტო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი: „ტრიბუნაზე შემდგარი მადამ სალომე რომ დავინახე, გულმა რეჩხი მიყო და ჩემთვის გავიფიქრე – რაღაც სისულელეს აუცილებლად დაახეთქებს მეთქი![125]

გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი: „ეს არ არის სალომე ზურაბიშვილის აი, ამ ფუყე თავში გაჩენილი იდეა, ეს იდეა მას ჩაუდეს თავში და ის, როგორც თუთიყუში მერე აჟღერებს ამ ყველაფერს“.[126]

ნინიკო მშვიდობაძე, ლანჩხუთის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე: „ქალბატონო სალომე, ლუი ეშენაუერი ფრანგი მეღვინე იყო. გადაიკითხეთ მისი საქვეყნოდ ცნობილი წერილი ძმისშვილისადმი, ეგებ რაიმეს მიხვდეთ, ფრანგის მაინც...აბა, ვაჟა ფშაველას მიმხვედრი თქვენ არ ხართ და ვერც იქნებით!!!“[127]

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: „საქართველოს პრეზიდენტს, მორალურ პრობლემებთან ერთად, სერიოზული ინტელექტუალური პრობლემაც აწუხებს!“

---

116 ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება, ასავალ-დასავალი, 13-19 მარტი, 2023
117 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან, 8 მაისი, https://bit.ly/3sixT60
118 გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 10 მაისი, https://bit.ly/3sjV8N6
119 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან, 10 აპრილი, https://bit.ly/3E3CH1G
120 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი TV, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 21 მარტი, https://bit.ly/3sifKW1
121 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 მარტი, https://bit.ly/3R3kSI3
122 Ermile Nemsadze, 31 მარტი, https://bit.ly/47Ge74I
123 Split-News, 25 მარტი, https://bit.ly/3KMLJUI
124 სეზონი ტვ,დღის შეჯამება, 23 თებერვალი, https://bit.ly/3OGD9YK_
125 ასავალ-დასავალი, 8-14 მაისი
126 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 10 მაისი, https://bit.ly/3sjV8N6
127 Splitnews, 28 მაისი, https://bit.ly/3P4c96X

გარდა გონებრივი შესაძლებლობებით დაცინვისა, ხდებოდა პრეზიდენტის, როგორც მთავარსარდლის როლის დაკნინება, გაქილიკება. საქართველოს ხელისუფლების სხვა შტოების მიმართ ევროპარლამენტში სალომე ზურაბიშვილის კრიტიკული გამოსვლის საპასუხოდ, ანონიმურმა სახელისუფლებო გვერდებმა კოორდინირებულად გაავრცელეს პოსტები, რომელთა ნაწილზე სამხედრო სამხრეების ნაცვლად მას მხრებზე სარდელები აქვს გამოსახული, წარწერით „მთავარ სარდელი“ და კომენტარით „ქვეყნის სირცხვილი“, ხოლო პოსტების ნაწილი მხოლოდ ფოტოში და იდენტური შინაარსის კომენტარებით ვრცელდება, სადაც ის სირცხვილად არის მოხსენიებული („ჩვენი ქვეყნის სირცხვილი ამ ქალს მთავარსარდალი არ უნდა ეწოდებოდეს“)[128].

გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფა-დაცინვის სამიზნეებს წარმოადგენდნენ პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ქალები. თაკო ჩარკვიანი მოიხსენიეს, როგორც „შტერი ქალი“, „დებილი“, ანა ნაცვლიშვილს უწოდეს „უწიგნური,“[129] „ბატი ტასიკო,“[130] ანი წითლიძეს „ბრჭყალებში ვუნდერკინდი“.[131]

128 მარიამ ქავთარაძე, მითების დეტექტორი, 26 მაისიდან ევროპარლამენტში გამოსვლამდე დისკრედიტაციის კამპანია ზურაბიშვილის წინააღმდეგ https://bit.ly/3YEJM2n

129 ნიკოლოზ მჟავანაძე, ტვ სეზონის წამყვანი, ასავალ-დასავალი, 15-21 მაისი, 2023

130 ვახტანგ ტალახაძე, ეროვნულ–დემოკრატიული პარტია, სპლიტ-ნიუსი, 16 მარტი, https://bit.ly/3YJBvu7

131 გია აბაშიძე, ანალიტიკოსი, პოსტვ, პოსტ ანალიტიკა, 25 აპრილი, https://bit.ly/3qtwg56

შალვა რამიშვილი, POSTV-ის წამყვანი (დეპუტატ თაკო ჩარკვიანზე): „ადამიანი რომ დებილი ხარ და უძრაოდ რომ ხარ, კარგია, შენ არავის არ აწუხებ და წარმოიდგინე შენ აქტიური დებილი ადამიანი“.[132]

ზურაბ მახარაძე, ალტ-ინფოს წამყვანი: „ეს [თაკო ჩარკვიანი] შტერი ქალი რატომ არის, იცი? შიგნით რასაც ლაპარაკობენ, იხარშება, ეს გამოდის და აპრანტალებს მერე. სასარგებლოა ეს, მეტი თაკო ნაც. მოძრაობას“.[133]

შალვა რამიშვილი, POSTV-ის წამყვანი: „თაკომ [ჩარკვიანი] უნდა იცოდეს, არ ვიცი, ძაან რთულია, ალბათ, ეხლა დაუკაკუნო მის გონებას, მარა შემდეგ პარლამენტში ის ვერ მოხვდება..“[134]

გური სულთანიშვილი, POSTV-ის წამყვანი: „მე დარწმუნებული ვარ, რომ არააკადემიური ტერმინებით ლაპარაკობს ეს გოგონა [ანა ნაცვლიშვილი], ამან არც იმპერიალიზმი იცის აკადემიურად რას ნიშნავს, არც სიმამაცე იცის პოეტურად რას ნიშნავს, არაფერი საერთოდ არ იცის, გარდა ტრენინგებზე ნასწავლი დემოკრატიისა“.[135]

გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვის სამიზნეს ევროპელი პოლიტიკოსი ქალებიც წარმოადგენდნენ, კერძოდ, ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს „შტერი ქალი“[136] უწოდეს, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანალენა ბერბოკს „გაუნათლებელი“ და „უტვინო“.[137]

გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი: „ბერბოკი ... ძალიან გაუნათლებელი ადამიანია... აი, სალომე ზურაბიშვილს რომ უწუნებენ ქართულს, ბერბოკი კიდევ უარესია გერმანულში. ლაპარაკობს, მაგრამ იმდენ შეცდომას უშვებს, არა მხოლოდ ის, რომ გრამატიკა იცის ცუდად, არამედ აზრობრივს. აზრებს ხშირად აყალიბებს შეცდომით“.[138]

ლევან ჭოტორლიშვილი, ფიზიკოსი: „ორიოდე შტრიხი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრზე:... გაუნათლებლობის გარდა უტვინოა და აქვს ხასიათის ის თვისებები, რაც ხაბეიშვილს ამსგავსებს. სწორედ მაგ თვისებების გამო შეარჩიეს ოკეანის გაღმა და ამუშავებენ გერმანიის ინტერესების საზიანოდ“.[139]

---

132 პოსტვ, სამნი კო, 30 იანვარი, https://bit.ly/45EGK0p
133 ალტ-ინფო, რეალპოლიტიკა ზურაბ მახარაძესთან ერთად, 30 მაისი, https://bit.ly/44fRwZU
134 პოსტვ, სამნი და კო, 16 მარტი, https://bit.ly/3sIDDMn
135 პოსტვ, სამნი და კო, 27 მარტი, https://bit.ly/3YISX1v
136 დემურ გიორხელიძე, ანალიტიკოსი, ობიექტივი,სტუდია 8,10 თებერვალი, https://bit.ly/3KP0syq
137 ლევან ჭოტორლიშვილი, ფიზიკოსი, ასავალ-დასავალი, 27 მარტი, 2023
138 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 მაისი, https://bit.ly/3KJm7bh
139 ასავალ-დასავალი, 27 მარტი, 2023

გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელების და ჟურნალისტების მიმართაც იყო გამოყენებული. ჟურნალისტი ნენე დალაქიშვილი მოხსენიებულია, როგორც „ერთუჯრედიანი ამებიოზი“[140], ყოფილი სახალხო დამცველი, ნინო ლომჯარია როგორც „სახალხო ბრიყვი“[141], სამოქალაქო აქტივისტი თეა თუთბერიძე, როგორც „დაბადებიდან ჩლუნგი და ოროსანი“.[142]

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წევრი: „ინგა გრიგოლიას თუ პირდაპირ რაღაცა არ უთხარი, შედარება, მხატვრული შედარების გამოყენება, ალუზიის ან რაიმესი არ ესმის, ხო იცი. არა, პროსტა შეუძლებელია, ეს რომ გაიგოს, იმიტო რო სიმართლე უყვარს ძალიან. მისი კოგნიტიური აპარატი, ეხლა ეს არ იცის, რა არი კოგნიტიური აპარატი და სალანძღავი ჰგონია და არ არის სალანძღავი, ოპერირებს მხოლოდ პირდაპირ გამონათქვამებზე... მეტაფორა არ შეუძლია, ხო... ამეტაფორული აზროვნება აქვს“.[143]

2.5. გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა / დაცინვა

მედია მონიტორინგის პერიოდში, ჯამში გამოვლინდა 148 გზავნილი, რომელიც გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფასა და დაცინვას შეიცავდა, აქედან, 102 ტრადიციულ მედიაში, ხოლო 46 სოციალურ მედიაში.

გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფის შემცველი გზავნილები მოიცავდა დაცინვას გარეგნობის, ჩაცმის სტილის, ხმის ტემბრის, წონის, ქალებში ნაკლებად ფემინური, ხოლო მამაკაცებში „ზედმეტად ფემინური“ გარეგნული ნიშნების გამო.

მონიტორინგის პერიოდში, გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა/დაცინვის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია წარმოადგენდა. მას „გიული პუგაჩოვას“[144], „ვარდისფერ „პომპონჩიკიან“ ქუდში გამოწყობილს“[145], „ფუფალად ქცეულს“[146] უწოდებდნენ. აღინიშნებოდა, რომ გიული ალასანიას გარეგნობა არ შეეფერება დედის, მით უფრო ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრის დედის იმიჯს.

კონსერვატიული ფლანგი: „ვინმემ უთხარით ამ ქალს, წითელი კურტკით, ტყავის შარვლით, ბრჭყვიალა სათვალით, გამჭვირვალე ჩექმებით არ ტოვებს მომაკვდავი შვილის მგლოვიარე დედის შთაბეჭდილებას”[147].

140 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 29 მარტი, https://bit.ly/3QRglmt
141 ბაჩო ოდიშარია,წამყვანი, პოსტვ,სამნი კო, 28 თებერვალი, https://bit.ly/44bhcGU
142 რეალობა, 18 თებერვალი, https://bit.ly/3E2Ptxr
143 პოსტვ, სამნი და კო, 27 აპრილი, https://bit.ly/3qCrRNc
144 კონსერვატიული ფლანგი, 26 მარტი, https://bit.ly/3OGcdZ2
145 დოდო ხურცილავა, ხელოვნებათმცოდნე: ასავალ დასავალი, 6-12.02.2023
146 ქეთევან ხამიცაშვილი, ჟურნალისტი, ასავალ დასავალი, 6-12.02.2023
147 კონსერვატიული ფლანგი, 15 იანვარი, 2023, https://bit.ly/3sglWhk





რომის პაპთან ვიზიტის დროს ჩაცმულობის გამო, დაცინვის ობიექტი გახლდათ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც. ფეისბუქ გვერდმა „კოსერვატიული ფლანგი“ გამოაქვეყნა ვიზიტის ფოტო წარწერით: „ამის ფონზე რომის პაპი ანგელოზი გეგონება“[148]. გავრცელდა ასევე ფოტომანიპულაცია სალომე ზურაბიშვილისა და პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ლევან ხაბეიშვილის გარეგნული ნიშნების შერწყმით: „როგორ დაემსგავსა მადამ სალიომე ხაბეს“[149], რაც ასევე ევროპარლამენტში პრეზიდენტის კრიტიკულ გამოსვლას უკავშირდებოდა.

148 კონსერვატიული ფლანგი, 30 მარტი, https://bit.ly/3YJYoxy
149 არ აგარევინებთ, 30 მაისი, https://bit.ly/47CCekl

ოპოზიციურ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ გვერდმა „პოლიტიკური ვექტორი“ კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის ფოტომანიპულაცია გამოაქვეყნა, კომენტარით „შახ-აბასი დაბრუნდა“, სადაც ის მრისხანე ისტორიულ პეროსნაჟად, შაჰ-აბასად არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, პოსტი შეიძლება გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის შემცველ ვიზუალურ მანიპულაციად აღვიქვათ, მეორე მხრივ, ის შეიძლება კულტურის მინისტრის მართვის ავტორიტარულ სტილზე მინიშნებადაც იქნეს აღქმული.[150]

გარეგნული მახასიათებლებით დაცინვის შემცველი გზავნილების სამიზნეს წარმოადგენდნენ უცხოელი დიპლომატი და პოლიტიკოსი ქალებიც. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, კელი დეგნანს, ანტიდასავლურ, კონსერვატულ, ულტრამემარჯვენე მედიაში მოიხსენიებდნენ როგორც „ქვაზე დახატულ ეშმაკს“[151], „დაჯღანულ ქალს,“[152] „კუდრაჭა კელის“,[153] „წყალში ჩაგდებულ კატას“.[154]

ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონზე საუბრისას, ტელევიზია „ერი მედიას“ წამყვანმა სოსო მანჯავიძემ აღნიშნა: „ამ ქალს არც სქესი აქვს და საშინელებათა ფილმის პერსონაჟს ჰგავს“.[155]

150 „შახ-აბასი დაბრუნდა“, პოლიტიკური ვექტორი, 2 თებერვალი, https://bit.ly/3OzPUEc
151 ჯამბულ გამცემლიძე, მოქალაქე, ასავალ-დასავალი, 20-26 მარტი, 2023
152 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალიტი, სეზონიTV, დღის შეჯამება, 18 მაისი, https://bit.ly/3qLEzJn
153 შოთა გლურჯიძე, თეატრალური მხატვარი, ერი მედია, გონიერი, 24 აპრილი, https://bit.ly/3siq5Bd
154 ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი: სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 5 აპრილი, https://bit.ly/3qCuSgs
155 სოსო მანჯავიძე, ასავალ-დასავალი, 10-16 აპრილი

ჟურნალისტმა დიტო ჩუბინიძემ ვიოლა ფომ კრამონს, ჯერ ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ჰერმან გერინგის შთამომავლობა დააბრალა, ხოლო მას შემდეგ რაც „მითების დეტექტორმა“ ამ ბრალდებების უსაფუძვლობა გამოავლინა[156], დეზინფორმაცია გარეგნული ნიშნით დაცინვით ჩაანაცვლა: „ჰერმან გერინგის შთამომავალი ვერ იქნება, რადგან გერინგი სიმპათიური კაცი იყო“.[157]

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის სამიზნეები გახდნენ ის ქალები, რომელთაც პოსტვ-ის დირექტორი შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროვებაში დაადანაშაულეს.

ლალი ვორროშკინა: „ვინც შენ გიჩივის, მაგათ ნაღდად ვჯობდი გარეგნობით, მე და შენ დავბერდით ერთად და რაღა მე არ მეჩალიჩებოდი და რაღა იმათთან მოგინდა, ფეხი აქვთ თუ კისერი ვერ გაიგებ, დაჯღვარკული, ცელულიტიანი ქალები“.[158]

ბექა ვარდოსანიძე, ბლოგერი: „დოროყაშვილი დააბრუნეთ თუ შეიძლება, ამ კეკელას და დურიკას დუეტს, მირჩევნია დოროყაშვილზე ვნახო ისევ ქართულ ბანძ მედიებში პოსტები, იმიტომ რომ ლამაზი ქალი მაინც არის ამ ფემინისტებისგან განსხვავებით“.[159]

გარდა იმისა, რომ კონკრეტული ადრესატების გარეგნული ნიშნით დამცირებას ისახავს მიზნად, ამ განცხადებით, ხდება კვლავწარმოება გავრცელებული სექსისტური წარმოდგენისა, რომ თითქოსდა ფემინისტები ულამაზოები არიან.

გარეგნული ნიშნით დაცინვის სამიზნეებს წარმოადგენდნენ პარლამენტარი ქალებიც. მათ მოიხსენიებდნენ, როგორც „ლამაზისეული“,[160] „ვერგალამაზებული“,[161] „სუნიანი ქალი“.[162] უცხოეთის აგენტის შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ პარლამენტარი ქალების მკვეთრი გამოსვლების შემდეგ, სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი მათ ხმის ტემბრს უწუნებს: „კულტურაზე და შინაარსზე აღარ ვსაუბრობ, ხმის ტემბრიც რომ გოიმური აქვთ, ამ ნაცქალებს!.“[163]

გარეგნული მახასიათებლებით დაცინვის შემცველი გამონათქვამების ერთი ნაწილი ქალებს „ნაკლებად ქალური“ გარეგნობის გამო აკრიტიკებს. ამ სახის განცხადებები მიმართული იყო ელენე ხოშტარიას, ანა წითლიძის[164], ელისო კილაძის,[165] მიმართ.

156 „დეზინფორმაცია, თითქოს ვიოლა ფონ კრამონი ჰერმან გერინგის შთამომავალია“, მითების დეტექტორი, 13 აპრილი, 2023, https://bit.ly/44gocCf

157 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი. ასავალ-დასავალი, 1-7.05.2023

158 POSTV-ანალიტიკა, 24 მარტი, https://bit.ly/3YJDDBK

159 ბექა ვარდოსანიძის ბლოგი • Beka Vardosanidze's blog, 27 მარტი, https://bit.ly/45EC76t

160 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, ასავალ-დასავალი, 3-9 აპრილი

161 დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი, ასავალ-დასავალი, 3-9 აპრილი

162 მალხაზ ძიძიგური, პუბლიცისტი, სპლიტ-ნიუსი, 23 მაისი, https://bit.ly/44mJePD

163 მაია ნიკოლეიშვილი, სამედიცინო ექსპერტი, სპლიტ-ნიუსი, 2 მარტი, https://bit.ly/3QKZqHi

164 ტერენტი გლდანელი, 10 მარტი, https://bit.ly/3KN0TZW

165 ტერენტი გლდანელი, 20 მარტი, https://bit.ly/3YJYwx2

დიცო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „ქალის სახელიც შემაზიზღა, ეგ ვინ არის საერთოდ, მაგას მგონი ოთარა ერქვა..... ეგ არის კაცად გადაკეთებული ქალი, თუ ქალად გადაკეთებული კაცი, ოთარი ქვია მაგას. ქართველები ლამაზი ხალხი ვართ და ეს ვინ არის, ამნაირი არ მინახავს არაფერი.“[166]

დიცო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი: „პიჯაკი რომ აცვია... უკვე მაგას ქალად ვერ აღვიქვამ ... ალექსანდრე კოსიგინსა ჰგავს სუფთა.“[167]

პოლიტიკოს ანი წითლიძეს, კაცი ჟურნალისტები საკმაო ენთუზიაზმით აკრიტიკებდნენ „ნაკლებად ქალური“ გარეგნობის გამო, ხოლო როდესაც ვარცხნილობა და იმიჯი შეიცვალა, ამ ცვლილებასაც დიდი ენთუზიაზმითა და ერთგვარი კომპლიმენტებით გამოეხმაურნენ, რაც მიანიშნებს, რომ ქალი პოლიტიკოსების გარეგნობისადმი გადაჭარბებული ყურადღებით, ხდება მათი პროფესიული უნარებისა და მიღწევების ნიველირება.

დიცო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი: „ქალბატონი ანი წითლიძე... ჩემი შენიშვნების შემდეგ, რაღაცნაირად ქალს დაემსგავსა და ადრე თუ რაღაცა მეშინოდა მაგის შეხედვის ... ეხლა ის უკვე ნამდვილად გავს ანის და უფრო პროგრესს განიცდის. დარწმუნებული ვარ, თუ ამ მიმართულებით იმუშავებს, ის უფრო და უფრო ლამაზი გახდება.“[168]

შალვა რამიშვილი, POSTV-ის წამყვანი: „...განაშებული არი, განაშებული ცუდი გაგებით არ ვამბობ. გალამაზებულია ქალბატონი ანა, შეხედეთ, ხალხო, გალამაზებულია ძალიან. ეხლა არის განსაკუთრებით, აბა კარგად დააკვირდით ამ კუთხით, ვიცი რომ ინერცია დიდია და ამ კუთხით ვერ დააკვირდებით, მაგრამ აბა დააკვირდით...ნახე რა პრიჩოსკა, მაკიაჟი...ნახე თმები კარგად აქ ძმაო, ტუჩსაცხი ზომიერი..“[169]

ფეისბუქ ანგარიშმა „მიხილ უკრაინოლოგი“ გამოაქვეყნა ფოტო პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის, ანი წითლიძის შეცვლილი იმიჯით, რომელსაც დაურთო ტექსტი „არტურამ პრიჩოსკა გაიკეთა“.[170] იმიჯის ცვლილებას, ფოტომანიპულაციის გამოქვეყნებით გამოეხმაურა ფეისბუქ-ანგარიში „სირცხვილის კორიდორიც“[171].

166 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 4 აპრილი, https://bit.ly/3E5amly
167 ასავალ-დასავლის ჟურნალისტი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 24 მაისი, https://bit.ly/3YX6aUV
168 სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 24 მაისი, https://bit.ly/3KPhEDP
169 პოსტვ, სამნი და კო, 27 აპრილი, https://bit.ly/3P2MsU1
170 „არტურამ პრიჩოსკა გაიკეთა“, მიხეილ უკრაინოლოგი, 17 მარტი, https://bit.ly/45xtvhV
171 სირცხვილის კორიდორი, 10 მარტი, 2023, https://bit.ly/3QMwj6C

გარეგნული მახასაიათებლებით შეურაცხყოფა/დაცინვა გამოიყენებოდა კაცების მიმართაც. ამ მხრივ, მედია მონიტორინგის პერიოდში, თავდასხმის ყველაზე ხშირი სამიზნე იყო ლაზარე გრიგორიადისი, ახალგაზრდა, რომელიც მარტის საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააკავეს, მოლოტოვის კოქტეილის გამოყენების ბრალდებით. მას სამონიტორინგო მედიაში მოიხსნიებდნენ, როგორც „პროპიდარასტული ვიზუალის ვიღაცას,“[172] „გალაკულ მანიკურ წასმულ და ყურებგახვრეტილ და ყველაფერ გახვრეტილ ადამიანს.“ [173]

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „მოლოტოვის კოქტეილი“ უფრო დიდი დანაშაულია თუ რანაირ ვიზუალზეც ეგ ლაზარე არის, ეგ კიდე კაცმა არ იცის, რა... ციხეში ჯობია ადამიანი იყოს, ვიდრე აი, რატომღაც გადაწყვიტოს ასეთი ვიზუალი ჰქონდეს... “[174]

ზოგადად, მარტის სამოქალაქო პროტესტის შემდეგ, რომელშიც ახალგაზრდებმა დიდი როლი შეასრულეს, მედიაში იმატა ახალგაზრდების, როგორც სოციალური ჯგუფის დისკრედიტაციის, მათ შორის, გარეგნული ნიშნით, ახალგაზრდების შეურაცხყოფა/დაცინვის შემთხვევებმა. მარტის აქციების მონაწილეებს ახასიათებენ, როგორც „ფემინურ მოფარჩაკო ახალგაზრდებს და ცოტა ისეთ გოგონებს, არც თუ ისე კარგი შეხედულების.“[175]

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვის წამყვანი: „გახვრეტილები არიან, შინაგანადაც, ფიზიკურადაც, ორგანო არ აქვთ სხეულის გახვრეტილი რო არ ჰქონდეთ, რას გვანან ერთი შეხედეთ ეს საცოდავები“.[176]

172 შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 31 მარტი, https://bit.ly/3E5ayaK
173 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონიTV, დღის შეჯამება, 30 მარტი, https://bit.ly/45uXveR
174 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 3 აპრილი, https://bit.ly/45fQPRy
175 გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 13 მარტი, https://bit.ly/47C4W5b
176 სეზონიTV, დღის შეჯამება, 16 მარტი, https://www.myvideo.ge/v/4168755

2.6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (ეიჯიზმი)

მედიამონიტორინგის ხუთ თვიან პერიოდში (1.01-31.01.2023) ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი 33 კომენტარი/პოსტი გამოვლინდა, აქედან ტრადიციულ მედიაში 27, ხოლო სოციალურში – 6.

საქართველოს პრეზიდენტს **სალომე ზურაბიშვილს** შეეხებოდა ექვსი ეიჯისტური კომენტარი, რომელშიც მოხსენიებული იყო, როგორც „ასაკოვანი ქალბატონი“,[177] „სალომე ბაბო“, „მავნე ფრანგი პენსიონერი“, „ბებერი პარიზელი ინდაური“,[178] „პოლიტიკური ყვავი.“[179]

TB24-ის რედაქცია, SPLIT-NEWS: **„მავნე, ფრანგი პენსიონერი, რომელიც როდის, რა ცეცხლს დაანთებს, რას გადაბუგავს და რა ზიანს მოუტანს ქვეყანას ღმერთმა უწყის“.**[180]

ირმა ცხორაგაული, პატრიოტთა ალიანსი: **„უკვე საპენსიო ასაკის ქალბატონია, თუ არა საქართველოს, ის ვის გაახსენდებოდა როგორც პოლიტიკოსი?“**[181]

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული თავდასხმების ხშირ სამიზნეს წარმოადგენს ექს-პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია**, რომელსაც „მოხუც დედაკაცს“[182] უწოდებენ.

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: **„ქალბატონ გიულის ძალიან უნდა ბავშვობაში დაბრუნება და უნდა, რომ ისევ ის ბავშვი იყოს... და აი, იმ ცნობილი ჰიტის „მერვე კლასელოს“ სიმღერით მინდა, რომ ქალბატონი გიული დავაბრუნოთ ჩვენ იმ ბავშვობაში, რომელსაც ის მიესწრაფვის“**[183].

ლალი მოროშკინამ, ბიძინა ივანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ მიმართვაში, პოლიტიკური ოპონენტები „არშემდგარი წარსულის მქონე მხცოვან კახპებად“ და „ასაკობრივ კრიზისს გადაყოლილ უგვანო მდედრებად“ მოიხსენია“.[184]

ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ გვერდმა „ლურჯი ვირი“ კი გააზიარა „ქოცი ფაშისტის“ ეიჯისტური შინაარსის პოსტი, რომელშიც პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ხელისუფლების მომხრე ხათუნა ხოფერია „ბებრუხანა ბოზანდარად“ არის მოხსენიებული.[185]

177 ვალერი კვარაცხელია, საქართველო და მსოფლიო, 3 აპრილი, https://bit.ly/3E4amZi
178 ბაია ამაშუკელი, ისტორიკოსი, Splitnews, 28 მაისი, https://bit.ly/3P4edfd
179 მაია ნიკოლეიშვილი, ალია, 29 მაისი – 11 ივნისი
180 Split-news, 17 თებერვალი, https://bit.ly/3qEHtjc
181 ობიექტივი, სტუდია N8, 4 აპრილი, https://bit.ly/3QThyPg
182 მალხაზ თოფურია, პატრიოტთა ალიანსი, ობიექტივი, სტუდია 8, 27 იანვარი, https://bit.ly/3saSgC0
183 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 27 მარტი https://bit.ly/44gm2CI
184 ლალი მოროშკინა, ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფო, Split-news, 20 თებერვალი, https://bit.ly/47BKfGy
185 „ლურჯი ვირი“, 21 თებერვალი, https://bit.ly/3YKbQkL

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი რამდენიმე განცხადება მიმართული იყო უცხოელი პოლიტიკოსი ქალებისადმი. ალტ-ინფოს წამყვანმა, გიორგი ქარდავამ, **სენატორი ჯინ შაჰინი**, რომელმაც კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მოიხსენია, როგორც „დაბერებული ამერიკული გლობალისტური ისტაბლიშმენტის“ წარმომადგენელი, რომელიც „საკმაოდ ასაკიანი სენატორია“ და „80 წელს უკაკუნებს“.[186]

გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა: „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გადაბერებული პოლიტიკური ლიდერშიფი ყავს შეერთებულ შტატებს. აი, რომ ჩამოვთვალოთ, ჯო ბაიდენი არის 80 წლის, ნენსი პელოსი მე მგონი მაგაზე უფროსია, ნუ, ეს სენატორებიც მათ შორის.... 80 წელი ეს უკვე ადამიანის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვებს ბადებს“.[187]

ერთ-ერთი ეიჯისტური განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლეს ბრიჯიტ მაკრონს შეეხებოდა. ალტ-ინფოს წამყვანი შოთა მარტინენკო, ერთ-ერთ განცხადებაში, ემანუილ მაკრონს ავადმყოფად მოიხსენიებს, რადგან „ვიღაც 90 წლის ქალი... ჰყავს ცოლად“.[188]

საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა, ახალგაზრდა პოლიტიკოსი და სამოქალაქო აქტივისტი ქალების მოხსენიება გოგონებად, მათი მნიშვნელოვნების, გავლენისა და კომპეტენციის დაკნინების მიზნით, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებზე საუბრისას, მათ ახსენებენ, როგორც „ვიღაც გოგონა“, „ეს გოგონა“, „ეგ გოგონა, “ცხვირმოუხოცავი გოგონა“[189].

186 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 20 თებერვალი, https://bit.ly/47DMPvG
187 გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 20 თებერვალი, https://bit.ly/3siPFGm
188 შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 10 აპრილი, https://bit.ly/3smWS8s
189 ბესო ბარბაქაძე, ჟურნალისტი, საქართველო და მსოფლიო, 25 აპრილი, https://bit.ly/3sir1Wf

III. მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დასაცავად

წინა ანგარიშის მსგავსად, წარმოდგენილ კვლევაში გაანალიზებულია ოთხი სპეციფიკური თემა, რომლის დაცვის საბაბით ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას წლებია ახდენდნენ. ესენია:

1. იდენტობა,
2. ღირებულებები,
3. ოჯახის ინსტიტუტი,
4. ბავშვები.

მონიტორინგის პერიოდში (1 იანვარი – 31 მაისი, 2023) გაანალიზებული 850 კომენტარიდან, ნახევარზე ოდნავ მეტი იდენტობის დაცვასთან დაკავშირებულ გზავნილებზე მოდის (50,4 %), მეორე ნახევარი კი მცირედი სხვაობებით დანარჩენ 3 თემაზე ნაწილდება, კერძოდ: ბავშვების (19,2%), ღირებულებებისა (16,1%) და ოჯახის (14,4%) ინსტიტუტის დაცვაზე.

დიაგრამა 15. გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი



3.1. იდენტობის დაცვა

იდენტობასთან დაკავშირებული 428 კომენტარიდან ყველაზე დიდი წილი დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ ხელისუფლების მიერ პირველი მოსმენით მიღებულ რუსული ტიპის კანონის კონტექსტში, რომლის გაწვევაც ხელისუფლებას საპროტესტო აქციების შედეგად მოუწია.

დომინირებდა გზავნილი, რომელიც ამკვიდრებდა აზრს, რომ თავსმოხვეული ჰომოსექსუალობითა და გარყვნილებით, დასავლეთი ტრადიციულ იდენტობას გვაკარგვინებს (113). განცხადებები, რომელთა თანახმად, დასავლური დაფინანსება იდენტობასთან ბრძოლას და ლგბტქი პროპაგანდას ხმარდება (54), აგენტების შესახებ კანონის წინააღმდეგ მარტის საპროტესტო აქციებს უკავშირდებოდა. ამ ფონზე, ერთი მხრივ, იმატა იმ ადამიანების იდენტობასთან მებრძოლებად წარმოჩენის მცდელობამ, ვინც პროდასავლური და ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევა (47), მეორე მხრივ, ხდებოდა „იდენტობასთან მებრძოლების მეხუთე კოლონად“ და დასავლეთის აგენტებად (25) მოხსენიება.

პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა ასევე გზავნილი, რომლის თანახმად, ევროინტეგრაცია საქართველოს ტრადიციულ იდენტობას დააკარგვინებს (40). მკვიდრდებოდა აზრი, რომ მაშინ, როცა დასავლეთი თავად კარგავს იდენტობას (34), და თავს გვახვევს გარყვნილებას, რუსეთი იდენტობის დაცვას ჰომოსექსუალობის შეზღუდვით და ტრადიციების დაცვით ცდილობს (15). უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები კი „დასავლეთის ექსპერიმენტად“ იყო შეფასებული, რაც ღმერთთან ბრძოლად და ჰომოსექსუალური იდენტობის თავსმოხვევად (12) იყო წარმოჩენილი.

სამიზნე იყო ასევე მედია, რომელსაც გეიპროპაგანდასა და მრუშობის პოპულარიზაციაში ადანაშაულებდნენ (48) და კვლავ დღის წესრიგში იდგა ჰომოსექსუალობის პროპაგანდის, ცალკეულ შემთხვევაში კი ჰომოსექსუალობის, კანონით აკრძალვის მოთხოვნა (32).

დიაგრამა 16. იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე ხშირად იდენტობასთან დაკავშირებულ კომენტარებს პოლიტიკოსები (143), ტრადიციული მედია (138) და სასულიერო პირები (51) აკეთებედნენ. პარტიებიდან ამ მხრივ ყველაზე მეტად კრემლისტური ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა (127) გამოირჩეოდა, მედიებიდან კი – კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის მქონე სეზონი ტვ (70) და „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge, 47). სასულიერო პირებიდან იდენტობასთან დაკავშირებულ კომენტარებს ყველაზე ხშირად სპირიდონ ცქიფურიშვილი (25) აკეთებდა, რომელიც ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერია და მათ ტელეარხზე ხშირად ჩნდება.

ტრადიციული იდენტობის დაკარგვაში იგულისხმებოდა როგორც ეროვნული, კულტურული და რელიგიური, ასევე სექსუალური იდენტობაც, რასაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ევროატლანტიკურ ქვეყნებში წარმოებულ პოლიტიკას უკავშირებდა, რომელიც მისი თქმით, მრავალშვილიან ოჯახებს და ერთსქესიანთა პარტნიორობას, იგივე ღმერთისა და სატანის რწმენას ათანაბრებს[190]:

190 საქართველო და მსოფლიო, 30 იანვარი, „ძრწოდეთ, მე ვარ სატანა!“ https://bit.ly/3PfNriC

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი: „ჩვენ ვხედავთ, რომ ევროატლანტიკური ქვეყნებიდან ბევრი საკუთარ ფუძეს მოსწყდა, მათ შორის ქრისტიანულ ღირებულებებსაც, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა. ისინი დაუპირისპირდნენ ზნეობრივ საწყისებს და ტრადიციულ იდენტობას – ეროვნულს, კულტურულს, რელიგიურს, ასე განსაჯეთ, სამართლებრივსაც კი [MDF: ორიგინალ ვერსიაში სექსუალური], როდესაც აწარმოებენ პოლიტიკას, რომელიც ერთ დონეზე აყენებს მრავალშვილიან ოჯახებს და ერთნაირსქესიანთა პარტნიორობას, ანუ რწმენას ღმერთისა და რწმენას სატანისა“.

იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილების სტრუქტურა ხუთსაფეხურიანი იყო და შემდეგი სახით იყო ფორმულირებული:



1. **დასავლეთი ტრადიციულ იდენტობას კარგავს:**

ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV: „რომის პაპი უკვე საჯაროდ უჭერს მხარს მამათმავლობას, დედათმავლობას, ტრანსსექსუალიზმს, ბისექსუალიზმს და ყველა 40-მდე გენდერულ გარყვნილებას[191]“.

2. **დასავლეთი ებრძვის ჩვენს ტრადიციულ იდენტობას:**

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი TV-ის წამყვანი: „დღეს დასავლეთმა გააპიდარასტა, გააცისფერა, გააბოზა ქართველი ქალი[192]“.

სპირიდონ ცქიფურიშვილი, სასულიერო პირი: „დასავლეთის მთავარი ამოსავალია, რომ გარყვნან და გაათახსირონ დაპყრობილი ქვეყნები, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაიზარდოს ლგბტ ტოლერანტი[193]...“

190 https://bit.ly/3LjHL63
191 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან, 15 მაისი https://bit.ly/3ZeTWXR
192 ანალიტიკა, 8 თებერვალი https://bit.ly/4631ejs
193 ლელა კუნჭულია, რადიო თავისუფლება, 18 ივნისი, 2022. „ბაკურიანის ცნობილი შეხვედრა“ – გადატრიალების დაგეგმვა თუ დემოკრატიის ანბანი?“ https://bit.ly/3ZeTZD1

3. დასავლეთი აფინანსებს იდენტობასთან ბრძოლას.

დასავლეთის დაფინანსებასთან დაკავშირებული გზავნილები განსაკუთრებით აქტუალური „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“კანონის წინააღმდეგ პროტესტის პერიოდში გახდა. კანონის მიღების აუცილებლობას ხელისუფლება რევოლუციური სცენარის საფრთხეებსა და იდენტობასთან ბრძოლას თანაბრად უკავშირებდა, ისევე როგორც კრემლისტური ოპოზიცია და მედია, ასევე სასულიერო პირები.

ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება: „...პირველ რიგში, ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა, ვისი აგენტიც არ უნდა იყო – ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის თუ აღმოსავლეთის; საზოგადოება ახლა უკვე ერთმანეთისგან უკეთ არჩევს უცხოური გავლენის აგენტებს ხალხის გავლენის აგენტებისგან. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ ბაკურიანის გეგმის[193] განხორციელებას, სცენიდან ითხოვდნენ მთავრობის გადადგომას, ცდილობენ ეკლესიის რეპუტაციის შერყევას, აწარმოებენ ლგბტ პროპაგანდას... – სინამდვილეში არა ქართველი ხალხის, არამედ უცხოური გავლენის აგენტები არიან[194]“.

ოთარ ჭითანავა, პატრიოტთა ალიანსი: „ბევრი ისეთი ფინანსები მოდის დასავლეთიდან, რომ პირდაპირ იქიდან მოდის ეს დირექტივებით, რომ გავუწიოთ ლგბტ აქტივისტებს პროპაგანდა, ეს რაღაც გაუკუღმართებული ცხოვრების წესი საქართველოში. იხარჯება ფული იმისთვის, რომ მიუვარდნენ საპატრიარქოს და ფერადი საღებავებით შეღებონ საპატრიარქოს შენობა და ბევრი სხვა სამთავრობო შენობებიც, სხვათა შორის[195]“.

ლევან გაბაშვილი, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი: „რის ფასად დარბიან „ჩემი ფუჩუ ჩემიას“ პლაკატებით ახალგაზრდა გოგონები, რის ფასად იცვამენ 17 მაისს ბიჭები კაბებს და რუსთაველზე გატანტალებას ცდილობენ?[196]“.

გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი: „ის თანხები, რასაც გვაყვედრიან ჩვენი მოკავშირეები... ხმარდებათ ამ ჭინკებს, რომლებიც დარბიან და პედოფილიას, მამათმავლობას, დედათმავლობას, გახრწნილ ცხოვრებას ასწავლიან და ქართულ სულიერებას ებრძვიან[197].“

4. პროდასავლელობა/ლიბერალობა = ტრადიციული იდენტობის უარყოფას და უცხო ქვეყნის ინტერესების მსახურებას.

თუ ანტილიბერალურ დისკურსთან დაკავშირებულ წინა კვლევებში სამიზნე ძირითადად დასავლეთი იყო, ახალი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის შიგნით პროდასავლური კურსის მომხრე და ლიბერალური იდეოლოგიის ადამიანების მეხუთე კოლონად და აგენტებად მოხსენიებამ, „აგენტების შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ფონზე, უფრო ინტენსიური სახე მიიღო.

194 ობიექტივი, სტუდია N8, 14 მარტი https://bit.ly/3LgChZX
195 ობიექტივი, სტუდია N8, 28 თებერვალი https://bit.ly/3ZbeEaS
196 საქართველო და მსოფლიო, 28 თებერვალი https://bit.ly/3LkhQeK
197 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 10 მარტი https://bit.ly/3Z95LyJ

პროდასავლურობა / ლიბერალობა = იდენტობაზე უარის თქმას	მეხუთე კოლონა ებრძვის იდენტობას
გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობა: „რას ნიშნავს პროდასავლელობა? ვიცი, რას ნიშნავს და **საკუთარ იდენტობაზე უარის თქმას, ელგებეტე საკითხების ნორმალიზებას**[198]...“	**დიტო ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი:** “ხრავენ ქართულ კულტურას, ჩვენს იდენტობასა და მართლმადიდებლობას ის გადაგვარებულები და გაყიდულები, ის მეხუთე კოლონები[199]...“ **ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV:** „**შენ ემსახურები გეი პროპაგანდის, მამათმავლობის გავრცელებას საქართველოში ამერიკა-ევროპის მხარდაჭერით,** ბაიდენ-ობამა-კლინტონების სატანისტური მთავრობის პოლიტიკის მიმღებლობით, შენ ხარ ამერიკანისტ-ევროპისტი, მაშასადამე ხარ სოროსისტ-სატანისტ-გირჩისტი, შენ ხარ ანტიქრისტეეეეეე, დაფიქრდი[200].“
ირაკლი მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: „**პროდასავლური კურსი არის პირდაპირ, პირდაპირ ანტიქრისტიანული...** ლიბერალიზმი არის ქრისტიანული ფასეულობებიდან განთავისუფლების იდეოლოგია!“[201].	**შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა:** „ჩვენი საზოგადოება დაყოფილია ორ ნაწილად, მტრულ ნაწილად და **ამ მტრულ ნაწილში მოღალატეები არიან ის ნაწილი, რომელიც მტრების ჯარი არიან, მტრების აგენტები არიან,** პროდასავლელები არიან... თუ ვინმემ ღირსებაზე უნდა ილაპარაკოს, რავი **პიდარასტობის ერთობაში ინტეგრაციაზე გაქ პრეტენზია**[202]“...
დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი: „ლიბერალური დასავლეთი ადამიანის უფლებების სახელით მოითხოვს საქართველოში სოდომიის დაკანონებას. **რელიგიური და ზნეობრივი კუთხით ესაა სულიერი სუიციდი...** დასავლეთი ჩვენი რაიმე კავშირში მიმღები არ არის, მათ ვჭირდებით ერთი მიზნისთვის, რათა ვეომოთ რუსეთს. ეს კი ნიშნავს, რომ **პროდასავლელობა არის ფიზიკური სუიციდიც**[203].“	**სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი:** „**როდესაც პატარა ერს დიდი ქვეყანა ახდენს მის დაფინანსებას, რომ ის ექსპანსია მოახდინოს და დაიპყროს და დაიკავოს,** აუცილებლად ცდებიან ქვეყანაში რენეგატი მოღალატეები, როგორც მაგალითად, **მოღალატე ენჯეოშნიკები არიან,** ადამიანებით მერე იმართება ქვეყანა... ეს ენჯეოები, ამ ლიბერალურ დასავლეთზე მიყიდული პარტიები იქნება, რომ 15 გეი პოლიტიკური პარტია, ენჯეოები, უშუალოდ რომ ფინანსდებიან უცხოეთიდან[204]“.

5. იდენტობის დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: **„მან [პუტინმა] გააკრიტიკა დასავლური ლიბერალური ფასეულობები, მათ შორის მათი ლგბტ პროპაგანდა, გენდერული თეორიები, არნახული მცდელობები პედოფილიის დეკრიმინალიზაციის და ა.შ... დასავლეთში, სადაც**

198 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 15 მაისი https://bit.ly/3LicznK
199 ასავალ-დასავალი, 23-29 იანვარი
200 https://bit.ly/3PyKIrq
201 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 3 აპრილი https://bit.ly/3sPPJOd
202 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 26 მაისი https://bit.ly/3PxVpoL
203 https://bit.ly/3qYHa32
204 სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 26 იანვარი https://bit.ly/3PxzmhR

ძალიან დიდია ნეგატივი და სკეფსისი ლიბერალური ღირებულებების მიმართ... პუტინში ისინი დაინახავენ იმ ერთადერთ თეთრკანიან ევროპელ ლიდერს, რომელიც არ შეუშინდა ამ გლობალისტურ, ლიბერალურ მანქანას და ღიად დაეჯახა მათ[205].“

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „მათ რუსეთი იმიტო ეჩხირებათ ყელში, დიდი ტერიტორიაა... როგორც ქვეყანა, მართლმადიდებელი მათთვის არის გასანადგურებელი, კიდევ იმიტომ, რომ არის აი, ამ ევროპულ ანტიქრისტიანულ მოდელში არ ჯდება და კიდე ომის დროს პირდაპირ გააუქმა ლგბტ პროპაგანდის უფლება, როცა უკრაინაში პირიქით, დააკანონეს და ატარებენ გეიაღლუმებს, ეს არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის[206].“

დავით მხეიძე, „საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიცისტი: „რუსეთი იმას მაინც არ მოგვთხოვს, ცოლად ბიძაშვილი მოიყვანე, თანაც კაციო[207]“.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია = ტრადიციული იდენტობის დაკარგვას. კრებითი დასავლეთის გარდა, გენდერული იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ხაზგასმა ევროინტეგრაციის პროცესთან მიმართებითაც ხდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და სხვა ანტილიბერალური ჯგუფები აქტიურობდნენ:

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „ევროკავშირი ჩვენს საზოგადოებას სოდომიას აძალებს, ამიტომ ამ ოკუპანტთან მკაცრი დაპირისპირების გარდა სხვა გზა არ გვრჩება.“[208]

შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „შენ ევროპას ირჩევ და თან ვაჟკაცობა გინდა, თან პატრიოტობა გინდა, თან ეროვნულობა გინდა, თან ტრადიციები გინდა, თან ღირსეული ცხოვრების წესი გინდა, ქართველობა გინდა და ქრისტიანობა გინდა და ევროპას იცავ, ეგრე სად არის?[209]“

გიორგი რაზმაძე, დეკანოზი: „თურმე მამათმავლების გარდა ამ ქვეყანას სხვა პრობლემა არ აქვს და ევროკავშირში მივდივართ... რა, ადამიანის უკანალზე გადის დემოკრატიის საზომი?![210]“

---

205 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 21 თებერვალი https://bit.ly/3sVctvV
206 სეზონი ტვ,დღის შეჯამება,9 თებერვალი https://bit.ly/489V5nh
207 საქართველო და მსოფლიო, 29 მაისი, „შიში, რომელიც პირველი გეიაღლუმის გამართვის მცდელობის ჩაშლის შემდეგ დამოკლეს მახვილივით კიდია ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს თავზე“ https://bit.ly/465IFMQ
208 გურამ ფალავანდი ᲘᲦ, 14 მარტი, https://bit.ly/3sPYNm3
209 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 9 მარტი https://bit.ly/45JasS5
210 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 13 თებერვალი https://bit.ly/48doJln

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი TV-ის წამყვანი: **„დღეს რეალურად ევროპის რაღაც იდეალებზე კი არ არის საუბარი, ბოზობის დაკანონებაზეა ბრძოლა[211]..“**

ZNEOBA.GE: **„ევროინტეგრაცია ეს არის გზა საქართველოს სოდომიზაციისკენ“.[212]**

ექსტრემისტული გაერთიანება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის (მმკ)[213] წარმომადგენელი კი პრობლემებს ევროკავშირთან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებას და მის საფუძველზე მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს უკავშირებდა:

აპოლონიან უნგიაძე, მმკ: **„ეს [ასოცირების ხელშეკრულება, ანტიდისკრიმინაციული კანონი] არის საფუძველი იმ უბედრებისა, რაც დაგვატყდა თავს, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, გენდერული საკითხების სკოლებში შესვლა, პრაიდები, ყველაფერი ამასთან არის დაკავშირებული; იუვენალური კანონი, რომელიც ოჯახის ნგრევისკენ არის მიმართული; ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება[214].“**

211 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 15 მაისი https://bit.ly/3Pa91Fn
212 Zneoba.ge, 26 მაისი, https://bit.ly/3Ez2r6i
213 მმკ-ს პროფილი. მითების დეტექტორი https://bit.ly/3QJIpgU
214 qadageba.ge, 7 თებერვალი https://bit.ly/3ZsoLbH

გიორგი გახოკიძე: „უკრაინის ფაშისტურ-ტროცკისტულმა ხელისუფლებამ ომის პირობებში დაიწყო შეტევა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ... უკრაინელმა ხალხმა ვერ გათვალა მოსალოდნელი საფრთხე და მოაწყო მაიდანი, შედეგად ხელ-ფეხი გაეხსნათ მართლმადიდებლობასთან მებრძოლ არასამთავრობოებს... ნუ დაგვავიწყდება, რომ უფალმა სოდომი და გომორა გაანადგურა და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ბუნებრივი კატაკლიზმებით მოხდება თუ ომით[215]".

დევურ ვიორხელიძე, ანალიტიკოსი: „გლობალური ინტერესები ისეა დაჯახებული, აქ ამ მიზნებისთვის გამოყენებული იქნება ყველაფერი... ლგბტეები და ა.შ, ეს იყო ტესტირება... მათ უნდოდათ ის ექსპერიმენტის შედეგი მიეღოთ, რაც მიიღეს კიევში, უკრაინაში მიიღეს, როცა 2019 წელს უზარმაზარი ლგბტ დემონსტრაცია გააკეთეს ხრეშატიკზე და სამხედრო ნაწილებს მიაღებინეს მონაწილეობა[216]".

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „გააპიდარასტეს უკრაინული ლოზუნგები „დიდება გეებს[217]."

საქართველო და მსოფლიო: „აშშ-ის დემოკრატიული პარტია უკრაინის მეშვეობით აწინაურებს ლგბტ პირებს კათოლიკურ სამყაროში[218]".

ჰომოსექსუალობის პროპაგანდა/ჰომოსექსუალობა კანონით უნდა აიკრძალოს. ჰომოსექსუალობის პროპაგანდის კანონმდებლობით აკრძალვა, ზოგიერთ შემთხვევაში დასავლეთისგან გამიჯვნად და რუსეთთან, თურქეთთან და ჩინეთთან დაახლოებად იყო წარმოჩენილი:

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „თუ ჩვენ გვინდა, რომ დასავლეთს გავემიჯნოთ, უნდა მივიღოთ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონი[219]".

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „ჩვენ თუ მივიღებთ ლგბტ პროპაგანდის ამკრძალველ კანონს, ეს იქნება მთავარი დარტყმა სწორედ ამერიკაზე და ეს კანონი ჩვენ გვაერთიანებს რუსეთთან, გვაერთიანებს თურქეთთან, ჩინეთთან და ამ ალიანსთან, რომელიც უპირისპირდება ამერიკას[220]."

---

215 საქართველო და მსოფლიო, 30 მარტი, „გიორგი გახოკიძე: უკრაინის ფაშისტურ-ტროცკისტულმა ხელისუფლებამ ომის პირობებში დაიწყო შეტევა მართლმადიდებლობაზე და ეს მას უკარნახეს" https://bit.ly/42X8YTi

216 ერი-მედია, გონიერი, 8 თებერვალი [9:43-11:33] https://bit.ly/3P5vqDK

217 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 28 თებერვალი https://bit.ly/3Pgelak

218 საქართველო და მსოფლიო, 10 თებერვალი „აშშ-ის დემოკრატიული პარტია უკრაინის მეშვეობით აწინაურებს ლგბტ პირებს კათოლიკურ სამყაროში" https://bit.ly/3P55bNy eadaily.com, 9 თებერვალი, Демпартия США через Украину сует ЛГБТ в католический мир https://bit.ly/3YPGKHy

219 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 4 აპრილი https://bit.ly/3Le0U9p

220 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 4 აპრილი https://bit.ly/467Ar5o

ამასთანავე ჰომოსექსუალობის პროპაგანდის კანონით შეზღუდვას, როგორც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიაში (PosTV), ასევე ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ანონიმურ ფეისბუქ გვერდზეც („პოლიტიკური აბსურდი“) ვხვდებით:

გიორგი ახვლედიანი, წამყვანი: „გარყვნილების შემხედვარე ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა ითხოვს ამ გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას და ყველანაირი გარყვნილებისათვის პრივილეგიების, პირველ რიგში კი სამართლებრივი პრივილეგიების ჩამორთმევას.“[221]

ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ანონომურ ფეისბუქ გვერდზე „პოლიტიკური აბსურდი“ გამოქვეყნებული პოსტი[222] კი, მოწოდებით – „თუ ეთანხმები, რომ მამათმავლობის პროპაგანდა უნდა აიკრძალოს, გააზიარე!“ დასპონსორებული იყო.



221 გიორგი ახვლედიანი, წამყვანი, POSTV-ანალიტიკა, 6 მაისი, https://bit.ly/3Zbf1Ci
222 https://bit.ly/3EvvYOk

3.2. ბავშვების დაცვა

იდენტობის დაცვის შემდეგ ყველაზე მეტი გზავნილი (163) ბავშვების დაცვას უკავშირდებოდა, რაც დიდწილად ევროინტეგრაციის და ზოგადად დასავლეთში ინტეგრაციის თანმდევ საფრთხეებთანაც იყო გაიგივებული. ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში ყველაზე მეტი გზავნილი არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის და გენდერული თვითგამორკვევის (34) თემებს შეეხებოდა; მკვიდრდებოდა ასევე აზრი, რომ ბავშვებზე ფსიქოლოგიური ძალადობა, მათში გარყვნილების პროპაგანდა მიზანმიმართულად ხდება (23). დასავლეთში პედოფილიის ნორმალიზების (19) შესახებ გზავნილებს თან ახლდა ამ თემაზე გავრცელებული სხვადასხვა დეზინფორმაცია[223], რომელიც მეტწილად რუსული წყაროებიდან იღებდა სათავეს.

დიაგრამა 17. ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები

ბავშვებში გარყვნილების პროპაგანდა სასკოლო და სკოლამდელ განათლებას, მედიას, ფილმებსა და წიგნებს უკავშირდებოდა.

223 თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2023. „გენდერული დეზინფორმაცია“. https://bit.ly/3RiGUXm

ცხრილი 3. საგანმანათლებლო/საკომუნიკაციო არხები, რომლებიც ბავშვებისთვის საფრთხედ წარმოჩინდება

სასკოლო და სკოლამდელი აღზრდა	გამომცემლობა / წიგნები	მედია	კინოთეატრები
გენდერულად ნეიტრალური სწავლების პრინციპების დანერგვა სახელმძღვანელოებში ფარული გეი პროპაგანდის არსებობა სამოქალაქო განათლების სწავლება სექსუალური განათლება	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი საბავშვო ლიტერატურა: „ძილისპირული ზღაპრები მეამბოხე გოგონებისათვის“. შარლ პეროს „ვირისტყავა“	საზოგადოებრივი მაუწყებლის სერიალი „სიყვარულის მიღმა“, რომელშიც ლესბოსელი პერსონაჟია[224] ფილმების ჩვენება, რომელშიც ლგბტქი პერსონაჟები გვხვდებიან ლგბტქი თემის წარმომადგენლების გაშუქება, სტუდიაში მოწვევა	ლგბტქი თემის შესახებ ან მათი მონაწილეობით ფილმების ჩვენება ანიმაციის ჩვენება, სადაც ორი ბიჭუნას ურთიერთობაა ასახული

სასკოლო და სკოლამდელი აღზრდა. საგანმანათლებლო სივრცეში გენდერნეიტრალური სწავლება, ასევე სამოქალაქო განათლება და სექსუალური განათლება დასავლეთის მავნე გავლენასთან და ტრადიციულ იდენტობასთან ბრძოლის მიზანმიმართულ პროცესთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი საბავშვო ბაღებში აღზრდის გენდერულად ნეიტრალური მეთოდების დანერგვას ბოლონიის პროცესს მიაწერდა, რომელიც რეალურად საუნივერსიტეტო განათლების საფეხურს ეხება:

ირმა ცხორაგაული, პატრიოტთა ალიანსი: **„სააკაშვილმა რომ შემოგვიტანა ის ბოლონიის პროცესი, აი, სწორედაც ის, რომ ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბიჭს გოგოს როლს რომ ათამაშებდნენ და გოგოს ბიჭისას, სხვადასხვა სათამაშოებს რომ გვთავაზობდნენ იქ, სხვადასხვა სასქესო ორგანოებით“.**[225]

რაფაელ ჭარელინი, არქიმანდრიტი: **„მთელი რიგი ქვეყნების სკოლებში შეიტანეს სექსოლოგია, როგორც საგანი, რომელშიც „მასწავლებელი“ ეროტიკული თამაშების რეჟისორადაა ქცეული. ბიჭებმა და გოგონებმა მეუღლეთა ურთიერთობის იმიტაცია უნდა მოახდინონ.... სექსოლოგიის გაკვეთილები, რომლებიც სკოლას საროსკიპოსაკენ მიმავალ გზად აქცევს, დაუშვებელია და უნდა აიკრძალოს“**[226].

დეკანოზი დავითი: **„მსოფლიოს წამყვანი ფსიქიატრების დასკვნით, სექსუალური განათლების პროგრამა არყევს ბავშვების ფსიქიკას და აფერხებს მის გონებრივ განვითარებას, მაგალი-**

224 საზოგადოებრივი მაუწყებელი, „სიყვარულის მიღმა“ https://1tv.ge/show/siyvaruls-mighma/
225 პატრიოტთა ალიანსი, ობიექტივი, სტუდია N8, 21 მარტი, https://bit.ly/3r7jKZ8
226 ZNEOBA.GE, 3 მარტი, https://bit.ly/3ZbfcgW

თად ამერიკაში შემცირების ნაცვლად, პირიქით გაიზარდა დაავადებები, რომელიც სწორედ სექსუალური ურთიერთობების შედეგად ვრცელდება“.[227]

ნიკოლოზ მჭავანაძე, სეზონი TV-ს წამყვანი: „სამოქალაქო საზოგადოების საგნის საფარ ქვეშ არის შეტანილი ყოველგვარი გარყვნილება“.[228]

ლევან ვასაძე, ერთობა, რაობა, იმედი: „ჩემს შვილებს ვიღაცა პერვერტებმა ვარდისფერ კალგოტკებში უნდა ასწავლონ, როგორ აირჩიოს ბიჭი იყოს თუ გოგო“.[229]

გამომცემლობა/წიგნები. სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ კამპანია ორ წიგნს – „ძილისპირული ამბები მეამბოხე გოგონებისთვის“ და მე-17 საუკუნის მეზღაპრის, შარლ პეროს ერთ-ერთ ზღაპარს „ვირისტყავას“ უკავშირდებოდა[230].

ზვიად პეპლიანი, POSTV-ის წამყვანი: „როცა მეუბნები, რომ ეს ნორმაა, ეს უკვე სხვანაირად აღიქმება. იგივე, სკანდალი გამოიწვია ერთ-ერთმა წიგნმა [ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის], რომელიც ჩვენც გავაშუქეთ... პრობლემა ის კი არ არის, რომ ვიღაცას შეიძლება განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია ჰქონდეს, პრობლემა არის ის, რომ 3-4 წლის ბავშვს ეუბნებიან, რომ შენ შეიძლება აირჩიო გოგო ხარ, თუ ბიჭი... ეს არის უკვე პროპაგანდა[231].“

სოსო მანჭავიძე, ერი მედია, წამყვანი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ .... გრანტი მიიღო, გამოსცა ეს წიგნი და მასწავლებლებს მისცა ამ გრანტიდან 450 ევრო თუ რაღაცა, რომ ბავშვებს წაუკითხონ, თუ რა კარგია ტრანსგენდერობა... განათლების სამინისტრო აქედან გამომდინარე გენდერულად ნეიტრალური თუ გენდერულ გაუგებრობაში მყოფი ამხანაგები, მათ მოუწევთ პასუხისმგებლობა თითოეულ ბავშვზე... ეს არის მავნებლობა და სისაძაგლე“.[232]

მედია და კინოთეატრები. მედიის მიმართ ზოგადი პრეტენზია ლგბტქი თემის წევრების ხილვადობის გაზრდას უკავშირდებოდა, რაც „გეი პროპაგანდასთან“ იყო გაიგივებული:

ლევან გაბაშვილი, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი: „ლგბტ თემის არაერთი წარმომადგენელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ტელევარსკვლავია, სხვადასხვა შოუში იწვევენ და სწორედ ეს არის პროპაგანდა – ბავშვებს, რომლებიც ამ შოუებს უყურებენ, უვითარდე-

227 qadageba.ge, 7 თებერვალი, https://bit.ly/3Rc3rVH
228 სეზონი ტვ, 8 მაისი, https://bit.ly/3LjIiF5
229 ერი მედია, ამიერ-იმიერი, 24 თებერვალი, https://bit.ly/3OHx26h
230 ტაბულა. პენცენტრი: ვგმობთ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ დაწყებულ ამაზრზენ რუსულ კამპანიას, 3 ივლისი, 2023 https://bit.ly/45LTP8z
231 პოსტ TV, პოსტ ანალიტიკა, 3 მაისი, https://bit.ly/3PbMLLk
232 ერი მედია, გონიერი, 24 აპრილი, https://bit.ly/3PfH9Q4

ბათ განცდა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ამის გამო არავინ გაკიცხავს, რომ თუნდაც ტრანსგენდერობა ყველაზე იოლი გზაა პოპულარობისკენ.[233]

ტელევიზიებს შორის ჰომოფობიური სიძულვილის ენის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებელი, რადგან მის ეთერში გავიდა ფილმი, რომელიც ლესბოსურ სიყვარულს შეეხებოდა, ხოლო ფილმის შემდეგ შედგა განხილვა, რომელშიც მოზარდებიც მონაწილეობდნენ.

ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოება: **„მთავრობის 100 მილიონიანი დაფინანსებით პირველი არხი ბავშვებს სოდომიით გვირყვნის[234]“.**

მიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: **„ეს არის ფილმი, სადაც პირდაპირ მიდის ლგბტ საკითხის პროპაგანდა, ამ იდეოლოგიური ასე ვთქვათ, შეხედულების აქტიური ნორმალიზების მცდელობა და ეს გადის ეთერში ღიად. ვის ხელშია საზოგადოებრივი მაუწყებელი?!.. სამწუხაროა, რომ ამ ფილმის პროპაგანდირებაში ჩართეს არასრულწლოვნებიც!“**[235]

მონიტორინგის პერიოდში თავდასხმის სამიზნედ კინოთეატრებიც იქცნენ, რომელთა რეპერტუარიც, ასევე „გეი პროპაგანდად“ იყო შეფასებული:

ჯაბა ქვანია, წამყვანი, ალტერინფო: **„კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გახმოვანებული გეიპროპაგანდისტური მულტფილმი, სადაც მთავარი გმირები შეყვარებული ბიჭები, მოზარდები არიან, ეს სხვა არაფერია თუ არა სწორედ პროპაგანდა და გარყვნილების ნორმალიზაცია ბავშვებში“.**[236]

პედოფილია. დასავლეთში პედოფილიის ნორმალიზების შესახებ გზავნილს ძირითად, ალტ-ინფო/კონერვატიული მოძრაობა, ასავე კრემლისტური „საქართველო და მსოფლიო“ ანტიდასავლურ კონტექსტში ავრცელებდნენ, გარკვეულ შემთხვევებში რუს პოლიტიკოსებსა და მედიაზე დაყრდნობით:

ზოთა მარტინენკო, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: **„პედოფილიის ნორმალიზაცია დაიწყება დასავლეთში კი არა, დაიწყო. პროდასავლელობა ხდება პროპედოფილობა... ვინც მანდ ინტეგრაციას ემხრობით, ის ემხრობით სინამდვილეში პედოფილიური დღის წესრიგის დამკვიდრებას[237].“**

233 საქართველო და მსოფლიო, 28 თებერვალი, „რატომ არის დასავლეთი იმის გარკვევის წინააღმდეგი, საიდან ფინანსდებიან საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობოები?“ https://bit.ly/3LkhQeK

234 ალექსანდრე ფალავანდიშვილი, 13 თებერვალი https://bit.ly/3RiM5q2

235 ალტ-ანალიტიკა, 13 თებერვალი, https://bit.ly/44KSfSX

236 ალტ-ინფო, ალტერინფო, დღის კომენტარი, 23 იანვარი, https://bit.ly/452wb6F

237 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 20 აპრილი https://bit.ly/3PvCUkK

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი: „ნახეთ, რას უშვრებიან ისინი თავიანთ ხალხებს: ოჯახების ნგრევა, კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის განადგურება, გარყვნილება, ბავშვების დამცირება, პედოფილიამდეც კი გამოცხადებულია ნორმად, მათი ცხოვრების ნორმად[238]“.

ამ თემაზე რუსეთის პრეზიდენტის ციტირების გარდა, ვრცელდებოდა რომის პაპის და გაეროს წინააღმდეგ მიზანმიმართული დეზინფორმაციები, რომლებიც ხშირად რუსული მედიიდან იღებდა სათავეს და დეტალურად გენდერული დეზინფორმაციის ანგარიშშია განხილული[239].

ბავშვების მიზანმიმართული დეგრადაცია. გარკვეულ შემთხვევებში მკვიდრდებოდა აზრი, რომ ბავშვების გარყვნა მიზანმიმართულად, მათი მართვის მიზნით ხდება და ისმოდა კრიტიკა ხელისუფლების მისამართით იმის გამო, რომ მან ახალგაზრდები გეი აქტივისტებსა და ფრანკლინის კლუბს ჩაუგდო ხელში, სადაც მოზარდების იდეოლოგიური ზომბირება ხდებოდა. ეს კრიტიკა გამოიკვეთა მარტის საპროტესტო აქციების ფონზე, რომელშიც განსაკუთრებული როლი ახალგაზრდებმა შეასრულეს:

გიორგი ქარდაპა, ალტ-ინფო / კონსერვაციული მოძრაობა: „ჩვენ... გავუშვით ხელიდან მომავალი თაობის აღზრდის მექანიზმები და მთლიანად ჩავაბარეთ ლგბტ აქტივისტებს, ფემინისტებს, დასავლეთიდან დაფინანსებულ პერვერტებს“[240].

ვალერი კვარაცხელია, „საქართველო და მსოფლიოს“ ავტორი: „ისინი [ამერიკელები] ამ სულისკვეთების „მეხუთე კოლონას“ აჩენენ ყველგან, რომლებსაც ჯერ კიდევ უმწიფარი მოზარდებისთვის ტვინის გამორეცხვის გზით თვითონვე ჩეკავენ, ზრდიან, აფინანსებენ, გეშავენ და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებენ. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია პრემიერმინისტრმა დაასახელა კიდეც – ფრანკლინის კლუბი[241]... ათასი ჯურის გეიაქტივისტი და სხვა უბედურება, რომლებსაც საქართველოს წინააღმდეგ იყენებენ, სწორედ იმ თანხით ფინანსდებიან, რომლის შემოდინების გამჭვირვალობას ასე თავგანწირვით ეკვეთნენ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ანტიქართული ძალები. ასეთი ძალა ევროპაში ბევრია[242]“.

მოწოდებები საკანონმდებლო ცვლილებაზე და რუსეთის გამოცდილების იდეალიზება. ბავშვთა დაცვის საკითხიც „გარყვნილების პროპაგანდის“ კანონმდებლობით რეგულირებისკენ მოწოდებებს უკავშირდებოდა და ცალკეულ შემთხვევებში რუსეთის გამოცდილების და იქ არსებული ინიციატივების სანიმუშოდ წარმოჩენა ხდებოდა:

---

238 საქართველო და მსოფლიო, 22 თებერვალი „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ რუსეთის უფლება, იყოს ძლიერი!“ პუტინის მიმართვა ფედერალურ საკრებულოს. https://bit.ly/44UScnS წყარო: kremlin.ru

239 თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2023. „გენდერული დეზინფორმაცია“. https://bit.ly/3RiGUXm

240 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 24 აპრილი, https://bit.ly/3RyuDhF

241 ნიკა ბურდული, ნეტგაზეთი, 14 მარტი „სრული სიცრუე“ – „ფრანკლინის კლუბი“ ღარიბაშვილის ბრალდებებზე https://bit.ly/3RgJnRX

242 საქართველო და მსოფლიო, 13 მარტი, „ეჭვის შეკითხვა“. https://bit.ly/3PzPMGO

გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი: „რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ მიშუსტინმა ბავშვთა ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია დაამტკიცა... კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია, გაგრძელდეს ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის უკანონო გავრცელების ფაქტების აღკვეთა, რომელთა მიზანი: ...არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების, აგრეთვე, პედოფილიის პროპაგანდა; ბავშვებში სქესის შეცვლის სურვილის აღძვრა“.[243]

3.3. ღირებულებების დაცვა

ღირებულებებთან დაკავშირებული გზავნილებიც მეტწილად ანტიდასავლური იყო. დომინირებდა გზავნილი, რომ დასავლური ღირებულებები, ლიბერალიზმი შეუთავსებელია ზნეობრივ/ქრისტიანულ საზოგადოებასთან (48); რომ დასავლეთი თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს (28) და რომ ლიბერალური ფაშიზმის და იდეოლოგიის გარდატეხა უნდა მოხდეს (13). დასავლური კულტურის როლურ მოდელებად ჰომოსექსუალების წარმოჩენასთან (12) ერთად კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ის, ვინც სოდომიას ებრძოდა, ან აკავებდნენ, ან გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავდნენ (17).

ცალკეულ შემთხვევებში ულტრამემარჯვენე აქტორები ასევე აკეთებდნენ შეფასებებს, რომლის თანახმად, ბოლო დროს ხელისუფლების მცდელობები კონსერვატიული ნიშა მოერგო, იმით იყო განპირობებული, რომ დასავლურ ღირებულებებს საქართველოში მხარდაჭერა არ აქვს.

დიაგრამა 18. ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



243 გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი, საქართველო და მსოფლიო, ნ მაისი, „მიშუსტინმა ბავშვთა ინფორმაციული უსაფრთხოების უვადო კონცეფცია დაამტკიცა“ https://bit.ly/3RfbSiQ

დასავლური ღირებულებები / ლიბერალიზმი შეუთავსებელია ზნეობრივ / ქრისტიანულ საზოგადოებასთან. ამ გზავნილების კულტივირებას მეტწილად ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა და მათთან დაკავშირებული მედია და სასულიერო პირები ახდენდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ტრადიციულ ღირებულებებთან ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფის, მისი მართვის და რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოყენების მიზნით ხდებოდა:

დავით ახვლედიანი, ალტ-ინფოს წამყვანი: „რადიკალური პოლიტიკური ჯგუფების გამოყენებით, რომლებსაც ამერიკელები აკონტროლებენ, მათი გარყვნილი და ამორალური ფასეულობებით, რომელიც ძალიან შორს არის ჩვენი კულტურიდან, დასავლეთი ცდილობს დაანგრიოს პატარა ქვეყნების კულტურული სუვერენიტეტი და კონტროლი დაამყაროს მათზე“.[244]

სპირიდონ ცქიფურიშვილი, სასულიერო პირი: „ჩვენ ისტორიულად ვართ მართლმადიდებლობის დამცველი ერი, საქართველოს ისტორიული მისია არის მართლმადიდებლობის დაცვა და არა პროდასავლური სოდომიზაცია[245].“

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „შენ თუ მე ლიბერალიზმს მიმკვიდრებ, შენ წინააღმდეგობაში მოდიხარ, მათ შორის ჩემ ეროვნულ ინტერესებთან, შენ თუ მე რელიგიას და კულტურულ იდენტობას მისპობ, მაგით მასუსტებ თან, თან მაგით მაქრობ, შეიძლება შენზე დამოკიდებული ვხდები... ლიბერალს არ შეუძლია არანაირი წინააღმდეგობის გაწევა, ის პაციფისტია, ფემინისტია, პიდარასტია, საყურეებიანი... თან ერთი მხრივ უნდათ, რომ საქართველო გახადონ რუსეთის წინააღმდეგ პლაცტარმად, მაგრამ მეორე მხრივ ეს იდეა, რომ დაამკვიდრო, შენ ხო უნდა გაავრცელო საკუთარი იდეოლოგია, ჯერ ერთი ლიბერალი შენ ვერ დაგიწყებს ქრისტიანობის დამკვიდრებას, ეს წინააღმდეგობაში მოდის მათ ინტერესებთან[246].“

სტეფანე კალაიჯიშვილი, მიტროპოლიტი: „ეს ფემინისტური ინსინუაციები და შტერი ქალების, გარყვნილი კაცების და ჰომოსექსუალისტების დიქტატურა არის ის, რასაც დღეს გვიმკვიდრებენ და რაც არის დასავლური ღირებულებების მთავარი ატრიბუტები[247].“

გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: „ერთადერთი, რასაც არავითარ შემთხვევაში ქართული საზოგადოება არ დაუშვებს, რომ სარწმუნოება იყოს ჩანაცვლებული გარყვნილებით, ეს არის გამორიცხული!... არ მიიღებს ამ პროგრესს ქართული საზოგადოება არავითარ შემთხვევაში იმიტომ, რომ ეს არის რეგრესი, გინდა დასავლურის იყოს, გინდა მარსის იყოს[248]...“

---

244 სეზონი TV, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 19 იანვარი, https://bit.ly/44M2wyj
245 ალტ-ნიუსი, 3 მაისი https://bit.ly/44NqOru
246 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 10 მარტი https://bit.ly/3Z9JL6J
247 ჭყონდიდის ეპარქია/Diocese of Chkondidi, 22 იანვარი, 21:00 https://bit.ly/44dIYUj
248 იმედი, იმედი LIVE, 30 აპრილი https://bit.ly/45Lq4Vm

მკვიდრდებოდა აზრი, რომ ჰომოსექსუალების მხარდაჭერა/ჰომოსექსუალობა შეუთავსებელი იყო ტრადიციულ ღირებულებებთან და რომ ევროპამ იმ ღირებულებებით უნდა მიგვიღოს, რაც ჩვენი ტრადიციული იდენტობის შემადგენელია:

სპირიდონ ცქიფურიშვილი, სასულიერო პირი: **„დავით აღმაშენებელი არ აშენებდა მამათმავლებისა და ლესბოსელების ქვეყანას, დავით აღმაშენებელმა როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში, დაიწყო ვაჟკაცი კაცების ქვეყნის აშენება, ხოლო ზელენსკი და აქაური სალიბერასტეთის ფრთა წლები არი უკვე, 30 წელია თითქმის ცდილობენ ააშენონ საქართველოში მამათმავლების, მეძავებისა და ლესბოსელების და ნარკომანების ქვეყანა[249].“**

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: **„თუ საქართველო ევროპაში შევა, ჩვენ იქ შევალთ ღირსეულად, ჩვენი კულტურითა და ტრადიციებით, რომელიც არც ერთნაირსქესიანთა ოჯახებს ცნობს და არც ბავშვებისათვის სქესის შეცვლას. ამაყი ვიყავი, როცა ვუსმენდი უნგრეთში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას, რომელმაც მთელ ევროპას გააგონა ქართული ერის ხმა – ჩვენთვის მთავარი ღირებულებები მამული, ენა და სარწმუნოება არისო![250]“**

ასევე კეთდებოდა განცხადებები, **ლიბერალური იდეოლოგიის ხერხემალში გარდატეხის** აუცილებლობის შესახებ:

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: **„...გარდაუვლად ჩვენ მათ დავამარცხებთ, ამ ავადმყოფობას, ლიბერალიზმს, რომელიც მოდებული არის როგორც ჭირი მთელ მსოფლიოს[251].“**

3.4. ოჯახის ინსტიტუტის დაცვა

წინა კვლევის მსგავსად, ოჯახის დაცვის თემატიკაში აბორტის საკითხი დომინირებდა, რომელიც ცოდვად, მკვლელობად იყო განხილული (46) და მასში ძირითადად ქალის დადანაშაულება ხდებოდა.

გამოიკვეთა ოჯახთან დაკავშირებული სხვა გზავნილებიც:

- ოჯახი არის ქალის და მამაკაცის ერთობა (17);
- ფემინიზმი საფრთხეს უქმნის ოჯახს/ტრადიციული ოჯახების მიზანმიმართული ნგრევა ხდება (16);
- ოჯახის ინსტიტუტი დასაცავია მოდერნიზაციისგან/გენდერული პროპაგანდისგან (14);

249 ვარდიგორის მამათა მონასტერი, 15 თებერვალი, 2:40 https://bit.ly/465QuRu
250 ასავალ-დასავალი, 15-21 მაისი
251 ვარდიგორის მამათა მონასტერი, 1 თებერვალი, 3:46 https://bit.ly/45XN8jy

- მოძალადეებად კაცების მიზანმიმართული წარმოჩენა ხდება (13);
- პრემიერი იცავს ტრადიციულ ოჯახს (10);
- ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს/ქალიშვილობის ინსტიტუტი უნდა შენარჩუნდეს (6).

დიაგრამა 19. ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



აბორტი. აბორტის თემას ძირითადად, სასულიერო პირები ან რელიგიური ხასიათის ფეისბუქ გვერდები უთმობდნენ ყურადღებას, როგორიცაა: „აბორტი ბავშვების მკვლელობაა“ და Zneoba.ge, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული გვერდებია, ასევე qadageba.ge და „დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი“.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური გვერდების მასალებში აბორტის საკითხი დეტალურად არის განხილული, მაშინ როდესაც ტრადიციული მედიის კომენტარებში აბორტი უმეტესწილად ფიგურირებდა, როგორც ერთ-ერთი საფრთხე პრობლემათა ჩამონათვალში და მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო შედარებით ვრცლად განხილული. აბორტის შესახებ განცხადებებში, პრობლემა განხილულია რელიგიურ-მორალურ ჭრილში, არასოდეს არ არის განხილული ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, იშვიათ შემთხვევაში დასახელებულია აბორტის სოციო-ეკონომიკური და სამართლებრივ-უფლებრივი ასპექტები, მაგრამ უარყოფით კონტექსტში, ამასთანავე აბორტზე გადაწყვეტილებაში მხოლოდ ქალია დადანაშაულებული.

აბორტის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის ვრცელდება შემდეგი ძირითადი გზავნილები:

- აბორტი ბავშვების მკვლელობაა
- ქალი, რომელიც აბორტს მიმართავს, შვილების მკვლელია
- აბორტი მძიმე ცოდვაა, რისთვისაც ქალს ღვთის სასჯელი მოელის
- ჩასახვის საწინააღმდეგო ნებისმიერი საშუალების გამოყენება ცოდვაა
- ლიბერალები და ფემინისტები აბორტის პროპაგანდას ეწევიან

- აბორტი კანონით უნდა აიკრძალოს.

ᲐᲑᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲐ. აბორტის აღსაწერად გამოიყენება ისეთი მკვეთრი გამოთქმები, როგორიცაა: „ყრმათა კვლა“, „დაუბადებელი შვილების სისხლიანი კალო“,[252] „დედის მუცელში ჩვილის დაჩეხვა“[253].

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲝᲜᲘᲫᲔ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ: **„აბორტი კი არის უმწეო ადამიანის მკვლელობა, უმწეო ბავშვის მკვლელობა, რომელსაც ჩასახვისთანავე აქვს სული“.**[254]

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲐᲠᲓᲐᲕᲐ, ᲐᲚᲢ-ᲘᲜᲤᲝ/ᲙᲝᲜᲡᲔᲕᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ: **„არავის არ აქვს უფლება ცოცხალი ადამიანის, ბავშვის მკვლელობის. ის ნაყოფიც ჩვეულებრივი ადამიანია, დამტკიცებულია ეს ყველაფერი თან არაერთხელ მეცნიერების მიერ“.**[255]

ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲑᲝᲠᲢᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐ. აბორტის მოწინააღმდეგე აქტორები აბორტის გაკეთებისათვის მთელ პასუხისმგებლობას დედას აკისრებდნენ. მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ არცერთ კომენტარში არ არის საუბარი მამის ცოდვაზე, მის შინაგან სინდისზე, ზნეობაზე.

ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲜᲘ: **„დედა, რომელიც შვილს კლავს, შინაგანი სინდისის ხმას ახშობს თავისთავში და საკუთარი ზნეობის მკვლელი ხდება. ბავშვის მკვლელობა ცხადყოფს, რომ ასეთი დედა უმაღლეს ფასეულობად თავისთავს მიიჩნევს. ე.ი. რაფინირებული ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის პირდაპირი გამოვლინებაა.**[256]

ᲐᲑᲝᲠᲢᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲪᲝᲓᲕᲐᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ

ᲡᲐᲑᲐ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲘ: **„მე ყველა ქალს ვეუბნები, ვისაც ერთხელ მაინც შეგნებულად ჰყავს მოკვდინებული თავისი შვილი მუცელში, რომ ყველა განსაცდელი და ყველა ტკივილი, რაც კი შეიძლება თქვენ თქვენს ცხოვრებაში დაეშვას, იცოდეთ, რომ ამას მიაწერეთ და ღმერთს ათასი მადლობა გადაუხადეთ, რომ დრო და საშუალება გეძლევათ გამოსყიდვისათვის, რომ თავში მეხი არ გეცემათ, ყოველი მანქანა არ გეჯახებათ, ყოველი გასროლილი ტყვია თქვენ არ გხვდებათ, იმდენად მძიმე ცოდვაა ეს“.**[257]

---

252 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 28 თებერვალი, https://bit.ly/45MRdXO
253 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 28 აპრილი, https://bit.ly/3Ex90X1
254 დეკანოზი დავითი, qadageba.ge, 7 თებერვალი, https://bit.ly/3ZsoLbH
255 გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 5 აპრილი, https://bit.ly/3rhioei
256 არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, ZNEOBA.GE, 16 მაისი, https://bit.ly/3Pgg0fU
257 საბა ჭიკაიძე, სასულიერო პირი, თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 28 აპრილი, https://bit.ly/48aVaqR

ჩასახვის საწინააღმდეგო ნებისმიერი საშუალების გამოყენება ცოდვაა. აბორტის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებში, ორსულობისაგან თავდაცვის არცერთი საშუალება არ განიხილება აბორტის ალტერნატივად და არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების მისაღებ შესაძლებლობად. კონდომის გამოყენებაც მიჩნეულია სიძვის ცოდვად, ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენება გათანაბრებულია ჩანასახის მკვლელობასთან:

ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „სქესობრივი კავშირი მხოლოდ ცოლქმარს შორის უნდა იყოს და ისიც ბავშვებისგან ხელოვნური თავშეკავების გარეშე. რადგან მსგავსი პრაქტიკა თავის თავში სიძვა-მრუშებას მოიცავს (მაგ. ე.წ. რეზინით), ხოლო ე. წ. ჩასახვის საწინააღმდეგო აბები სინამდვილეში არის არა ჩასახვისგან პრევენცია, არამედ უკვე ჩასხული რამდენიმე დღის პატარა ადამიანის მოკვდინება, ადამიანისა, რომელსაც მცირე ზომის მიუხედავად, უკვე გააჩნია უკვდავი სული და უნიკალური გენეტიკური კოდი“[258].

ლიბერალები და ფემინისტები აბორტის პროპაგანდას ეწევიან. აბორტის მოწინააღმდეგე აქტორები აბორტის ლეგალურად დასაშვებობის იდეას ლიბერალურ ღირებულებებს, ფემინიზმს უკავშირებდნენ:

დავით ნოზაძე, დეკანოზი: „სტალინი ხომ იყო დიქტატორი, იმის დროს აბორტის გამკეთებელი კაცი ითვლებოდა მკვლელად. ეხლა ჰუმანისტები არიან, დემოკრატები არიან, ძაღლებსაც კი იცავენ და კატებსაც და აბორტის გამკეთებელი კაცი ითვლება ექიმად“.[259]

აბორტი ბავშვების მკვლელობაა: „ბოლშევიკები ხალხს კლასობრივი პრინციპით ხვრეტდნენ, ფაშისტები – რასობრივი, ხოლო თანამედროვე „ჰუმანური“ ლიბერალები კი ეკონომიკური მდგომარეობის და ე.წ. მწვანე დღის წესრიგის მიხედვით საზღვრავენ, ვინ დაიბადოს, ხოლო ვინ მუცელშივე მოიკლას“.[260]

ოჯახი არის ქალის და მამაკაცის ერთობა/პრემიერი იცავს ტრადიციულ ოჯახს. ოჯახის, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის შესახებ გზავნილები მეტწილად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის უნგრეთში ამერიკელი ულტრაკონსერვატორების (CPAC – კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კოალიცია) კონფერენციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა, რა დროსაც მან „ოჯახის დაცვის“ რიტორიკა ჰომოფობიურ თემებზე მანიპულირებას დააფუძნა. ამავე თეზას სასულიერო პირებიც, მათ შორის პატრიარქის მოსაყდრეც ავითარებდა:

შიო მუჯირი, მიტროპოლიტი, პატრიარქის მოსაყდრე: „ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ რიგ ქვეყნებში არის მცდელობა ტრადიციული ღირებულებების დანგრევისა და ჩამოშლისა, როდესაც თავს ესხმიან ქალის და მამაკაცის ქორწინებას, როგორც ქორწინების ერთადერთ ნორმალურ და ღვთივ დადგენილ ფორმას[261].“

258 27 იანვარი, https://bit.ly/3PxxXrC
259 qadageba.ge, 28 იანვარი https://bit.ly/3r7k1eC
260 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 11 მაისი https://bit.ly/3PgezOH
261 სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 17 მაისი https://bit.ly/3sLZnRU

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი: „ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობაა, დედა ქალია, მამა კი – კაცი, იმ ადამიანების უდიდესი უმრავლესობის უფლებებს, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩემს 2014 წლის ინიციატივას, რომლის შედეგადაც მმართველმა პარტიამ მოგვიანებით კონსტიტუციაში შეიტანა ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის დეფინიცია... მხარს არ დავუჭერთ უმცირესობას აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას, ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია, რომელსაც ქართველის იდენტობა, თვითმყოფადობა, ისტორია ეფუძნება[262].“

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი: „როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს. ამიტომაც ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია[263]“.

ოჯახის დასაცავად ძალადობა გამართლებულია. ტრადიციული ოჯახის დასაცავად, რომლის ავტონომიურობაში გარე აქტორები ერევიან, ძალის გამოყენებას კრემლთან, რუსულ ეკლესიასთან და მსოფლიო საოჯახო კონგრესთან დაკავშირებული ლევან ვასაძე, ასევე ექსტრემისტული ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის წარმომადგენელი ამართლებდნენ:

ლევან ვასაძე, ერი (საარქივო მასალა, რომელიც განმეორებით გავრცელდა): „ვთქვათ, შენთან სახლში შემოდიან და გინადგურებენ უბრალოდ ოჯახის წევრებს, შენ რა უნდა თქვა?! არა ძალადობას? შენ უნდა აიღო იარაღი და დაიცვა შენი ოჯახის წევრები განადგურებისგან. იგივე არის აქაც. გარყვნილების პროპაგანდა, ნარკოტიკების პროპაგანდა, აზარტული თამაშების პროპაგანდა არის ძალადობა ერის სხეულზე და ყველა, ვინც მას იწყნარებს და ყველა, ვინც მასთან თანაცხოვრობს არის მტერი ერის სხეულისა[264].“

ზოია მარტინენკო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „თუ ჩვენ არ ვთანხმდებით იმაზე, რაღაც ქცევაზე ძალადობა მოსულა, მაშინ მისი აკრძალვა კანონით შეუძლებელია, იმიტომ, რომ კანონი არის ძალადობის ფორმა ანუ საზოგადოება თანხმდება, რომ რაღაცა იმდენად მიუღებელია და რაღაცა ფასეულობები, აი, მაგალითად, ოჯახის ფასეულობა, ტრადიციული შეხედულებები იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად საზოგადოება დგას ამაზე, რომ ამის დასა-

262 იმედი, იმედი-ლაივი, 4 მაისი https://bit.ly/3EyrxST
263 მთავარი, ღამის მთავარი, 5 მაისი https://bit.ly/3PbtLfN
264 მსოფლიო საოჯახო კონგრესი X / World Congress Of Families X Tbilisi, 17 იანვარი https://bit.ly/460xYKN

ცავად და არანორმალური, ავადმყოფური ამორალობის აღსაკვეთად, ძალის გამოყენება მოსულა, იმდენად ცალსახად, რომ სახელმწიფო თანმხდება ამაზე და იყენებს ძალას[265].“

ფემინიზმი საფრთხეს უქმნის ოჯახს/ტრადიციული ოჯახების მიზანმიმართული ნგრევა ხდება. ოჯახის მიზანმიმართულ ნგრევაში, ტრადიციული ოჯახის იერარქიულობის დასუსტებაში ფემინიზმის დადანაშაულება ხდებოდა.

ირაკლი გოგავა, პოლიტოლოგი: „ფემინიზმი, ემანსიპაცია, ქალი ბიზნესში, ეს საკითხები, უფლებები.... ემსახურება რომ ქალი მოწყვიტონ ოჯახს. მეცნიერებს უკვე სტატისტიკა დადგენილი აქვთ, რომ მაგალითად ქალი ნაკლებ ბავშვს აჩენს, თუ ის ამ გენდერულ თემებშია ჩართული, ბიზნესი მიყავს, კარიერას იწყობს“.[266]

გიორგი რაზმაძე, დეკანოზი: „სუბორდინაცია, როცა ირღვევა და ქალი აზის კისერზე კაცს და ასე ვთქვათ კამანდრობს, დამთავრებული იქ ოჯახი აღარ არსებობს.“[267]

ბასილი ფოსური, სასულიერო პირი: „ქრისტეს ემორჩილება ეკლესია, ისევე როგორც ოჯახის თავი არის მამაკაცი და ამას ვერ გუობს დღევანდელი ადამიანი... თანასწორობა, თანასწორობა, რა თანასწორობა, ერთს თუ 45 აქვს ფეხი და მეორეს 38, ორივემ 45 უნდა ჩაიცვას? აი, რა სისულელემდე მიდის.“[268]

ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულად იყო ასევე განხილული სექსუალური ქცევის ნორმების მზარდი ლიბერალიზაცია, ქორწინების გარეშე თანაცხოვრების ნორმების დამკვიდრება და ქალიშვილობის ინსტიტუტის გაქრობა.

შიო მუჯირი, მიტროპოლიტი: „მტკიცდება ისეთი ნორმები, რომლებიც ახალისებს ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას, ახალისებს სქესობრივი გარყვნილების ყოველგვარ ფორმას, გენდერულ იდეოლოგიას, მშობლების ავტორიტეტის დაკარგვას“[269]

არქიმანდრიტი რაფაელ ჯარელინი: „მათი მიზანია (სატანური ძალების) ... ქორწინებამდე სიწმინდის შენახვა – ის, რაც პატიოსნებად ითვლებოდა – წარმოაჩინონ, როგორც თვითინკვიზიცია ან მშობლების ძალმომრეობა შვილთა უფლებებზე.“[270]

265 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 17 მაისი https://bit.ly/3ra2tyy
266 ერი მედია, გონიერი, 27 მარტი https://bit.ly/463fxof
267 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 აპრილი, https://bit.ly/3OZ313j
268 † დიდ ხარ შენ უფალო †, 20 მაისი, https://bit.ly/3ReQr1m
269 პატრიოტული გვერდი, 20 მაისი, https://bit.ly/3EwqtPB
270 ZNEOBA.GE, 24 თებერვალი, https://bit.ly/465WqK5

კაცების მოძალადეებად მიზანმიმართული წარმოჩენა/ოჯახების ნგრევა ხდება. ვრცელდება რევიზიონისტული განცხადებებიც, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით და მკვიდრდებოდა აზრი, რომ კაცების მოძალადეებად წარმოჩენა უსაფუძვლოდ ხდებოდა.

ზოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: „უნდა შეიცვალოს აი, ეს გენდერული პოლიტიკა. კულტურული ნაწილი მისი, თუ ასეთი სამართლებრივი ნაწილი, რომელიც ქალებზე ძალადობის ბრძოლის იდეით, ფაქტიურად კაცებს ნებისმიერი მცირე კონფლიქტზე იჭერს და ოჯახები ინგრევა ამის საფუძველზე“.[271]

ნიკოლოზ მქავანაძე, სეზონი TV-ის წამყვანი: „[დასავლეთმა] შემოიტანეს ეს ფემინისტურ-ფაშისტური იდეოლოგია... ქალს ჩაუდეს, შეიძლება თუკი მოინდომებ, დააჭერინო შენი მეუღლე. დღეს სემინარები მიმდინარეობს, ქალთა უფლებები თვითმმართველობაში, ქალთა უფლებები სამართალში, ვითომ ქალთა უფლებები სადმე ილახებოდეს. რატომ კეთდება ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ დისკრედიტაცია მოხდეს ოჯახის ინსტიტუტის, კაცი დაკნინდეს. მამაკაცმა თურმე კომპლიმენტი ვერ უნდა უთხრას ქალს, ოჯახი ვერ უნდა შექმნა იმის შიშით, რომ ცოლმა ციხეში გაგიშვას. ეს შექმნა აშშ-მ[272].“

271 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 30 მარტი, https://bit.ly/45MRyK4
272 ალტ-ნიუსი, 26 მარტი https://bit.ly/3sGsvty

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE